



საქართველოს
წიგნიანობის ეროვნული ცენტრი



ISSN 0180—1624

საქართველო

საქართველო

№ 12 1985 წ.





მეზობლისა და თანამოქალაქის ინტერესებისათვის

სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დეპუტატ
მ. ს. გორგაჩოვის მოხსენებიდან სსრ კავშირის მეთერთმეტე
მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიისაზე
1985 წლის 27 ნოემბერს.

„ბუნებრივია დავსვით კითხვა: რა უნდა ექნათ აწი საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის დიალოგის შედეგების შესაბამისად?

როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ შეხვედრაში მიღწეულ მორიგებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრების მოწყობის თაობაზე. მინდა, საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ამ საკითხს ფორმალურად არ ვუდგებით. მნიშვნელოვანია არა თავად ფაქტი, რომ გაიმართება ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ახალი შეხვედრა, არამედ ის, თუ როგორ იქნება მისი შედეგები. ხალხები შეხვედრაში დასახული გზით პრაქტიკული წინსვლის მოლოდინში იქნებიან. სწორედ ამისათვის ვიღვავებთ ყიდვას. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგი უმაღლესი დონის შეხვედრისათვის მზადება ახლავე უნდა დაიწყოს, თანაც უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში.

რომ არ გავაგრძელოთ მომავალ მორიგებათა მიღწევა, ორივე მხარემ, დარწმუნებული ვართ, უწინარეს ყოვლისა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ძარს გამოუთხრის ყოველივეს, რასაც შეხვედრაში მივაღწიეთ. თავი შეიკავოს აქციებისაგან, რომლებიც შეაფერხებენ მოლაპარაკებას, შეასუსტებენ გამაღებელი შეიარაღების მოქმედ შემზღუდველებს. ეს გულისხმობს, კერძოდ, რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულების პატიოსან და ზუსტ დაცვას, აგრეთვე მხარეთა მიერ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების შესაბამის დებულებათა შემდგომ დაცვას.

მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ შევქმნათ გამაღებელი შეიარაღების ნამდვილი შეწყვეტის შესაძლებლობა და შევუდგეთ დაგროვილი ბირთვული არსენალების შემცირების პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას.

არის თუ არა ამის შესაძლებლობა? მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ არის. მართალია, ახლა ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ ჩვენი და ამერიკის წინადადებანი ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ არ ვახდენთ ამ გარემოების დრამატიზაციას. აქ შესაძლებელია კომპრომისული გადაწყვეტები, და ჩვენ მზად ვართ ვეძიოთ ისინი.

ეჭვი არ არის, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების პირობებ-

ში გადაწყდება საიმედო კონტროლის საკითხებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირი უშუალოდ არის დაინტერესებული. აქ სიტყვების იმედად ვერ ვიქნებით, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება განიარაღებას, ქვეყნის თავდაცვას.

მაგრამ მთელი ამ საკითხების გადაწყვეტისათვის სრულიად აუცილებელია ჩაერაზოთ კარი, რომლითაც იარაღმა შეიძლება კოსმოსში გააღწიოს. უამისოდ ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირება შეუძლებელია. ეს მინდა განვაცხადო მთელი პასუხისმგებლობით ხალხისა და მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით. (ხანგრძლივი ტაში).

მორიგების მიღწევა შეიძლება, თუ იგი გაითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს. ამერიკის მხარის ჭიუტ მისწრაფებას, განაგრძოს კოსმოსური იარაღის შექმნა, შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ერთი შედეგი: გამაღებელი ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის შესაძლებლობის ბლოკირება. რა თქმა უნდა, ასეთი შედეგი მწარედ გაუტრუებს იმედს მთელი მსოფლიოს ხალხებს, მათ შორის, დარწმუნებული ვართ, ამერიკელ ხალხსაც.

დღეს არის რეალური შანსი მკვეთრად შევანელოთ ბირთვული ომის საფრთხე, შემდეგ კი სრულიად აღმოვფხვრათ მისი შესაძლებლობა. ამ შანსის ხელიდან გაშვება საბედისწერო შეცდომა იქნება. იმედი გვაქვს, რომ ის, რაც შეხვედრაში ითქვა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის თაობაზე, ამერიკის მხარის ბოლო სიტყვა არ არის.

მე და პრეზიდენტმა რეიგანმა დავთქვით, რომ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ შეხვედრის მოლაპარაკებაზე წარგზავნილ ჩვენს დელეგაციებს დავავალებთ, დააჩქარონ მოლაპარაკება, თანაც აწარმოონ იგი ორი ქვეყნის იანვრის მორიგების საფუძველზე. ამრიგად, ორივე მხარემ უმაღლეს დონეზე დაადასტურა: კოსმოსში გამაღებელი შეიარაღება თავიდან უნდა ავიცილოთ, ამასთან ეს საკითხი გადაწყვიტოთ ბირთვული შეიარაღების შემცირებასთან კომპლექსით. სწორედ ამისათვის ილგაწებს საბჭოთა კავშირი. სწორედ ამას მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. საქმით შევასრულებთ რა ერთად ნაკისრ ვალდებულებას, გავამართლებთ მთელი მსოფლიოს ხალხების იმედებს. (ხანგრძლივი ტაში).“

დროშა

№ 12 (588), დეკემბერი, 1985

შურნალი გამოდის 1928 წლიდან

სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო შურნალი

ნ ო მ ე რ უ ი ბ:

მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

ტიცინან ტაბიკა — ლეჩხავი, აკაკი დვალის შიშლი — „ცისფერი მთები“.

ჩვენი ხალხის მებრძობი (კონსტანტინე სიმონოვი).

ლევ ოზაროვი — ახალი თარგმანები. ხუტა ბერულავა — ეს ბრინჯაოს ბიუსტი ძეგლად იქცევა.

ლადო მრეალოვილი — რას იტყვიან ნენ ოლოლები ტყეში.

ირინე ტალიაშვილი — ნინიკო (მოთხრობა).

ლალი მიგრიაული — ჰვრივები (მოთხრობა).

ლევან დოლიძე — მთელი სიცოცხლე ზღვას.

ალექსანდრე ბარამიძე — ნიკო მარი. ლია გუგუშვაძე — ბიორგი ქავთარაძის შიშლი.

ანზორ ერქომაიშვილი — სიცოცხლე და სიმღერა.

დომენტი კილაძე — სიშლილით და ქორწინება და დაქორწინებულთა სიშლილი.

ხვთისაგარ არჩამაშვილი — რევოლუციის ჯარისკაცი.

ბიორგი ჩარკვიანი — წაყვ, ბეთანი-ისაქან...

როგორ დაასრულა სიცოცხლე აგბროუ ბრესა. (თარგმანი ბიორგი ჯაბაშვილისა)

დათო მალრაძე — ლეჩხავი საბუღალსო. სახალისო

საპარტვილოს კვ ცკ-ის გამოცემისათვის

© „დროშა“, 1985 წ.

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვეტაძე, ნათელა ბიორგიანი, თინათინ გომილაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ ლეჩხავილი, სერგო ლურჯიანი, ვახტანგ ვახტანგი, ოთარ თურქია, დინარა ნოდინა (მხატვარ-რედაქტორი), ლადო ულაზარაძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, ბიორგი ჩარკვიანი, შაჰა ჯაფარიძე.



ტიცინან ტაბიკა

ლეჩხი მენყარი

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწვერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარნავს.

მე დავიბადე აპრილის თვეში, ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან, მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან.

აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები, ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება, ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

იტყვიან ასე: იყო საწყალი, ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი. ლექსები იყო მისი საგზალი, არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.

და აწვალვდა მას სიკვდილამდე ქართული მზე და ქართული მიწა, ბედნიერებას მას უმალავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა.

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწვერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარნავს.

1927.

ბომბორის მთაზე

ს. შანშიაშვილს და ბ. ლეონიძეს

დაიფშენა, მაგრამ მაინც აქამდე თავის ნანგრევებს უძლებს უჭარმა, გასტანოს, იმებო, ჩვენ სიკვდილამდე ამ სიყვარულის ლექსის გუჯარმა.

ასეთი იყო ის ღამე მაშინ, ვახტანგს რომ ციდან მოესმა რეკა. დღესაც ქვითინით სტირიან ცაში ვაჟა-ფშაველას ღვია და დეკა.

და სართიჭალის მეთარე საქო, ჩვენთვის აკაკის მღერის „სულიკოს“. ჩვენც ხომ იმისთვის გვეყოლია სატრფო, რომ ისიც ასე დაკარგულიყო.

აშუღმა თავის სთქვა აშუღური, სხვა სათქმელი აქვს ამ ჩვენს სამებას, მაგრამ გაგვიხდა სიტყვა უძღური და სათითაოდ ენა დაგვება.



მელიტა, ნინო, რძალი ზენაზა, მშვენიერებით შეემოსო, დაქალბული ვეფხიც ეგ არი, ბეწვის ხიდიდან სამოთხე ვნახეთ.

დედის რძესავით ტკბილია ღამე, იორი ჩქეფით ოცნებას არწევს. გამოვა წამით გომბორზე მთვარე და გორგასლანი ხმალით გადაწევს.

1928.

მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი

ყური უყრია მუხრანზე ბალახს, დაბრუნებია მერცხალი ბუდეც, გაუწვევტია ფაცერი კალმასს, შავი არავი თეთრ არავცს უტევს.

მთა მიყვება მთას — მთა მთას აწყდება, დგას ლანქერების კორიანტელი. თვალებს ცრემლებად ველარ გაწვდება, რომ იყოს ცრემლი ორი ამდენი.

ვარ მოპარული ლამისყანიდან, ვარ ლექების ტყვე — გურამიშვილი. თუ რამე მიმაქვს ამ ქვეყანიდან — ბედნიერება ეს უსაშველო.

რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა და კალმად კიდევ მინა რხეული, თუ ამ მოვრიე მზით გული გაგიტობა, თუ ამ ყრუანტელს იგრძნობს სხეული.

უყველეს, ყელი გამოალადრეს და აუბნიეს ლექსის გზა-კვალი, მაგრამ გათელავს ამ კლდესა და ღრეს ბარათაშვილის მერანის ნალი.

ცა ცას ადნება, მყინვარი — მყინვარს, ბედნიერებას თოკავს ალერსი და დაეწვევა ორბების შურდულს მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი.

1932.

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეტქვა, — როცა პწკარები პწკარებს სდევნიან, საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.

მაინც თუ ვერ ვთქვი, რასაც ვესწრაფი, მე ამ ცოდვაში ბრალი არ მიღვეს, ვარ იღუმალი მხოლოდ მიზრაფი და გული იკვლევს ლექსის ამინდებს.

გავიგონიათ, ჩემო კარგებო, რომ სიყვარული ძალით არ მოვა, სიტყვა სიტყვასაც არ მიუღდება, თუ ის სიმღერამ არ ამოსწოვა.

სანამ წარმოსთქვამ, ლექსი შენია, იტყვი, სხვა უცხო მას დაიტაცებს, და თუ ვაჟკაცის ხელი სჩენია, მაშინ სხვის ხელშიც ის ივაჟკაცებს.

ლექსი ლექსია, მაგრამ იმატებს, თუ სიყვარულის ბოლმა გამურა, თვითონ ვერ იცნობ შენ ბაიათებს, დაუტაცია ხალხს სალამურად.

და მეჩვენება, რომ ლექსის ძაფი უძილო ღამეს ხელში ეკავა; მოსკდება წვიმა თქეშით და ქაფით და მოვარდება ლექსი წელკავად.

გადიარა და გადათელა, როგორც კალია გათელავს ყანას, მერე დაენთო თავლის სანთელად, რომ გაანათოს მთელი ქვეყანა...

1936.

„ქართული პეტი“

აკაკი ღვალიშვილი,

საპარტოვო სსრ კინემატოგრაფიის
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე



რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა ერთი ჯგუფი — მხატვრული ფილმის „ცისფერი მთების“ შემქმნელი კოლექტივი — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. ეს ფაქტი ჩვენი ეროვნული ხელოვნების საქვეყნო აღიარებისა და წინსვლის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოხატულებაა.

მრავლისმთქმელია ის გარემოება, რომ ესოდენ მაღალი ჯილდო დაიმსახურა ნაწარმოებმა, რომელიც პირუთენელი პირდაპირობით, მძაფრი სატირული პათოსითა და ცხოვრებისეული სიმართლისადმი პრინციპული ერთგულებით გამოირჩევა. ავტორთა უბადლო ოსტატობის, პროფესიონალიზმისა და მაღალმოქალაქეობრივი პოზიციის წყალობით საზოგადოებაში არსებული ჩრდილოვანი მხარეების ამსახველ სურათს უღრმესი სოციალური და ფილოსოფიური განზოგადება მიენიჭა. ეს კი მხოლოდ მაღალმხატვრულობისა და მაღალიდებურობის იმგვარი უზუსტესი შერწყმით მიიღწევა, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებს ახასიათებს.

ელდარ შენგელია ჩვენი კინოხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, არაერთი შესანიშნავი ფილმის შემქმნელი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავკაცი, ამავედარი პედაგოგი, ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი აღმზრდელი, ერისა და მამულისათვის თავდაუზოგავი მოქალაქე განზავეთ. სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა ამ ნიჭიერი ხელოვნის ღირსე-

ული დაფასებაა. სასიხარულოა, რომ შემოქმედებითი გზის შუაწერტილზე (მას შარშანწინ მიუვლოცეთ ორმოცდაათი წელი) — იგი ასერივად ხელდამშვენებული მოვიდა. მისი პიროვნება მდიდარია ყოველივე იმით, რაც აუცილებელია ხელოვნების უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად — ხალასი ნიჭი, შემოქმედებითი სიმწიფე და სიბრძნე, ვაჟაკური, მეგობრობითა და სიკეთით სავსე გული და თანამოაზრეთა ბრწყინვალე კრებულები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ისეთი კოლექტიური ხელოვნებისათვის, როგორცაა კინო.

მწერალი რეზო ჭეიშვილი საუკეთესო ქართველ პროზაიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება. მან თავის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით ბოლოდროინდელ მოთხრობებში, სიტყვაკაზმული ხელოვნების უმაღლესი ოსტატობა გამოავლინა. მით უფრო სასიხარულოა, რომ მწერალმა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ლიტერატურის პარალელურად კინო აირჩია სამოღვაწეო ასპარეზად და ამით დიდი ამაგი დასდო ჩვენში სასცენარო დრამატურგიის განვითარებას. ნიშანდობლივია, რომ „ცისფერი მთების“ სცენარის ფაბულას საფუძვლად დაედო რ. ჭეიშვილის მოთხრობა „ცისფერი ხილები“. რომლის მიხედვითაც შემდეგ მწერალმა ორიგინალური სცენარი შექმნა.

კინოოპერატორ ლევან პაატაშვილის მხატვრული ალღო, უდიდესი პროფესიონალიზმი, დახვეწილი გემოვნება და მძიებლური სულისკვეთება მეტწილად განაპირობებს ხოლმე

იმ ფილმების წარმატებას, რომლებიც მისი კამერით არის გადაღებული. ასეა ამ შემთხვევაშიც — „ცისფერი მთებს“ უხვად ატყვია კვალი ლევან პაატაშვილის ნიჭიერებისა.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს შორისაა ფილმის მხატვარი ბორის ცხაკაია — ორიგინალური ხელწერის მქონე, კინომხატვრის თავისებურ სპეციფიკაში გამობრძმედილი პროფესიონალი, რომელსაც არაერთი ქართული ფილმის შექმნაში უდიდეს წვლილი. „ცისფერი მთები“ მათ შორის განსაკუთრებული ვიზუალური სინატიფით გამოირჩევა. ხელშესახებად იგრძნობა რეჟისორის, ოპერატორისა და მხატვრის პარამონიული თანხვედრა.

„ცისფერი მთების“ დიდი წარმატება უეჭველად განაპირობა ბრწყინვალე აქტიორულმა ანსამბლმა. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, სესილია თაყაიშვილი უნდა ვახსენოთ. მთელს ჩვენს საზოგადოებას ორსახოვანი, სევდისა და სიამაყის მომცველი გრძნობა მოჰგვარა ცნობამ მისთვის გარდაცვალების შემდგომ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ. ქალბატონი სესილია თავისი უმაღლესი ხელოვნებითა და არანაკლებ მაღალი პიროვნულ-მოქალაქეობრივი თვისებებით ამქვეყნად არსებულ ყველა ჯილდოს იმსახურებდა, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მან სიცოცხლეშივე მოიპოვა — ესაა ხალხის უზომო სიყვარული, საყოველთაო აღიარება და თაყვანისცემა, რაც მხოლოდ გამორჩეულ ადამიანთა ხვედრია.

„ცისფერი მთების“ იერსა-


ხეთა გალერეაში თითოეული პერსონაჟი მკვეთრი ხასიათითა და შესრულების სიზუსტით გამოირჩევა, მაგრამ მათ ცენტრში, ექვეგარეშეა, დგას იშვიათი მხატვრული სიმართლით გამორჩეული სახე დირექტორისა, რომელსაც შესანიშნავი პროფესიონალიზმით და ნიჭით ასრულებს თეიმურაზ ჩირგაძე. დასანანია, რომ სწორედ ოფიციალური „არაპროფესიონალიზმის“ გამო (თ. ჩირგაძე ექიმია), არ მოხვდა იგი ლაურეატთა რიცხვში, თუმცა, ჩემი აზრით, მისი წვლილი ფილმის საერთო წარმატებაში ფასდაუდებელია.

მოხარული ვარ, რომ ჯერონდ დაფსადა თეატრისა და კინოს ერთ-ერთი ღვაწლმოსილი მსახიობის — ვასილ კახნიაშვილის შემოქმედებითი ოსტატობა, რომელმაც არაერთი საინტერესო სახით გაამდიდრა ქართული ეკრანი:

მისასალმებელია, რომ ლაურეატის საპატიო წოდებით დაგვირგვინდა მსახიობ ივანე საყვარელიძის მრავალწლიანი კეთილსინდისიერი და საქმისადმი ერთგულებით აღსაყვებ შრომა ქართულ კინოში.

არანაკლებ საიამოვნოა, რომ ეს საპატიო წოდება მიენიჭა ახალგაზრდა შემოქმედს, რამაზ გიორგობიანს, რომელიც თითქმის ოცი წელია, დასამახაოვრებელი სახეებს ქმნის ქართულ კინოფილმებში.

უფლითადად ვულოცავ ლაურეატებს დიდ წარმატებას — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიას. მათთან ერთად მთელს ჩვენს საზოგადოებრიობას ვულოცავ ქართული ხელოვნების ამ მორიგ გამარჯვებას.



ქონსუნებინა სთაროზი





70 წელი უნდა აღინიშნოს მწიგნობარისა და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწის, ქართველი ხალხის ჰუმანიტარული მემკვიდრისა და მოაზროვნის — კონსტანტინე სიმონოვის დაბადებიდან.

ჩვენი ფოტო-მოთხრობა წარმოგვიხატავს რუსული საზოგადოების ლიტერატურის დიდებული წარმომადგენლის უნდადრებს ქართველ მწიგნობარს, მხატვრებს, კულტურის სხვა მოღვაწეებს.



• სტუმრად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

• რევაზ მარგანი, ივანე თარბა, კონსტანტინე სიმონოვი, ბაგრატ შინკუბა.

• კონსტანტინე სიმონოვი, გრიგოლ აბაშიძე, დავით ჩხიკვიშვილი, გიორგი შორჭოლიანი და ოთარ ბაქანიძე.

• კონსტანტინე სიმონოვი და ირაკლი აბაშიძე.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.


• 1978 წელი. ნოემბერი. კონსტანტინე სიმონოვის გაცემა თბილისის ვაგზალზე.

ხანატურ ვართანინცის ფოტო.



ლევ ოზაროვი — ცნობილი კომბი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საპარტიო მდიანი მემოგრაფი.

ლევ ოზაროვს ზღაპრული დაბადებადან 70 წელი. ეს თარაღი აღინიშნა მოსკოვში, უკრაინაში, ლიბავაში... ჩვენც სიყვარულით მივსალმავით სახელოვან შემოქმედს და მკითხველს ვთავაზობთ მისი რამდენიმე ლექსის თარგმანს.



ლევ ოზაროვი

სულ ახლო არი გაზაფხულამდე

მე გაზაფხულზე არ მსურს სიკვდილი. როცა ჰყვავიან იასამნები, უფსკერო ცას რომ ვნახავ, იმ დილით, და როცა მზის სხივს მივესალმები.

არ მომწონს, მოკვდეთ ზაფხულის თვეში, იმ ქვეყნის ვიყო მახარობელი, რომ მიწას დასდის ვარდების თქეში და რომ ჭრიჭინებს ჭრიჭინობელი...

თვალის დახუჭვა ადვილი არის ვანა რთვლობისას? ძნელია მართლაც! როცა ნაყოფს სწყვეტს თვით სუსტი ქარიც. როს დალატია მშვიდობით ვაცლა...

ზამთარში წასვლა ხანჯლის ჩარტყმას ჰგავს მკაცრად სევდიან გულის გულამდე, თან შესცივდებათ მოსულ მეგობრებს, თან... სულ ახლოა გაზაფხულამდე!

სიტყვის მავიარ

ნუ დავაყენებთ ცრემლების მორევს და ნუ დავრეკავთ სიტყვების ზარს... სჯობს დაენმარო ნიჭიერს, თორემ უნიჭო თავად გაიკვლევს გზას.

მუნჯად ანთია სარკმელში შუქი, ვარსკვლავნიც დუშან, კრთებიან ცად. ადამიანი მარტოა თუკი, იმ დროს სადა ვართ, სადა ვართ, სად!

სადა ვართ, როცა პასუხს დაეძებს ლოდინით სავსე ფიქრების ზღვა, რატომ დროულად არ შევაჩერებთ მისკენ დაშვებულ უმძიმეს ზეავს.

ვით მაშველ რგოლებს, რად ვმაღავთ ხელებს, რად არ ვასრულებთ ნათქვამ ფიცს, რად? კუთხეში ზიხარ და წერ პოემებს, მეგობარს უჭირს... სადა ხარ, სად!

რუსულადან თარგმანა გიია ხეთაგურაბა.



**ეს ბრინჯაოს ბიუსტი
ქებლად იქცევა**

● თავის ნალოლიავებ ჩაის პლანტაციებს აწ ველარ ეწვევა საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამარ ყუფუნია. ამის შესახებ ღრმა მწუხარებით გვაუწყეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ.

ამ დიდებულ ქართველ ქალს ბავშვობიდანვე ვიცნობდი. მის კეთილ და გულთბილ ოჯახშიც ვყოფილვარ იმ დროს. მინახავს, როგორ კრეფდა ჩაის მწვანე ფოთოლს. არაერთხელ მიცდია, აღმეწერა მისი ლეგენდარული შრომითი გამირობა...

წლებმა და განუწყვეტელმა გარჯამ, შვილის მოულოდნელი დაკარგვით განცდილმა მოუშუშებელმა ჭრილობამაც, ვერ გატეხეს თამარ ყუფუნის ნებისყოფა, ნათელი და ამაყი სული. 85 წლის ასაკში აღწეული დარსა და ავდარში წინ მიუძღოდა თანასოფელ ქალებს და თავდადებული შრომით აღაფრთოვანებდა სხვადასხვა თაობის ადამიანებს.

ქართველი ხალხის სამაყუო შვილი არამარტო სამაგალითო კოლმეურნედ ითვლებოდა. თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც დაიმსახურა მან საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული. განა ოდეს-

მე დაგვაიწყებდა თამარ ყუფუნის დაუცხრომელი ბრძოლა ქართული ჩაის ღირსებისა და სახელის დასაცავად! ჩვენს ახალგაზრდობასაც მუდამ ესხომება მისი დედაშვილური რჩევა-დარიგება.

ქართველმა მწერლებმა და ყურნალისტებმა მშვენიერი მხატვრული ნარკვევები წერილები, ლექსები მიუძღვნეს თამარ ყუფუნის, ვინც ორგზის სოციალისტური შრომის გმირ, უკვდავ ანთიმოზ როგავასა და სხვა გმირებთან ერთად, საქვეყნოდ გამოაბრწყინა თავისი ლამაზი კოლხური სოფლის სახელი.

სოფლის ადამიანთა ერთგულმა მეგობარმა და მეხოტბემ, ცნობილმა პოეტმა ვახტანგ გორგანელმა გულწრფელი სტრიქონებით მიმართა ძვირფას თამარს.

მგრძნობიარე სიტყვებით, როგორც ღვიძლი და, ისე დაიტერა თამარ ყუფუნია ჩვენმა უბერებელმა ბერძუნამ, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის ბრძენმა თავკაცმა, სოციალისტური შრომის გმირმა მიხაკო ორაგველიძემ...

ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, თამარ ყუფუნის, მშობლიურ სოფელში სიცოცხლეშივე დაუდგეს ბრინჯაოს ბიუსტი.

ამიერიდან ბრინჯაოს ეს ბიუსტი ძებლად იქცევა, დიდი ქართველი ქალის, დაუღალავი მშრომელი ქალის უკვდავებაზე რომ ილაღადებს ღღენიდაგ...

ხუბა ბერულავა.
30 ნოემბერი, 1985.

ჩვენი საქართველო საქართველო

ქართლოს ძეგელიშვილი საშუალო ტანის ბეჭდანიერი, ჩასმულ-ჩასკვნილი ვაჟკაცია. გაწვრთნილი თვალი ერთბაშად შეამჩნევს, რომ თავის დროზე ან კარგი მოჭიდავე იყო, ან კარგი ძალოსანი. თბილი, თავზიანი გამოხედვა აქვს, სიტყვა სარწმუნო და დამაჯერებელი. ახალგაჭრილ გზაზე პირაღმა ფრთხილად მიჰყავს „კოლხოზნიკი“, ოსტატურად გადის ვიწრო მოსახვევებში და თან გულდაგულ მიყვება:

— სულ ბაღლი ვიყავი, ჩვენმა კლასის ხელმძღვანელმა რომ წაგვიყვანა მოწაფეები „დედათა მონასტრის“ სანახავად. აბა, როგორ არ არი კარგი, როცა მასწავლებლები ბაღლებს ექსკურსიებზე ხშირად დაატარებენ. იმათი მეხსიერება ცინცხალია და ყველაფერს იმახსოვრებენ. სუფთა ჰაერზედაც დადიან, თანაც თავიანთი ქვეყნის ადგილებსა და წინაპრების დანატოვარ ძეგლებსაც ეცნობიან. ბაღლობიდანვე სწავლობენ სამშობლოს სიყვარულსა და მამა-პაპათა დანატოვარის მოფრთხილებას. მართალია, ამ ათიოდე წლის წინ გადაწყვიტა ახმეტის რაიკომის აღრიხდელმა მდივანმა აქეთ გზის გაყვანა, მაგრამ ვერ მოასწრო. მხოლოდ ახლავს, როგორც კი ახალი მდივანი მოგვივიდა, მაშინვე მივუხტით და „მონასტრამდე“ გავიყვანეთ გზა. ძალიან დაგვეხმარა ახმეტის სატყეოს ახალი დირექტორი — უჩა ჯაფარიძე.

მანქანამ ერთი მოუხვია და კარგა მოზრდილ ტბასთან ავიდა. სიანკარეში არეკლილიყო ტბაზე მომდგარი ტყე, ხოლო თავად გლუვი წყლის სარკე თევზების ბოლოებით ილენებოდა.

წყლის პირს ვიდაცა უსაფქვავოდ დარჩენილი მეწიასკივლესავით დამჯდარიყო, ყბაზე

ხელი შემოედო და თევზების ცელქობას გაჰყურებდა.

როცა მოიხედა, ზემო ხოდაშნის სატყეო უბნის უფროსი, ჩემი ძველი მეგობარი — ზაქრო არაბული ვიცანი. დილაადრიან ამოსულიყო და გზის გაწმენდა-გაგანიერების სამუშაოებს თვალყურს ადევნებდა. მოშორებით ბულდოზერი იდგა.

მებულდოზერე იყალთოელი მიშა ბაზერაშვილი აღმოჩნდა. რალაც ნაწილი გასტეხოდა და შესაკეთებლად სოფელში მიდიოდა.

ზაქრო დაგვემგზავრა. როგორც კი ზაქრომ და ენაწყლიანმა პოეტმა შოთა ხოდაშნელმა სალაპარაკო გამოძებნეს, ქართლოსს მივუბრუნდი.

— რამ გაფიქრებინათ ეგრე უცებ გზის გაყვანა?

— ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი, ირაკლი ციციშვილი, „ცხრაკარას“ საყდარს ათვალთვობდა. არქიტექტორები სარესტავრაციო პროექტებს ხაზავდნენ. ერთმა არქიტექტორმა უთხრა ციციშვილს: „ხოდაშნის „დედათა მონასტრთან“ რაიონის ხელმძღვანელობას გზის მიყვანა გადაუწყვეტია, მაგრამ ასეთ რთულ რელიეფურ პირობებში ძალიან ძნელია გზის კეთება“. ციციშვილმა უთხრა: „თუ ესენი იმ რთულ, თითქმის შეუძლებელ პირობებში გზას გაიყვანენ, მაშინ მონასტრის რესტავრაცია ჩვენზე იყოსო“.

— კარგი კაცია ციციშვილი. — ძალიან ყურადღებიანია. როცა ეს გზა გაიყვანეთ და ვაცნობეთ, ბაღლივით გაიხარა. მაშინვე ჩამოვიდა თბილისიდან და სტუმრებიდან ამ გზაზე პირველად თვითონ გაიარა.

— საოცარია, თქვენა მეზობლად გავიხარდე და აქამდე არა ვიცოდი რა ამ მონასტრისა.

— მაშინ იმ ჩვენს მასწავლებელს რომ არ წავეყვანეთ ბაღლები, შეიძლება არც მე მცოდნოდა. პირდაპირ უღრან ტყეშია.

— ჰო, არც ვახუშტი იხსენებს არსად თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“.

— სულ კომკავშირელებმა გაწმინდეს. კარგა ხანია, რაც ჩვენი ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ძველი ძეგლების დაცვას, მათ რესტავრაციას, მისასვლელი გზების კეთებას. ეს ძალიან უადვილებს რაიკომის ხელმძღვანელობასა და ახალგაზრდობას მუშაობას. ხალხი ამბობს: ჩვენს წინაპრებს აქამდის საშენი კირი და ქვა ხურჯინებით ამოუზიდინათ, — ჩვენ ხესა და ძეძვებს უნდა შევკმევინოთო? — ეს გზა მაშინვე გაიყვანეთ?

— მაშინვე.

გზა მერე და მერე გაუარესდა. აქა-იქ, ჩალარტაფებულ ადგილას, ისეთი გუბეები იდგა, ზოგან ისეთი სქელი ტალახი იყო აზელილი, დუბლიკატის ჩართვისასაც, ძლივს ვტოპავდით შიგ. შემდეგ უკვე სინესტემაც იმატა ტყეში და მოხვეულ აღმართებში რამდენიმე ცდის შემდეგლა თუ ავდიოდით.

სანამ მონასტერს მივალწევდით, კიდევ ორი მომცრო ტბა გავიარეთ: ერთი „სახელმწიფო ტბად“ სახელდებული, მეორე — „ბერების ტბად“. ორთავეს ზემოდან ყაბი მოვედო და მწვანედ დამპალ წყალში მწვანედვე ლებობდნენ ხეთა მოგლეჯილი ზროები და შტო-ფოთოლი.

— როგორც კი ამ გზის გაფართოებას მოვრჩები, უნდა ბულდოზერი მოვიყვანო და ეს ტბები გავწმინდო. ზემოთ ერთგან წყარო გამოდის. იმ წყალს მივუგდებ შიგა და თევზსაც გავუშვებ, — ამბობს ქართლოსი. ბოლოს, როგორც იქნა, გააჩერა მანქანა და გამოაცხადა: მოვედიო.

და მერე დიდხანს ვიდექი დამუნჯებული ელიგორის უდაბნო ტყეში, საუკუნოვანი წიფლების, ცაცხვების, ნეკერჩხლების, რცხილების ქვეშ და გარდასულ საუკუნეთა საოცრებას შევყურებდი.

პირველი, თლიანი პატარა შენობა აულ წაელეკა ტყეს. განსაკუთრებით ერთ ბებერ ცაცხვს ემარჯვნა: დიდ საყდარს მიბჯენილ კედელზე აღზევებულს მთავარი ფეხვი პირდაპირ შეუულად ჩაეშვა მიწაში და კედელი თავიდან ბოლომდე შუაზე გაეხლიჩა. დანარჩენი ფესვები გარშემო შემოევლო სამივე კედლის თავზე და სადამდეც მიაწვდნოდა, ყველგან ბლარტი ამოეყარნა. ეს ბლარტიც მოზრდილ ხეებად ქვეულოყო და ახლა იმათ გაე-

ყარნათ მომაკვდინებელი კლანკები კედლისათვის. ერთი სიტყვით, იაე იყო მოდებულ, როგორც კიბო ავადმყოფის სხეულს.

რომელ საუკუნეს გულისხმობდა ეს მონასტერი, ჩემთვის ძნელი იყო ამის გარკვევა. ასეთი ტიპის საყდრები მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში გვხვდებოდა. ამისი ტყუპის ცალი აქვს მოშენებული სოფელ მატანში „ცხრაკარასაც“ (უფრო უკეთესად „ცხრაკარა“ აქვს მოშენებული იმ ტყუპის ცალს), რომელსაც მეხუთე-მეექვსე საუკუნეს აკუთვნებენ. ყოველ შემთხვევაში, რაკი გზა გავიდა, მეცნიერები საამისოდ აქაც ამოველენ და დაადგენენ ამის ხნოვანებას.

ერთხანს ვუარე გარშემო მონასტრად წოდებულ მთავარ საყდარს, მერე შიგნითაც შევაბიჭე. არც ისე დიდი ხნის წინ დაესუფთავებინათ. ნაცეცხლარები მაინც შეიმჩნეოდა. შიგნადგომი ნახირის სუნი ჯერაც არ გასცლოდა კედლებს და იატაკს. ვეებერთელა, ერთნაიანი ეკლესია იყო, დარბაზული ტიპისა, — არაჩვეულებრივად მაღალი და ფართო. ასეთი ეკლესიები უფრო მეტბრე-მეთე-მეთერთმეტე საუკუნეებში შენდებოდა საქართველოში. შიგნიდან ფრესკები ჩანდა. სადაც ბათქაში ჯერ კიდევ შერჩენია, ისევ ეტყობა მხატვრობის კვალი. უპატრონობას სულ მოუთავებია ხელი. ხის ფესვებით დახრული სახურავიდან წვიმას უდენია და ახლაც მძლავრად შეიგრძნობა ობი და სინესტე.

გარეთ გამოვედი და კვლავ შემოვუარე ირგვლივ.

ერთი მთლიანი, ვეება ანსამბლია, რალაც სიმაგრე-ტაძრის მსგავსი. შირიმის ქვით არი ნაგები ეკლესია. მაღალი გალავანი და ფართო ბურჯებიც თლილი ქვითაა ნაშენები. სამრეკლო, სასახლე, მარანი, საცხოვრებელი და სხვა. სამეურნეო-დამხმარე ნაგებობანი არქიტექტურულად ლამაზად. ოსტატურად განლაგებულა გალავანის შიგნით. ჩანს, ეკლესიას ციფრად მოჭიქული კრამიტი ჰქონდა, რადგან ირგვლივ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, ასეთი ნამტვრევები ეყარა.

დავათვალიერე მარანი. დიდ-პატარა ქვევრების უმეტესობა დამტვრეულია. ზოგი მათგანი მიწითა და წყლით არი საყვ. გალავანს გარეთ სენაკთა ნაშთები შეიმჩნევა. ერთგან კი მშვენიერი წყარო მოჩუხჩუხებს ხის ღარზე და ჩუმი ქლურტულით მიიკვლევს გზას თავქვე-ტაძარზე მობჯენილ ტყეს გალავანი გადაულახავს, მთელ ეზოს მოსდებია და მონასტრისათვის გადაუვლია თავზე.

შოთა ხოდაშნელი ჩამციებია, რომ ეს დედათა მონას-

ტერი ყოფილა. ამის საბუთად სამხრეთით ჩამავალი ღრმა ხევი მოჰყავს, რომელსაც ხოდაშენელები დღესაც „შავკაბას“ ეძახიან.

ქართლოსიკ კვერს უკრავს: ახლო-მახლო სოფლებიდან და ალბათ, შორეული სოფლებიდანაც მოდიოდნენ აქ ომებში ქმარდალუპული ქვრივები, საქმროდაკარგული ქალწულები და სხვა დედაკაცებიც და მონაზუნებად დგებოდნენ ხოლმეო. ამ ხევს „შავკაბა“ იმიტომ დაერქვა, რომ მონაზუნები საბანაოდ და სარეცხისათვის აქ ჩამოდიოდნენ და მის ნაპირზე თავიანთ შავ ტანსაცმელსა ჰფენდნენო.

თან ვეთანხმები და თან საკმაო ეჭვსაც გამოვთქვამ: „ხომ შეიძლება ეს მონასტერი დედათა კი არა, მამათა მონასტერი ყოფილიყო? განა მათ შავ ტანსაცმელსაც კაბა არ ერქვა? ანდა ხევში ისინი ვერ ჩავიდოდნენ საბანაოდ და ტანსაცმლის დასარეცხად? თუ ეს ასე არ არის, იმ ერთ-ერთ ტბას, ჩვენ რომ გზად ამოვუარეთ, რად ჰქვია „ბერების ტბა?“

ქართლოსი ჩუმდება და მხრებს იჩეჩავს, შოთაც ისუდება.

ყოველ შემთხვევაში, ამოვლენ მეცნიერები და ყველაფერს დაადგენენ.

— მოდი, ბარემ აქა ვართ, ბაკანშიც ავიდეთ. — იხვეწება ზაქრო.

შარშან ზაქრო არაბულმა და ჩემმა ბალობის მეგობარმა გიორგი ნაროზაულმა ახმეტის სარაიონო გაზეთ „ბახტრიონში“ ერთობლივი წერილი გამოაქვეყნეს: „იქნებ ბაკანაც აღდგეს“. მაღალმთიანი სოფლების დაცარიელებასა და მოსახლეობის ბარში ჩასვლას უჩიოდნენ. მკითხველს მოუთხოვრებდნენ იქაური ჰავის, საძოვრებისა და ხილ-კენკრის სიკეთეზე. ეტყობოდათ, ბარად ჩასულ, ბუმბულგაცვივნილ არწივებს მოეხატათ უკანვე დაბრუნება და კვლავ ბუმბულით შემოვსა.

— ხომ არ ავსულიყავით ბაკანშიც? — ამბობს ქართლოსიკ.

არ მენახა ბაკანა და დავაბუღდი.

არც ისე შორი აღმოჩნდა მონასტრიდან.

როგორც კი ავედით და ვერცელ მინდორ-ველს თვალი მოვავლეთ, უმაღლვე მივხვდი, რატომ ენატრებოდა ზაქროს ბალობის ბუდეში დაბრუნება. ცივ-გომბორის დამრეცი კალთების წიფლნარებს შორის სწორი, ბალახოვანი სივრცე გადაიშალა. ზედ მომდგარ მთა-გორებს გამოყოფილი ორი მცირე ქედი იქაურობას ირგვლივ ისე შემოვლენია, თითქოს მითების ბინადარ ბუმბერაზს ტყით აჯაგრული ხელები ზურმუხტის

ძირიანი, ასეთივე ბუმბერაზი თასისათვის მოუხვეწენია და არსთა განმრიგებს ეგრევე გაუქვავებიაო.

მანქანიდან გადმოვედი, ფეხდაფეხ დავიარე იქაურობა. ზაქრო გიდივით დამყვება და დავწრილებით მიხსნის ყველაფერს.

ბლომა სოფლები ყოფილა გაშენებული გარშემო: საკვერე, ვაშლოვანი, აშრომანი, გორათხევი, ნანახშირალი, იფნის-გორი, სახადა, ხოვა, ბულაანი, ასხაბარი, ჩოფჩაური, ინგეთი, კვერნაძეული. მერე უგზობას, შრომის დაბალ ანაზღაურებასა და თანამედროვე ცივილიზაციასთან სიშორეს ბარად ჩაუჭიდავს მოსახლეობა. თითო-ორი-ოჯახებილა დარჩენილან ბულაანში, ინგეთში, ჩოფჩაურსა და კვერნაძეულში.

აშამბებულა ნასახლარები და ნასადგომები. მაქალოსა და პანტებში აქა-იქ ვაშლი და მსხალი შეიმჩნევა, — უტყუარი ნიშანი იმისა, რომ აქ ოდესღაც ხეხილის ბალი ყოფილა. სახნავ-სათესები გადასწორებულა, შიგადაშიგ კუნელი, კვრინჩხი, მაყვალი და ასკილი მორევი. ერთ ადგილს მშვენიერი პანტა დაქმუნებულა, მაგრამ ფიორს დაუჩაგრია და გახმობის პირზე მიუყვანია. პანტიდან ათიოდენ ნაბიჯზე პატარა ღარტაფში სამ ტოტად ანკარა წყარო გამოდის, რომლითაც აქაური ფშავ-ხევსურნი თურმე წისქვილს აბრუნებდნენ.

— ეს წყალი სასმელი წყალია, — მიხსნის ზაქრო, — სხვა წყაროები კი სამკურნალონი. აქ ბევრია ისეთი, რომლებითაც კუჭ-ნაწლავს მკურნალობენ, ისეთები, რომლებიც საირმის წყლის თვისებებს ამქლავებენ და თირკმლებისთვის უებარია. ზაფხულში ამოდის ხალხი, კარვებს დგამენ და პრიმიტიული წესით კასრებში იღებენ აბაზანებს. აქედან ოთხ-ხუთ კილომეტრზე — „ნარიანველში“ ასეთივე წყლები ხუთჯერ მეტი რაოდენობით გამოდის: აგერ იქ, ერთი ისეთი წყალია, მუწუკებიან ბაღს თურმე პირი დაპანეს და მაშინვე გაუქრა. აგერ იქით კი ტალახი ამოდის. ამბობენ, ახტალის ტალახსა სჯობიაო. წინათ აქ ხალხი ხუთასსულიან საკოლმეურნეო ჯოგს ამოვებდა. ამას გარდა, ყოველ ოჯახს ჰყავდა ცხვარი, ცხენი, თხა, ღორი, თესდნენ ქერს, სიმინდს, ხორბალს. ახლა წარმოიდგინე, თუ აქ ხალხი დაბრუნდება...

მაგრამ ხალხს ახლა ყველა სოფელში რალა დააბრუნებს! — მათი ბუდე არავის მოუშლია, თავადვე აიყარნენ და ათიოდენ კილომეტრით ჩაითავქვევეს. ახლა აქ ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობას სულ სხვა გეგმები აქვს და ქართლოს



ქვეველიშვილიც არ აყოვნებს:

— აი, ეს მინდოდა, რომ დაგვეთვალე რებინა, ძალიან კარგი ადგილია პიონერთა ბანაკის ასაშენებლად: არა მარტო პიონერები, ზაფხულობით საბავშვო ბალებიც კარგად დაისვენებენ. ანდა, განა სხვა მშრომელებს აწყენთ აქ დასვენება? სიმალე ათას ორას მეტრამდე იქნება. ჯანაალი ჰავა და მაცოცხლებელი წყაროები, ტყე-პარკის გაშენებაც შეიძლება. თუმცა რალა ტყე-პარკი უნდა აქ ამოსულს. აბა, გახედე, ირგვლივ რა ტყეებია! ძველი მოსახლეობისაგან მიტოვებულ ხეხილის ბაზაზე გაშენდება ხეხილის ბალი, დაითესება კარტოფილი, ბოტანეული, ბალჩეული, ეს ყველაფერი მშრომელთა დასვენებას მოხმარდება. ბაკანისკენ ტბა არი ერთი, — „უძირო ტბას“ ვეძახით. ეს ტბა გაიწმინდება, შიგ თევზი გაიშვეება და ეხეც მოაგარაკეთა სუფრას შეემატება. ხოლო რაც შეეხება ბაკანას, იგი უნდა უეჭველად აღდგეს, რადგან ყველაფერს იმას, რის აშენება-გაკეთებასაც აქ აპირებს ჩვენი რაიონი, უეჭველად დასჭირდება მომსახურე პერსონალი...

ისევ და ისევ დავდივარ და ტაფობს ვათვალე რებ.

ერთ ადგილას, იფნებსა და ცაცხვებს შორის, ერთნავე პატარა საყდარს წავაწყდი ველზე. ჩვეულებრივ უპატრონო, იავ-არქმინილი და საქონლის ნასადგომარი აღმოჩნდა. ვფიქრობ: ჩვენი ძველთა დაცვის სამმართველო, როცა „შავკაბიანთა“ მონასტრის რესტავრაციას დაი-

წყებს, აუცილებლად ამ ძველთაც დაინტერესდება.

დალამებამდე მოვიარეთ ის მინდორ-ველი, წყაროები და ტალახიანი ადგილები, ყოველი ნასახლარი და ნაბლარი. თადარიგის პატრონის თვალთ უქპრის ყველაფერ ამას ქართლოსი და კვლავ და კვლავ მშრომელთა საკეთილდღეოდ მის გამოყენებაზე მელაპარაკება.

მერე გვიან, როცა საკმაოდ ბნელდება, ვტოვებთ ამ მშვენიერ ველს და თავქვე მივიღვართ.

— ჩვენი რაიკომი და რაიონ-მასკომი აპირებენ ერთობლივი დადგენილებია მიღებას. რათა ყოველ ისტორიულ ძეგლს თავისი შეფი ჰყავდეს. ისინი დაცვენ შენობებს, მათს მისადგომებას და უპატრონებენ! მანქანის ჯანჯლარში დროდადრო ჩამესმის ქართლოსის ხმა.

სიგრილედანებულნი ტყე იდუმალი ჩუჩუნ-ჩუჩუნით არის გატენილი. დროდადრო ეშმაკი მელა გადიკუნსკულებს გზაზე და წვრილიანში შეილალება. ხანდახან მხდალი კურდღელი დაფრთხება მანქანის ფარების შუქზე. გარკვევით კი მხოლოდ დამეული ფრინველების — ოლოლების ხმა მოდის ჩვენამდე:

— თევდორეეე!
— უუუ!
— იპოვნეეე?
აღარ ვაცდით ფრინველს და თავად ვეპასუხებით:
— ვიპოვნეთ, ვიპოვნეთ, — და მერე ნელ ღიღინსაც ავაყოლებთ ამ პაუზს...

ნინიკო

კითხვები

დილით ადრე გაიღვიძა ნინიკომ. მართალია, საათის ცნობა არ იცოდა, მაგრამ მაშინვე კედელზე ჩამოკიდებული საათისკენ წაუვიდა თვალი. გუმანით მიხვდა, რომ უკვე ადგომის დრო მოახლოვებულყო. გუნებაში სამამდე დაითვალა და მარდად წამოხტა საწოლიდან.

სამზარეულოდან ჭურჭლის ჩხარუნის ისმოდა. ნინიკოს ცხვირში ეცა ერბოკვერცხისა და დაბრაწული პურის სუნი. გაუხარდა, ეტყობოდა, დედა მის საყვარელ საუზმეს „ყიყლიყოს“ ამზადებდა. მადანვე მოსულმა სწრაფად გადაიცვა კაბა და პირის დასაბანად გაექანა. ხელები შეიმშრალა, თმა გადაივარცხნა და სარკესაც გაეკექლუცა, მერე ორეულს ენა გამოუყო და სამზარეულოს მიამურა.

დედა უკვე ჩაის ასხამდა. შვილის დანახვაზე თვალები გაუნათდა და ლოყაზე აკოცა. ნინიკო მხიარულად მიუჯდა მაგიდას.

— გაკვეთილები გაიმეორე, დედიკო? — ჰკითხა დედამ და ყიყლიყო გადმოუღო თეფშზე. — ისევ ის დაგვიტოვა, ვიცი, — მიუგო საჭმლით პირგამოტენილმა გოგონამ.

დედამ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, მაგრამ თქმით აღარაფერი უთქვამს, ტანსაცმლის გამოსაცვლელად გაეშურა. ვიდრე ნინიკო საუზმობდა, ის სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა. ნინიკო თან საჭმელს მიირთმევდა, თან მოღებულ კარში იჭყიტებოდა. დედის შემხედვარეს ერთი სული ჰქონდა, თვითონაც წითელი ლაქით დაემშვენებინა ფრჩხილები და თმაზე სურნელოვანი სუნამო ეპყურებინა.

დედამ იცოდა ქალიშვილის ამბავი, ამიტომ დროდადრო მკაცრი ტონით აფრთხილებდა: — ნინი, ჩემს ყურებას თავი დაანებე და დროზე დაამთავრე საუზმე, სკოლაში გაგვიანდება!

ახლაც იგივე გაიმეორა დე-

დამ. ახალი კაბა გადაიცვა და ნინიკოს გამოსძახა:

— მორჩი? წასვლის დროა, გვაგვიანდება!

გოგონაც ამ დაძახებას ელოდა, ცარიელი ჩაის ჭიქა გვერდზე მიაცურა და სკამიდან ჩამოსრიალდა. მერე დედაშვილმა თავ-თავიანთი ჩანთები მოძებნეს და გარეთ რომ გადიოდნენ, კიდევ ერთხელ შეამოწმეს, კარგად დაიკეტა თუ არა კარი.

ქუჩაში უკვე ხალხმრავლობა იგრძნობოდა. გადასასვლელზე ფაციფუცით გარბოდნენ ადამიანები, მიჰქროდნენ ხალხით გაჭედილი ავტობუსები და ტროლეიბუსები. ნინიკო და დედამისიც შეეჭყლიტნენ ერთ მათგანში. ვიღაც უცნობი, სქელი ძია, ლიბით წარამარა აწვებოდა და გოგონას ჩანთა ხელიდან უვარდებოდა. სულის მოთქმა გაუჭირდა, სცადა, მოხერხებულად დამდგარიყო, მაგრამ არ გამოუვიდა და უმწეობისაგან კინაღამ ცრემლები ჩამოსცვივდა. ამასობაში უკვე მივიდნენ კიდევ სკოლის გაჩერებაზე. ტროლეიბუსმა სვლას უკლო და მგზავრები არც კი დაელოდნენ, ისე დაუწყეს კარებს მიწოლა. გოგონა ისევ მოექცა მათ შუაგულში. მაგრად ჩასაჭიდა ხელი დედის მკლავს და ტირილით ჩაიჩურჩულა: — დედიკო!

დედას არ შეუნიშნავს მისი ცრემლიანი თვალები. ჩქარობდა. ის შემდეგ გაჩერებაზე უნდა ჩასულიყო და ამიტომ მხოლოდ ჩანთიდან შეეშველა შვილს, მერე სწრაფად აკოცა ორივე ლოყაზე, ჰკუთით იყავიო, მიაძახა და ონავარი გოგოსავით შეახტა უკვე ადგილიდან დაძრულ ტროლეიბუსს.

ნინიკო იღვა და მოწყენილი გასცქეროდა გზას. ყოველდღე ერთი და იგივე მეორედებოდა და მინც ვერ შეეგუა, ახლაც შეტრიალდა და უხალისოდ წაათრია ფეხები სკოლისაკენ.

მერსს გულდამძიმებული და დაღლილი მიუჯდა. უგულისყუროდ უსმენდა მასწავლებელს. მხოლოდ ბოლო, ხატვის გაკვეთილზე გამოცოცხლდა. რამდენიმე ძირი მინდვრის ყვავილი და მზე დახატა, მერე ისევ მოიწყინა. ხატვის მასწავლებელმა შეატყო გოგონას უგუნებობა, მისკენ წამოვიდა და თავზე დაადგა.

— რა მშვენიერი ყვავილები დაგიახატავს, ნინიკო, სად ნახე ასეთი ლამაზი მინდორი? — მიეფერა მასწავლებელი მოსწავლეს.

— მამიკომ რომ წამიყვანა სოფელში, იქ ვნახე, — თქვა ენის ბორძიკით ნინიკომ და ლოყები ისე საყვარლად დაე-

ბურცა, რომ მასწავლებელმა ვერ მოითმინა, დაიხარა და აკოცა.

— რატომ ხარ ასეთი კარგი. ნინიკო, რატომ? — ალერსით, ცელქურად ჩაჰკითხა გოგონას.

— დედა მყავს კარგი და იმიტომ, — მორცხვად აუხსნა ნინიკომ. მასწავლებელს გაეღიმა. სხვა ბავშვებიც გამოცოცხლდნენ. ისინიც მასავით პაწაწინები იყვნენ, მაგრამ ნინიკო მათთან შედარებით მინც რაღაცნაირად გამოირჩეოდა. გრძნობდნენ ამას პატარები. მივიდოდნენ ხოლმე და წარამარა ლოყაზე უცაცუნებდნენ ხელს, ეფერებოდნენ. ახლაც მოეწონათ მისი პასუხი, და ცქერა დაუწყეს ნინიკოს. მერე ხატვა განაგრძეს.

მასწავლებელმაც მიატოვა ნინიკო, დაფისკენ წავიდა და თავის საქმეს მიუბრუნდა.

ნინიკოს ისევ გაეფანტა ყურადღება. იჯდა და ახლა იმას იხსენებდა, მამამ სოფელში რომ წაიყვანა და მინდორი აჩვენა.

მალე ზარიც დაირეკა. გაკვეთილები დამთავრდა. აიღო ნინიკომაც თავისი გატენილი ჩანთა და ეზოში გავარდა. გაკვეთილების შემდეგ მის წასაყვანად მამა მოდიოდა ხოლმე და მოუთმენლად ელოდა. მალე დაიანახა ისიც.

სკოლის გარეთ, ჭადრის ქვეშ გაეჩერებინა მსუბუქი მანქანა. მკლავი საჭეზე ჩამოედო, სიგარეტს ეწეოდა და ჩაფიქრებული ნინიკოს უცდიდა. თავქუდმოგლეჯილი გავარდა გოგონა. მკვირცხლად მიიჩინა მანქანასთან და შიგ ჩასაჯუჭდა.

მამამ სიყვარულით ჩაიკრა გულში, მერე კარგა ხანს უყურა დაკვირვებით:

— რაღაც შეცვლილი მეჩვენები, ნინიკო, ცუდი ნიშანი ხომ არ მიიღე? — ჰკითხა შემოთებით. გოგონამ სწრაფად გააქნია თავი.

— არა, მოსამზადებელ კლასში ნიშნებს არ გვიწერენ, — აუხსნა მამას.

— ჰო, დამავიწყდა, — ეფა მოიქექა მამამ. — რა ვიცი, ისეთი სახე გქონდა, რომ!.. საჭმელს კარგად ჰამ?

— კი, — ისევ დაუქნია თავი ნინიკომ. — დედიკო კარაქს მიზოგავს, მარტო პურზე ვუსვამ.

მამამ ამოიხარა, არაფერი თქვა, გვერდზე შეტრიალდა და მანქანა აამუშავა. მერე სწრაფად გააქანა სუფთა გზატკეცილზე. ნინიკო უკვე მშვიდად იჯდა და მამას შეჰყურებდა. მამას საფეთქლები შეჭარბებოდა და ნინიკოს აზრით ძალზე უხდებოდა.

— როცა გავიზრდები, მეც მინდა, რომ ჭადარა თმა მქონდეს, — თქვა უცებ ნინიკომ.

მამამ გაიცინა და სიჩქარე გადაართო.

— შენც ინატრე, ნინიკო, ღარა სიბერის ნიშანია.

— აბა, შენ ბებერი ხარ? — ნაწყენივით წამოიძახა გოგონამ — მე მაინც მინდა, რომ ჭადარა თმა მქონდეს, — დაიყინა თავისებურად. მამა იღიმებოდა. თან მუნებზე უცაცუნებდა ხელს. მერე მანქანა დაამუხრუჭა და შეჩერდა კიდევ. — მოვედით, — თქვა სევდიანად.

ნინიკომ აიხედა და საკუთარი სახლი დაინახა.

— ასე მალე? — იკითხა გულდაწყვეტილმა. მამამ არაფერი თქვა, გოგონას გადმოსვლაში უშველა და კარები მიკეტა.

— არ ამოხვალ ზევით? — გაბუტულივით ჩაიჩურჩულა გოგონამ.

— ხომ იცი, საყვარელო...

— არც ერთი სართულით? — კინაღამ გული ამოუჯარდა გოგოს. მამამ ამოიხარა და გვერდით გაჰყვა ნინიკოს. ვიდრე საკუთარი სახლის კარამდე არ მიიყვანა, არ მოეშვა.

— ასეთი კარგი მამიკოა და რატომ ეჩხუბება დედა? — გაიფიქრა მწუხარებით, — ასეთი კარგი დედიკოა და რატომ არ უყვარს მამას?

ძალიან უნდოდა, პასუხი მიეღო, მაგრამ ხმამაღლა შეკითხვა მინც ვერ გაბედა. არადა, მამის გაშვებაც ეძნელებოდა და დედასთანაც უხდოდა ყოფნა. ორწყალშუა ჩავარდნილი უმწეოდ ელიცილიცებოდა მამას. მამას უკვე ზარის ლილაკზე ელო თითი. კარი გაიღო და დედაც გამოჩნდა. დედის დანახვაზე მამა შეკრთა და უკან დაიხია. დედაც შეკრთა. მშვანე თვალებში სიცივე ჩაუდგა. ნინიკო ხან ერთს შეხედავდა ხოლმე, ხან მეორეს. ორივეს უსიტყვოდ ემუდარებოდა რალაცას, მაგრამ იმით არ ესმოდათ. სიჩუმით თითქოს ერთმანეთს უგებდნენ ნიშნს. მარტო ნინიკო იჭყლიტებოდა ორთა შუა.

— დედიკო, შეიძლება რომ მამიკო ჩვენთან შემოვიდეს ცოტა ხანს? — ხვეწნით წამოიძახა უცებ და მუნებზე მოეხვია დედას. დედამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, შემკრთალი მამა დაიხარა, ნინიკოს სწრაფად აკოცა და ლიფტში შევარდა. ლიფტი გრუხუნით დაეშვა დაბლა.

ნინიკომ დამნაშავესავით შეხედა დედას. ძალა აღარ ეყო სახლში შესასვლელად. პატარა გული უფანცქალებდა და სავულებიდან ამოხტომას ლამობდა. მკერდზე მიიხუტა ჩანთა, იქვე, კედელთან ჩაკუტქდა და თავდახრილი ჩუმად, უმწეოდ ასლუჯუნდა.

სამანქანე გზას გვერდი ავუ-
ქციეთ და პირდაპირ მთაზე
გადავედით. მანძილი სოფლამ-
დის ერთი-ორად შემცირდა.
დაღმართზე სიარული ისე აღარ
ჭირდა. უღრანი ტყით დაფარ-
ული ფერდობები ჩავათავავეთ
თუ არა, სოფლის განაპირა
აივანმოჩუქურთმებულ, ძველ
სახლს მივადექით.

კარი გამოხურული დაგვიხვ-
და. ბუხარში შეგდებულ დიდ
კუნძს ცეცხლი გვარიანად მოს-
დებოდა. ფართო ოთახში, სა-
ამოდ თბილოდა.

— ბებო არ მოვძებნით? —
ვიკითხე, როგორც კი ოდნავ
სული მოვიტყვი.

— სიარულის თავი არა მაქვს,
— წამოიძახა ვიამ.

— ამდენი არასოდეს მივ-
ლია ფეხით, დავილაღე, — და-
შემატა ნუკრიმ.

— რა მოძებნა უნდა, გზა არ
აერევა და კვალი. აგერ, იალ-
ნოს მთაზე ისე ავა და ჩამოვა,
ერთს არ შეისვენებს, — უღარ-
დელად თქვა გედიამ და მზა-
რი იცვალა.

გული შინ არ მიდგებოდა.
ბავშვობა ამ სოფელში მქონდა
ვატარებული, აკვირებული
სურვილი გარეთ მეწეოდა.

უხმოდ გამოვიხურე კარი.
გვერდიდან შემოვუარე ეზოს
და საურმე ვხიოთ ქაჩალგორას
თავზე მოვექეცი.

ვახაფხულის მოლოდინში
გაუჩუქებულყვანენ ზვიადი მთე-
ბი. ბუნებას ეძინა. გადაძახი-
ლის სიშორეზე გაბნეული ძვე-
ლი სახლების ბუნებრიდან ამო-
მავალი ნისლისფერი კვამლი
მდორედ მიიზღაზნებოდა ცი-
საქენ. იმათგან მხოლოდ ერთი
სახლი განმარტოებულიყო, თი-
თქოს ვაპბურტოდა სიციცხლე-
ს. მალღობზე შემდგარი პირ-
ქუში მოხუცის სახით იყურე-
ბოდა. ჯაგის ღობე შემოესხნათ,
ქვის მაღალი გალავანი შემოე-
ვლოთ და სოფლის უბრალოები-
საგან გაერიყათ ბეჩავი.

თვალი გედიას ბებოის სახლ-
კარს მოვატარე. სახლის უკან,
მყუდროში, პატარა ჯირკზე ჩა-
მომჯდარიყო მოხუცი. მზის
უძალო სხივებს მიფიცებულს
ჩასძინებოდა.

სირბილით თავქვე დავეშვი,
მიუუახლოვდი.

— ბებო, ბებო, — გამოვა-
ღვიძე მოხუცი და მის დაძარ-
ღვულ ხელებს შევეხე.

— შეილო, აქ საიდან გაჩნ-
დი? — გახარებული გადამეხ-
ვია ნინო ბებო. — ჩემი გედია
სადღაა?

— ბევრნი ჩამოვედით, შიგ-
ნით არიან, ისვენებენ. — რო-
გორა ხარ, ჩემო ბებო, სდარა-
ჯობ ხომ სახლ-კარს? ბედნიე-
რები არიან შენი შვილიშვი-
ლები, სულ ბავშვები იქნებიან,
სანამ შენ ეყოლები. მე კი, რა
მალე დაეკარგე ბავშვობა.

— დარდს ნუ შეაჭმევინებ
გულს, შვილო. ობლობა ძნე-
ლია, მაგრამ სატირალი არაფე-
რი გჭირს.

— ბებო, — ვეუბნები მუ-
დარით და ხელს ჩემი სახლის-
კენ ვიწვდი, — ვინ ცხოვრობს
ახლა იქ?

— იმ შეჩვენებულმა გაყიდა,
შვილო. ვილაც ქალაქელი სახ-
ლობს ზაფხულობით.

— თვითონ?

— თელავს გადაახლდა. გა-
უწყრა ღმერთი ეგეთ ბიძასაც,
ობოლს ლუქმა გამოგაცალა
პირიდან! — მითხრა მოხუცმა
და გამხმარ, ჩავარდნილ მკერ-
დში ჩამიკრა.

ალერსმა გული ამიჩუყა. გუ-
ლიანად ავტირდი, თითქოს მინ-
დოდა, რომ მისი შავი კაბის
ნაოჭებში დაგროვილი დარდი,
ბოღმა, ცრემლი ერთიანად ამო-
მენტხია და ერთხელ მაინც თავ-
ისუფლად ამომესუნთქა.

— მოგიკვდა ჩემი თავი, შვი-
ლო, ნუ იტირებ, ნუ დამალო-
ნებ, — მომეფერა დედაკაცი
და ნაჯაფი ხელებით სათუთად
ამომიწმინდა თვალები.

აი, ასეთი ხელები ჰქონდა
ჩემს ბებოსაც, ასეთი უხეშო,
დამჭკნარი, პურის ქერქივით
მკვრივი და ყავისფერი.

მზე დასავლეთისაკენ გადაი-
ხარა. ზამთრის მოკლე დღე მა-
ლე თვალს დახუჭავდა. აცივდა.

— შინ შევიდეთ, შვილო,
სუსხმა იძალა.

„შვილო“, — ხშირად მიმეო-
რებდა მოხუცი. უთუოდ
გრძნობდა, ამ ერთი სიტყვის-
თვის რომ მიყვარდა ასე ძლი-
ერ.



ქვრივები

ჩუმად გამოვიხურე კარი.
ძალს რომ არ დაეყვება, პუ-
რის ნატეხი გადავუგდე.

პაერში დაფარული სითბო
ტრიალებს. პირიშვითებში აქა-
იქ ამშრალა თოვლი. მიწის არ-
თბოს გამოპარული ნამცეცა
აიმწვანეები შერევიან ერთიან
სითეთრეს.

პატარა მდინარე აოფელს
ორად ყოფდა. ჭალის ნაპირე-
ბიდანვე იწყებოდა ციხესიმაგ-
რესავით ნაშენები ქვის მაღალი
გალავანი. მივიხედ-მოვიხედე.
კაციშვილი არასად ჭაჭანებდა.
პალტო გავიხადე, შარვალი ჩე-
ქმებს ზემოთ ავიკეცე და გა-
ლავანზე გადავძვერი.

უცხოდ მეჩვენა ეზო. ბებე-
რი კაკლის ხე მოეჭრათ, სა-
ცალფეხო ბილიკი გზად ექ-
ციათ, სახლისთვის ხია კიბე მო-
ეშალათ.

ძველი, ჩვენი ნაქონი ბოქ-
ლომი ედო კარებს. გასაღებს
ფურნია გამოწეულ ქვაზე ვი-
ნახავდი. ინსტიქტით მოვძე-
ბნე. სამალავი ცარიელი იყო.

აივნიდან გადავძვერი და,
როგორც ქურდი, ისე შევიპარე
სახლში. ერთი ოთახი ღია იყო.
უბრალოდ გადმოურახათ. ყვე-
ლა ძველმანი აქ შეეყარათ.
სახლი ისე გაეყიდათ, თითქოს
მემკვიდრისათვია გადაელო-
ცათ.

„მოგიხვდები მშვიდობით,
თეო ქალო“... მეჩურჩულე-
ბო-
დნენ ნესტიანი კედლები. სულ-
შეგუბებული მივბრბოდი ერთი
ნივთიდან მეორეთან. ისინი
იველები იყვნენ, ჩემი და ბე-
ბიას დროინდელები.

კუთხეში ნარიყი შეშა იყო
დაგროვილი. ცეცხლი შევანთე
და ბუხრის წინ პატარა აკამზე
ჩამოვჯექი ხანდაზმული მასპინ-
ძელივით.

ამ ადგილას მიყვარდა ჯღო-
მა, თუმცა თვალი მაინც ბე-
ბიას სკამზე მრჩებოდა. თუ წა-
მოვსკუბდებოდი, წამომავდებ-

და. უფროს-უმცროსი იცოდეთ.
— დამიტევდა.

გული მწყდებოდა, აულ ბე-
ბია რომ იჯდა იმ სკამზე. ერთ-
ხელ ვუთხარი:

— ბებო, როდის მოკვდები?

— რათა შვილო?

— მანდ დავკვდები და ჩემს
შვილიშვილებს კერძა დავუხ-
ხამ.

რად ვნატრობდი ბებიაა სი-
კვდილს? მეგონა, გავიზრდე-
ბოდი, ბებია გავხდებოდი, ბე-
ბია კი დაპატარავდებოდა და
ჩემი შვილიშვილი იქნებოდა.

— ბებო, რად გაცვივა შავი
კაბა, ჭრელი ჩაიცვი რა?

— თვალი დაუდგა სიკვდილ-
სა, — ატირდებოდა და კედე-
ლზე გამოფენილ სურათებს
ჩამოუვლიდა. ეს ფარდაგი, ახ-
ლა კედელს რომ მიღობოდა.
მაშინ გადიდებული სურათებით
იყო სავსე.

— ბებო, ეს გოგო და ბიჭი
აულ მე რად მიყურებენ?

— დედ-მამაა შენი, ვილას
უყუროს!

— გახსოვია, ბებო?

ჩემმავე ხმამ გამომარკვია.
ოთახში ჩამოხნულეულიყო.
ვიწრო სარკმლიდან შემოჭრი-
ლი სინათლე ბუხრის მკრთალ
შუქს შერეოდა. კედლებს მე-
წამული ფერი დაადებოდა.
აჩრდილებით სავსე მეგონა
სახლი.

— რას სჩადი, რას? — გამი-
ელვა შიშმა და გარეთ გამოვ-
ვარდი. აივნიდან ჩამოცურ-
დი, სახლს გავშორდი.

ცა შავ ღრუბლებს დაეფარა.
იალნოა მთებიდან ზანტად
მოცურავდა სველი ნისლი.
წყნარმა ნიავმა დაჭკროლა,
მერე გაძლიერდა, მალა აიჭ-
რა, ისევ თოვლს დაენარცხა.
წამოურია, ააკოროანტელა.

გალავანთან მიაუღმა სახლს
მივხედე. ბუხრიდან ამომავ-
ლი კვამლი ნისლს ერეოდა.
ქარს კი შორს მიჰქონდა სი-
ციცხლის ნაშთი.

მთელ ღამეს ბობოქრობდა ქარიშხალი. ჩემკენ იწვედა. გავუბოდი, მაგრამ მეწეოდა, ცხელი ამონაუნთქით მწვავავ. გაწამებული სახლთან დავფარფატებდი. ოთახის ღია კარის დაჯანგული ანჯამები საზარლად ღრჭიალებდნენ.

სახლი ირწეოდა, მიღიმოდა...

„ვერ მიცანი, შვილო? დედა ვარ შენი“.

„ვერ მიცანი, შვილო? მამა ვარ შენი“.

პირი მიშრებოდა, ვიწვებოდი, ფერისცვალება კი გრძელდებოდა.

„შენ მოგიკვდა შენი ბებო, შვილო!“ — მიახლოვდებოდა შეწუხებული სახლი თუ ბებია, ველარ ვარჩევდი.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, შვილო! — ჩამესმა ტირილნარევი ხმა. შუბლზე სისველე ვიგრძენი. დამძიმებული ქუთუთოები ნელ-ნელა ავწიე. თავს ნინო ბებო დამტრიალებდა. ბიჭებიც იქვე იდგნენ. გედიას თვალებში შიში დავინახე.

გრძნობაზე გვიან მოვედი. ვერ მივხვდი, სად ვიყავი. ნინო ბებოს დანახვაზე თვალებში ციციანათელები ჩამისახლდნენ. ბიჭები მოვიკითხე.

— წავიდნენ, შვილო. იმ ბალებმა აიჩემეს და გედიაც გაიყოლიეს.

მე ავად ვიყავი და ბიჭები წავიდნენ? გედიაც წავიდა? გაიდა და ნუკრის ხათრი ვერ გაუტეხა და წავიდა.

— სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, შვილო, — ფიქრს მიმიხვდა მოხუცი.

სალამოს წამოვდექი. სარკმლიდან სოფელს გავხედე. თოვდა. მიწა თეთრად იხვინებოდა.

— ბებო, იცი, როგორ გვზრდიდნენ საბავშვო სახლში? მაინც არ ვიყავი კმაყოფილი. სულ ვტროდი. მენატრებოდა აქაურობა, ყველანი მენატრებოდით. ვერ მიგახვედრებ, როგორი იყო ის მონატრება. ზოგჯერ ხომ გრძნობ, თუ არ ჩაისუნთქე, მოკვდები. ასე მემართებოდა. მერე თანდათან მივეჩვიე... უპაეროდ სუნთქვას მივეჩვიე. გედიამ რომ გავიცანი... — სიტყვა გამიწყდა, როგორც ბავშვობისას, ატირება მომიხდა. — არ უნდა წასულიყვენ ბიჭები. გედიამ მაინც როგორ წავიდა.

— სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. მეც ვაიძულე.

— შენ, ბებო?

— ჰო, მე. თუ უყვარხარ, აქვე ამოვა.

მოხუცმა პირველმა უწოდა გედიასა და ჩემს მეგობრობას სხვა სახელი — სიყვარული. ნუთუ მართლა დაიბადა ეს

გრძნობა, ნუთუ მართლა მიყვარს გედიამ?

— შვილო, იმ დღესაც ვითხარი, გულს გაფრთხილება უნდა-მეთქი. აბა, ჩვენ რაღა გვექნა, რით გვეწამლა განშორებისათვის. ომი იყო, ყველა მიდიოდა... გედიას პაპაც... შუალამისას გამოგვემშვიდობა. სათითაოდ ჩაკოცნა ხუთივე შვილი. თვალები სველი ჰქონდა, თუმცა ცდილობდა, ცრემლები ჩემთვის არ დაენახეზინა. სიტყვები უწყდებოდა. — ჩემო ნინო, ჩემო ნინო, მიმეორებდა დაუსრულებლად.

— ნუ წახვალ, ნუ, — ვჩუჩრჩულედი მეც უგონოდ, თან ხელს ვკრავდი, ვუბიძგებდი. ქვეყანას უჭირდა და, ის ჩემი ხუთი შვილი, მაშინ მშვიდად რომ ფშვინავდნენ, მას და მისთანების სიცოცხლეს უნდა დავეფარა.

— ქალის გული საოცარი რამ ყოფილა, შვილო. წინათ გრძნობა ჩამძახოდა, კიდევ შეხედე, კიდევ, კიდევ, უგუზურო! — ეზოში ხესთან შედგა, მოხედა და წავიდა იმ გზაზე.

მოხუცი წყნარად ლაპარაკობდა, არ ტირიდა, ვითომ სხვათა ამბავს ჰყვებოდა. თვალები ცეცხლს მიაყინა, გაქვავდა, გაირინდა.

— კარგა დრომ გაიარა ამ ყოფაში.

— გული არ ბერდება, თურმე. ეს სატალე ხელ-ფეხი კალარ ემორჩილება იმის ნებას, — ჩაინანა ნინო ბებომ.

— კარმა დაინახურა. ორივენი შეგვკრთით. ნინო ბებო წამოვდგა.

— რას შვრებით, ბებრებო, ცოცხლები ხართ? — მოულოდნელად ოთახში მხრებში ოდნავ მოხრილმა, თეთრწვერა გოლიათმა შემოაბიჯა. დაათვლილი ქუდი მოიხადა, ჩექმები შემოსასვლელში მიაწყო და შინაურით გაიარ-გამოიარა.

— ჯერ მარიამთან გადავედი, სინათლე რომ არ ენთო, მივხვდი, აქ იქნებოდა. სატალემ რა ქნა, ზამთარი უკან შემობრუნდა. მეგონა, სიცივე გატყდებოდა.

— შენ თავად როგორ ხარ, ადამიანო? — მხექალას შვილიშვილი მყავს სტუმრად, თეო ქალი, — ღმილით უთხრა ნინო ბებომ და პატარა სამფეხა სკამი დაუდგა იქვე, ცეცხლის პირას.

— ჩემოდენა მოიყარე, შვილო. — ვერ გიცანი და ბებერ დედაკაცს მივამსგავსე. — გულიანად გადაიხარხარა პაპა ლევანმა და თმაზე მაკოცა.

— სინათლე არ ენთო მარიამს? — ცოტა მოგვიანებით შეიცხადა ნინო ბებომ. — თბილად ჩაიცვი, შვილო, მე თავმკვდარმა ერთი კვირაა ვეღარ გადავხედე საცოდავს.

მარიამი მოშორებით ცხოვრობდა. მთების კალთებს შეფენილი სახლები შორიშორს იდგა. ვზა ოლოოოლოო იყო. ქარი სახეში გვეცმდა, სიარული ვვიჭირდა.

სინათლე გამორთულიყო. ხელის ლამპა მოვიძიეთ და ავანთეთ. ოთახი ბუნდოვნად განათდა. კუთხეში ვილაც იწვა. საბნები ზემოდან გროვად დაეყარა, ეტყობოდა, მაინც ვერ გამთბარიყო, კბილების კაწკაწით ვადმოვკვახა:

— რომლები ხართ?

— ადამიანო, რა თავს იქლავ, ცეცხლს ვერ დაანთებ?

— უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა პაპა ლევანმა. შეშა შემოიტანა და ბუხარში ცეცხლი დაანთო. ოთახში სითბო დატრიალდა. სინათლემ მოიმატა. გარკვევით გამოჩნდა საწოლში ჩამძვრალი დედაკაცი. ჩონჩხად ქცეული ხელები საბნის ზემოთ ამოსწია, სითბო ესიამოვნა. მერე გაჭირვებით წამოდგა, ბუხარის წინ დაგებულ დათვის ტყავზე დაჯდა და მხარი დაბალ სკამს ჩამოაყარდა.

— მთელი დღე მშვიერი იქნებოდი. უცნაური დედაკაცი ხარ, თავს ძალად რად იკლავ? წერა-მწერელი რომ მოგადგება, ის ჩვენი ცოდვით სავსე მიქელგაბრიელი თავს დაგიკრავს, აქ არ დაგტოვებს.

— არა მშია, თქვენმა სიცოცხლემ, გულ-მუცელი მეწვის, ლუქმას ვერ ჩავიდებ პირში. აი, ცხელ ჩაის კი დავლევდი.

— ნინო ბებომ ჩაიდანა შემოდგა, ჩვენ გვერდით ჩამოჯდა და საქსოვი ამოიღო.

— მასპინძელი დამაკვირდა, ვერ მიცნო და იკითხა:

— ვისია ე ქალი, რომ ვერ ვიცანი?

— ბეჩაო, ბეჩაო, — ატირდა დედაკაცი. — შარშანაც ყოფილხარ...

— რას შვრებით, ერთი კვირაა, ველარ ვადმოვხედე, — არ დაანება ჩემი მეტისმეტი შენება ნინო ბებომ მარიამს.

— რას ვშვრებით და შეშას ვუფრთხილდები. მეც რა, შვილები მყავს და ზამთრის სამყოფს მომიმარაგებენ. ეგეც სამადლოდ მომიტანეს მეზობლებმა.

— სამადლო არაფერი გჭირს, შენს ეზო-კარზე კი შეშა აღარ ეტევა, — ბრაზი გაერია პაპა ლევანს ხმაში.

— ამომძვრებოდეს ერთხელ სული, კარგი იქნებოდა, დავისვენებდი. ვამძიმებ დედამიწას, ხალხსაც ვაწუხებ. დაიქცა ჩვენი რჯულ-წესის დამწესებელი. მაგის მომგონმა იქტორა ჩემსავით, მაგის მომგონმა იცხოვრა ჩემსავითა, დადადაი... — მოთქვამდა დედაკაცი. არც იმან მოისვენა ჩემი ცოდვითა, რას წავიდა ადამი-

ნი, ხმის გამცემი დამენატრა ავად თუ კარგად ვიქნებოდით, მოვკვდებოდით და მიწას ყველა მოგვაყრიდა. — მთხუცი ვარ ჩერდებოდა, ვიწვევდებოდა, მაგრამ უბოროტო იყო ის ავი სიტყვები. მარტოობით შეებზრებული დედაკაცი მოსაუბრეს ხელავდა და ლაპარაკის ქინს იკლავდა.

— შვილო, მთელი ჰყავდა შინ, ძმისშვილები მოუვიდნენ და წაიყვანეს. დარჩა ეს საცოდავი მარტო. წესია ეგეთი მთაში, ყველა თავისიანს მიეპატრონება. მაგრამ ხშირად დიდ ცოდვასაც სჩადიან დალოცვილები. თუ შვილი არა ჰყავთ, სიბერეში ცოლ-ქმარსაც გაყრიან. — ეჰ! მარტოობა ჰქონდა დაბედებული იმთავითვე, ობოლ-ობრობით გაიზარდა, გათხოვდა და პატარძლობა არ დასცალდა. პირველი შავი ქალადი ამან მიიღო ფრონტიდან. — ჩუმად მითხრა ნინო ბებომ.

მარიამი ფიქრებში ჩაიძირა, თითქოს ჩასთვლიდა.

მინავლული, კვარივით მბუჩუტავი თვალები ჰქონდა მარიამს. ტუჩებს კიდევ აცმატუნებდა, თითქოს ცეცხლს ულოცავდა. შავი, ნაოჭებიანი კაბა კოქეზამდე სწვდებოდა. თავზე მოხვეული ხილბანდი თმოდან ჩამოსცურებოდა, თოვლივით თეთრი კულულები მოხრილ მხრებზე დაჰფენოდა. სახე უხეში ჰქონდა, ყავისფერი, ჩამომხმარი, თუმცა თეთრი თმის ჩარჩოში ჩამჯდარი დაღარული ნაკვთები, ჩანდა, ღვთიურ სილამაზეს ფარავდა.

— წელან სკამზე ჩამინებოდა, არეული სიმხმარი ვნახე, — დუმილი დაარღვია პაპა ლევანმა. წყნარი, მუღერი ხმა ჰქონდა პაპა ლევანს. დინჯად, ბებრული სიზანტით ლაპარაკობდა. ასი წელი ზურგზე რომ ეკიდა, არ ეტყობოდა.

— დედაკაცი ხომ არ დაგესიზმრა? ეჰ, ბედნიერი, მოკვდა და მოისვენა. ლევანო, ადამიანებმა გამიჭირით მიწა, ტრაქტორის ნათხარში არ ჩამაგდოთ, თორემ... მარიამი რაღაც უცხო ყინით ლაპარაკობდა.

— სიკვდილი იყნოსე. სიკვდილის ცნობის უტყუარი ალლო გაქვს. იგრძენი, მარიამი კვდებაო და გამოეშურე, აბა, როგორ დააკლდებოდი. არ მოკვდები. შენს ჯიბრზე არ მოკვდები. რაო, ყველა ბებერს შენ უნდა ავეგიო წესი? შენსავით ას წელს ვიცოცხლებ.

— ჩემო მარიამ, ადამიანი სიცოცხლეს ვერსად გაექცევა, თორემ იმდენი პირტირველა ბიჭი მიუბარებია მიწისთვის იმ ავადმოსაგონარ დროს ამ ხელებს, რომ... — აი, ვინ უნდა იცოცხლოს ასი წელი, — პაპა ლევანმა, თმაზე ხელი გა-



ქვემო სიკეთებზე გვეყვას

ლევან დოლიძე

● არცთუ ისე ხშირად შეიძლება შეხვედრე თბილისში ქართველ მეზღვაურ ოფიცერს, პირველი რანგის კაპიტანს. მენამდვილად ბედმა გამილიმა: გურამ პირველი მშობლიურ თბილისში ჩამოვიდა, რომ იტყვიან, ცხრამთას იქიდან. არიან ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრას ან საუბარს ყოველთვის მოაქვს სიხარული. ასეთი არის გურამ პირველი, თბილისის მკვიდრი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ორმოცდათხუთმეტი წლიდან ოცდათექვსმეტი წელი ზღვას, ხომალდებს, საფლოტო სამსახურს მოახმარა.

ის ჩამოვიდა თბილისში თავის ახლობლებთან. მე, საბედნიეროდ, მომიხდა მასთან ერთად რამდენიმე საღამოს გატარება და დავრწმუნდი, რომ ფლოტის „უნივერსიტეტები“ გურამ პირველმა შეითვისა ბრწყინვალედ, მასში შესანიშნავად შერწყმულია: თავმდაბლობა და საქმის კარგი ცოდნა, მოხდენილი იუმორიც, მსჯელობის სიბრძნე, გულის სითბო, სიმტკიცე და პრინციპულობა.

გურამ პირველი დაიბადა თბილისში, 1929 წლის 22 ივნისს.

გურამი თექვსმეტი წლისაც არ იყო, როცა გამარჯვება მო-

ვიდა და იმ დღეს, დილიდან საღამომდე აღფრთოვანებული დადიოდა ქალაქში. რუსთაველის პროსპექტზე ბიჭები შეხედნენ ყავარჯნიან ჯარისკაცს. უეცრად აიტაცეს ნაომარი ვაეკაცი და ასე მოატარეს მთელი რუსთაველის პროსპექტი.

სად წასულიყო?!.. ასეთი კითხვა არ არსებობდა გურამისათვის, როცა ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. რასაკვირველია, ზღვაზე, ხომალდებთან... ამ არჩევანზე გავლენა იქონია ვლადიმერ ლეჟავამ — მისმა ბიძამ, იმ წლებში პირველი რანგის კაპიტანმა, ცნობილმა ქართველმა მეზღვაურმა, ლენინგრადის ეპოპეის მამაცმა მონაწილემ.

პირველების ოჯახში ხშირად საუბრობდნენ ზღვაზე, ფლოტის სამსახურზე, ჭეშმარიტ მამაკაცურ ხასიათზე...

და აი, გურამი კურსანტია. წარმატებით ამთავრებს ლენინგრადის ფელიქს ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებელს.

საფლოტო სამსახური კასპიის ზღვაზე. შემდეგ ფლოტილია. გონიერი, განათლებული ოფიცერი, სამხედრო მეზღვაურის დამსახურებულ ავტორიტეტს იხვეჭს. იქვე მიიღეს პარტიის რიგებში. უკვე კაპიტან-ინჟინერი ჩრდილოეთის ფლოტში ნაწილის მეთაურია, ამჟამად წითელდროშოვანი წყნარი ოკეანის ფლოტშია. პი-

რველი რანგის კაპიტანს, ორდენებითა და მედლებითა აქვს მკერდი დამშვენებული.

ძალზე ძუნწად გვესაუბრება გურამი საკუთარ თავზე, ოჯახზე, წინაპრებზე, თუმცა სალაპარაკო ბევრი აქვს. პაპამისი — მიხეილ პირველი, მეზღვაური ბოლშევიკი, მენშევიკებს მოუკლავთ. მამასაც მიხეილი ერქვა, ცნობილი კაცი ყოფილა სვანეთში. მის შესახებ დაწერილ წერილში მწერალი აკაკი გელოვანი ამბობს:

„...პირველი—გვარია, მაგრამ სვანები ამ დალოცვილ კაცს ისედაც პირველს უწოდებდნენ. რა გვარიც უნდა ჰქონოდა. სვანი ტყუილად არაფერს იტყვის. მიხეილ პირველი წლების მანძილზე მართლაც პირველ თავკაცად, მოამაგედ და მახვმად ითვლებოდა ზემო სვანეთში, სადაც ძველი ქართული ზნის, ენის, სიმღერა-გადმოცემებისა და გმირული სულისკეთების ათასწლეულების ქარცეცხლში უნაკლოდ გამომტარებულ ტომს ახალი ცხოვრების ყველა სიკეთეც ესაჭიროებოდა და ამ მხრივ თითქმის არარაისგან რაიმე უნდა შეექმნა. არ იყო გზა, არ იყო შუქი, ჭირდა საზოგადოება-იქ ენთო ცოდნის კერების მბუჟტავი სახელები — დაწყებითი სკოლები... სვანეთს ესაჭიროებოდა თავისი ჭირ-ვარამის მცოდნე, ამ კუთხის ერთგული შვილი, მოამაგე, ენერგიული კაცი, რომელსაც სურდა და შეეძლო ეთესა სიკეთე. ასეთი კაცი გახლდათ მიშა

პირველი, — სვანეთის მახვში“...

დაახ, მას თბილისში, მის მშობლიურ ქალაქში შეხვედრი. როგორც წესი, იგი ყოველ შეხვედრას აქ ატარებს, ნათესავ-ახლობლების წრეში. ხარობს და ამაყობს, რომ ქალიშვილი ირინე და ვაჟი მიხეილი თბილისში დაიბადნენ. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვიტყვი: გურამის ვაჟი, ისიც მიხეილი, მამის კვალს გააყვრ. დაამთავრა ლენინგრადის ენჯინისკის სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი და ორგზის წითელდროშოვან ბალტიის ფლოტში მსახურობს.

საუბრისას გურამ პირველმა ბევრი გულთბილი სიტყვა მითხრა ჩვენს სახელოვან გმირზე, ვიცე-ადმირალ გიორგი აბაშვილზე, კონტრ-ადმირალზე ვლადიმერ ლეჟავაზე, კონსტანტინე სუხიაშვილზე. განსაკუთრებული მოწიწებით ილაპარაკა კონტრ-ადმირალ სიმონ რამიშვილზე, ამ არაჩვეულებრივ პიროვნებაზე, დიდად ერუდირებულ საზღვაო სპეციალისტზე, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, იტალიურ ენებს.

გულწრფელად ვუსურვებთ გურამ პირველს — ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, როგორც ეს მის გვარს შეეფერება, იყოს ყოველთვის პირველი, ყოველ სასიკეთო და საჭირო საქმეში, სამშობლოს საბედნიეროდ.

დამისვა, — იცოცხლებენ კიდევ, მშვიდობა იყოს თორემ, კაცის სიცოცხლეა წინ რა დაუდგება.

— არ ვარგა შავ-შუალამით ყოველ წუთს სიკვდილის ხსენება, დაჩუმიდით, — ჩაერია საუბარში აქამდე ჩუმად მყოფი ნინო ბებო.

— შენ რა გიჭირს, ბედნიერს, ხუთი შვილი დაგიტირებს. მე, შავბედზე დაბადებულს, ამ ქვეყანაზე კაცი მომგონე არა მრჩება, არა, — ტირილდა მარიამი, თვალები ელულებოდა, კანკალბდა.

— ლოგინში ჩაწევი, ჩათბები და ციება მოგეშვება. — პაპა ლევანი მარიამს მხარში შეუდგა, საწოლამდის მიიყვანა.

— ისეთი ციება მჭირს, კაცს რომ აღარ მოეშვება, — ჩაიცი-

ნა მარიამმა და მალე ფშვინვა ამოუშვა.

— ჩვენ წავალთ, ლევან. ბალს ეძინება, დილით გადმოგხედავ.

— დავრჩეთ რა, ბებო, ცოდვაა მარიამი.

— არა, წავიდეთ, — არ დამანება ნინო ბებომ.

— გათბი და დაიძინე, რა ხანია შუალამე გადავიდა, — მითხრა ნინო ბებომ, როგორც კი შინ მოვედით. მოხუცი მფოთავდა, ვერ ისვენებდა.

ძალი ვიღაცას დაეტანა, მერე აწკმუტუნდა.

ალბათ მეზობელია, გავიფიქრე და ნინო ბებოს სკამზე გადავჯექი. ალს ბუხარი გავე-

სო, კეკლუცობდნენ ცეცხლის ენები.

— გული მიგრძობდა, რომ მოვიდოდა, — მხიარულად თქვა ნინო ბებომ.

მოვიხედე. კარებში გედია იდგა.

ფეხზე არ ავმდგარვარ. თავი დაეხარე და ჩუმად ავტირდი.

მეორე დილით უთენია აგვაყენა ნინო ბებომ.

— წადით ახლა და არ დამივიწყით, რომ გაზაფხულდება.

— მარიამი, ბებო? — ვნახავთ და ისე წავალთ.

— არა, არა, ხელები გაასავსავა მოხუცმა. — წადით, ადრიანად წასვლა სჯობს.

ვბრუნდებოდი თბილისში და გული იმათთან მრჩებოდა.

— ოღონდ თქვენ იცოცხლეთ, ბებო, ოღონდ თქვენ იყავით კარგად, ხშირად ამოვალ, სულ ერთად ვიყობ, ერთად შევებრძოლოთ მარტობას.


ბებო, თქვენზე დავწერ, ქვეყანას გავაგებინებ, რომ მცხეთის რაიონის სოფელ კველიანში ცხოვრობთ, ნინო პეტრეს ასული...

„შვილო, გვარებს ნუ დაწერ, წითელარმიელის ქვრივობა გვირჩევნია. ორმოცი წელია მაგ სახელს ვატარებთ და მივეჩვიეთ.“

გედიას ხმამ გამომარკვია. შემეშინდა. მივხვდი, უმშვენიერესი თემა მქონდა, მაგრამ...

შევძლებდი კი მის ხორც-შესხმას?

— ვინ უწყის...



მართალი გოგია

სანდრო მამასახლისი

ჟურნალისტი

ნაწყენი ვარ





ქართული
ლიბრერი



ძველი თბილისი

მიხეილ შვიტია

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი



ბაკურაანის წიფლები



ჯიხასკარი



ბათუბა

ნიკო პაჩია

ალექსანდრე ბარამიკა,
აკადემიკოსი.



ქრონიკალი
ნიკოლოზი

ჩვენი დიდი თანამემამულე, სახელ-
ვანთქმული საბჭოთა მეცნიერი, აკა-
დემიკოსი ნიკო პაჩია იყო ფართო
პროფილის ორიენტალისტი-ფილო-
ლოგოსი და ენათმეცნიერი, ვიწრო
სპეციალობით — ქართველოლოგი და
არმენოლოგი.

ნიკო პაჩია იმთავითვე გატაცებით
ეწეოდა პირველად „შავ“ სამუშაო-
ებს. სწავლობდა და იკვლევდა სხვა-
დასხვა ხელნაწერ ფონდს შინ და გა-
რეთ, ადგენდა ინდექსებს, კატალო-
გებს, სამეცნიერო აღწერილობებს.
სხვებსაც აქეზებდა არქეოგრაფიული
და არქეოლოგიური მოღვაწეობისათ-
ვის.

ივანე ჯავახიშვილთან ერთად სინას
მთაზე და იერუსალიმში 1902 წლის
ექსპედიციის შედეგების მარისეული
წინასწარი ანგარიშის გამოქვეყნებამ
ევროპული მასშტაბის სენსაცია გა-
მოიწვია.

ნ. პაჩია პირველმავე პუბლიკაციე-
ბა და გამოკვლევებმა მოხუცეებს
დიდრი სახელი. ივანე ჯავახიშვილი
წერს: „თავის სამაგალითო ენერ-
გიით, დაუღალავი შრომის უნართა
და აღფრთოვანებული შრომის სიფა-
ქიზით, პროფ. ნ. პაჩია ქართული და
სომხური ფილოლოგიის დონე ერთ-
ბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომ-
ელზედაც დას. ევროპის თანამედ-
როვე ფილოლოგია“.

ამასთან ერთად ისიც გარკვევით
უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად
ნ. პაჩია აზვიადებდა უცხოური შე-
მოქმედებითი ძალების მნიშვნელო-
ბას ქართული სულიერი კულტურის
სათვის. მარი ყოველთვის არ იყო
თანამედვერული თავისი ნაფიქრ-
ნაზრებით, მას ზოგჯერ წამოუყენე-
ბია კიდევაც სრულიად მოულოდნე-
ლი და მცდარი მოსაზრება ქართული
კულტურის სასიცოცხლო საკითხებ-
ზედაც კი (მაგ. მუსლიმანური კონ-
ცეფცია ვეფხისტყაოსანზე, 1917 წ.).
ზოგჯერაც ერთიმეორისათვის შეუ-
თავსებელსა და ერთი მეორის გამო-
მრიცხავ თვალსაზრისს ავითარებდა,
ეს კია, ნ. პაჩია აროდეს თაილობ-
და თავისი შეცდომების დაუზოგავად
კრიტიკას (თვითკრიტიკას).

გარდატეხა მარის აზროვნებაში შე-
დარებით ადრე დაიწყო. ჩემი ფიქ-
რით, ამას ხელი შეუწყო ორმა გა-
რემოებამ: 1. ქართველი მოწინავე
საზოგადოების, კერძოდ, ილია ჭავ-
ჭავაძის მხრივ უცხოეთის შემოქმე-
დებითი ძალების ქართულ კულტურა-
ზე შემოქმედების მარისეული კონ-
ცეფციის უკომპრომისო პრინციპუ-
ლმა კრიტიკამ; 2. დროის ახალმა
ქროლომა, 900-იანი წლების რევოლუ-
ციურმა აღმავლობამ და ჩვენს ქვე-
ყანაში სახალხო მოძრაობის გაძლიე-
რებამ. შემთხვევითი როდია, რომ
სწორედ ამ ხანებში გამოქვეყნდა
ცალკე წიგნად ნ. პაჩიის ბრწყინვა-
ლე მეცნიერულ-პუბლიცისტური ნა-
შრომი „საქართველოს ისტორია“. ამ
ნაშრომით ავტორი სრულ თანაგრ-
ძნობას უცხადებს განმათავისუფლე-
ბელ მოძრაობას, დაუნდობლად ამ-
ხელს თვითმპყრობელობის შავრაზ-
მულ-შოვინისტურ პოლიტიკას. ნ. პა-
ჩია აქტიურად დაუჭირა მხარი ქარ-
თველი მშრომელი ხალხის ბრძოლას

სოციალური თავისუფლების მოსაპო-
ვებლად, კმაყოფილებით შეხვდა ქარ-
თველობის ჯანსაღი ეროვნული თვით-
შეგნების გადგომას. შავრაზმელი
დეკანოზის ი. ვოსტოგოვის პროგნო-
სტიკული საქმიანობის საშუაროზე
გამოტანასთან ერთად, ნ. პაჩია ამ
წიგნში მოკლედ, თვალის ერთი გა-
დავლებით, იხილავს ქართული კულ-
ტურის განვითარების გზებს უძვე-
ლესი დროიდან XIX საუკუნის დამ-
დეგამდის და აჩვენებს ქართველობის
გასაოცარ შემოქმედების პოტენ-
ციას. მარის სიტყვით, წერა-კითხვის
შესწავლას შეიძლება მოუნდეს კვი-
რები, თვეები და წლები, ხალხის
კულტურისთვის კი სჭირდება საუ-
კუნეები. ქართველობამ წარმართობი-
სას დაუდო სათავე თავის შესანიშნავ
კულტურას და ქარცეცხლში გამოა-
ტარა იგი. მიუხედავად მძიმე ისტო-
რიული ხვედრისა, როცა აღმოსავლე-
ლი დამპყრობლები ბოჭავდნენ ქარ-
თველთა შემოქმედებითს ძალებს, პა-
ჩია ქრისტიანულმა ქვეყანამ მიანიც
შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი დი-
დი ისტორიული ნაშაგარი.

ქართველთა ეროვნული სულისკვე-
თების გამოსახატავად ნ. პაჩია იმო-
წმებს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მე-
რანს“, ამბობს, რომ დედანში იგი
შეუღარებელი მუსიკალური კლო-
თია დაწერილი და გვთავაზობს ამ
ძეგლის მისეულ (და თავისი დროის-
სათვის) ჩინებულ რუსულ თარგმანს.
არც ის არის შესთხვევითი, რომ
1902 წელს გამოვიდა ნ. პაჩიის ერთი
უჩინებულესი ნაშრომი — „ძველ-
ქართველი მეხოტბენი“. XII საუკუ-
ნის ქართველ მეხოტბეთა ტექსტების
მარისეული გამოცემა ფილოლოგიუ-
რი ხელოვნების გვირგვინია, ხოლო
ამ გამოცემითა შესავალი წერილები
ფაქობი მეცნიერული კვლევა-ძიების
კლასიკური ნიმუშებია. შეიძლება ბევრ
რამეში (და არსებითშიც) აქ მარს
არ დაეთანხმეთ, მაგრამ გვიბლავეთ
მისი ფილოლოგიური განსწავლულო-
ბის სიღრმე, ფართო ერუდიცია, ძეგ-
ლების იდეურ-მხატვრული ანალიზის
სინატიფე, მიხედვითობის ალღო,
მახვილ-გონივრულ მოსაზრებათა სი-
უხვე. ნ. პაჩიის იშვიათზე იშვიათი
მეცნიერულ-კრიტიკული ნიჭი, ჩემი
აზრით, ყველაზე უფრო ნათლად
მეხოტბეებისადმი მიძღვნილ ნაშრომ-
ში გამოვლინდა. ნ. პაჩია ქეშმარი-
ტად ჩასწვდა მეხოტბეთა შემოქმე-
დებითს სულს, უადრესად ენაწყოლი-
ან-რიტორიკულ და ბუნდოვან სახო-
ტბო სიტყვათა გროვაში მან ამოიკი-
თხა მაღალი პოეტური აზრი, XII ს.
საქართველოს სოციალურ-პოლიტი-
კური ცხოვრებისა და კულტურული

ყოფის დიდი ამბავი. მარმა მნიშვნე-
ლოვანწილად გაწმინდა მეხოტბეთა
წარყვნილი ტექსტი, თითქმის ოდინ-
დელი მხატვრულ-ესთეტიკური სი-
ცოცხლე და ძღერადობა დაუბრუნა
უკიდურესობამდე „დაბურ დულ“
(აკაკი წერეთლის გამოთქმა) სახო-
ტბო ლექსებს. მან უცილობლად და-
ასაბუთა, რომ მეხოტბეთა დახვეწი-
ლი, რაფინირებული ლექსი როდია
მაჩვენებელი მართოდენ პოეტური
ტექნიკის საკვირველი სრულყოფისა.
მეხოტბეებს, კერძოდ, თამარის ავ-
ტორს, ჩაბრუნებდა, მარის გამოკვ-
ლევის თანახმად, მკაფიო მამული-
შვილურ-სახელმწიფოებრივი იდეო-
ლოგია ასულდგმულეს.

ნ. პაჩია ქართულ კულტურას შე-
სძინა X საუკუნის უმშვენიერესი
ძეგლი — „ცხოვრება გრიგოლ ხანძ-
თელისა“. იგი ნაშრომი 1902 წლის
შემოდგომაზე იერუსალიმში. 1904
წლის ზაფხულში ნ. პაჩია იმოგზა-
ურა შავშეთსა და კლარჯეთში, რათა
საფუძვლიანად შეესწავლა გრიგოლ
ხანძთელისა და მისი მოწაფეების
სამოღვაწეო ასპარეზის („ქართული
სინის“) ახლანდელი მდგომარეობა,
შემოწმებინა მერჩულეს მიერ საუ-
ცხოოდ მონათხრობი ძველი ქართუ-
ლი კულტურის ამ დიდებულ კერის
შესახებ. მარი დიდხანს სწავლობდა
„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“. მხოლოდ
1911 წელს გამოვიდა მერ-
ჩულეს თხზულების ტექსტი რუსული
თარგმანით, გამოკვლევით, ლექსიკო-
ნით და შეშვეთსა და კლარჯეთში
მოგზაურობის დღიურებით.

შედარებით მოკლე შესავალ წე-
რილში მარს მკაფიოდ აქვს გარკვე-
ული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრე-
ბის“ მნიშვნელობა ქართული სული-
ერი და მატერიალური კულტურის
ისტორიისათვის. „ლიტერატურული
თვალსაზრისით ძეგლი სპეციალის-
ტებისათვის წარმოადგენს ხილვასო“
(откровение), ამბობს მარი. „გან-
ცვიფრებას იწვევს, — წერს იგი, —
არა იმდენად მწიგნობრული ენის
სრულყოფილობა, რაც საუკუნეებით
ადრე იყო მიღწეული, არამედ ქარ-
თული შეტყველების ცხოველყოფე-
ლი თავისუფლება, სტილის სიმსუბუ-
ქე, ხალხურ ცოცხალ კილოვებთან
დაახლოების ტენდენცია, ე. ი. ის
ღირსება, რაც — როგორც წინათ
გვეჩვენებოდა — პირველად ორი
საუკუნის შემდეგ იყო შემოტანილი
ქართულ ლიტერატურაში მთლიანად
საერო მწერლობის მიერ“.

თავის გამოკვლევაში მარი ხაზს
უსვამს იმას, რომ მერჩულის თხზუ-
ლება თავისი რეალისტრობით იშ-
ვიათი მოვლენა საზოგადოდ ჰაგიოგ-

რაფიული ჟანრის მწერლობაში. მა-
რი საგანგებოდ ეხება ძეგლში აღბე-
ჭილი „ქართული ფეოდალური ცხო-
ვრების რომანულ ელემენტს“, ჩერ-
დება სიყვარულის იმ ორ ფორმაზე,
დროებითზე და ხანიერზე, რასაც
გვიხატავს მერჩულე. მარის სიტყვით,
ქართული ლიტერატურის ისტორიკო-
სი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრე-
ბით“ ლებულობს ახალ მასალას ქა-
ლის კულტის იდეის შემუშავების
თაობაზე ქართულ ისტორიულ სინა-
მდვილეში.

გიორგი მერჩულე აყალიბებს ერო-
ვნული თვითშეგნების ახალ, მაღალ
სახეობას ქართული საზოგადოებრი-
ვი აზრის განვითარების სახელოვან
ისტორიაში. მწერალი იუწყება: „ქარ-
თლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხე-
ბის, რომელსაც შინა ქართულითა
ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვა
ყოველი აღესრულებს“.

მერჩულეს ამ განცხადებით ქარ-
თლი მარნეულია საქართველოს აღმნი-
შნელ ცნებად: ქართლი ეწოდებოდა
იმ ვრცელ ქვეყანას, სადაც ქრის-
ტიანული ღვთისმსახურება (წირვა-
ლოცვა) სრულდებოდა ქართულ ენაზე.
ქართულ ენაზე კი ღვთისმსახურება
სრულდებოდა ყველა ქართველურ
ტომში როგორც აღმოსავლეთსა და
სამხრეთ საქართველოში, ისე დასავ-
ლეთში (აფხაზეთში, კერძოდ, სამე-
გრელოში, ქანეთში, სვანეთში) ქარ-
თველი ტომებისათვის ქართული იყო
სამწიგნობრო-სალიტერატურო და სა-
ღვთისმსახურო ენა. მერჩულეს გან-
საზღვრით, ქართული ენა იყო ის
ცხოველყოფელი ძალა, რომელიც
აერთიანებდა და ამთლიანებდა ქარ-
თველთა მოდგმას. გიორგი მერჩუ-
ლეს ქართული ენა ესახებოდა იმ
მტკიცე საძირკვლად, რომელიც ურ-
ყევად აკავშირებდა და ადუღებდა
მთელ ქართველობას, ქმნიდა მას ერთ
ხალხად, ერთ ეროვნებად, ერთი-
ანი ეროვნული თვითშეგნებით, ერთ-
იანი სარწმუნოებრივ-ეთიკური და
ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა-
ლებით. მართლაცდა, ქართველი
ტომების ერთ მძლავრ ცენტრალი-
ზებულ სახელმწიფოდ გაერთიანების
საქმეში უეჭველად უდიდესი როლი
შეასრულა ჩვენმა მწვენიერმა ენამ,
ჩვენმა დიდებულმა მწერლობამ, ჩვე-
ნმა სარწმუნოებრივმა აღმსარებლო-
ბამ და მწერლობით გამხელილმა მა-
ღალმა ეროვნულმა თვითშეგნებამ.

გიორგი მერჩულე დიდი ეროვნული მწერალი-მოაზროვნეა. დიდი ნიჭი მარის დამსახურებაც, რომელმაც წარმოაჩინა და გაგვაცნო ეს სასიქადლო მწერალი-მოაზროვნე.

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული შესანიშნავი ლიტერატურული დოკუმენტია. იგი შეიცავს უამრავ მასალას ამ მხარის ხუროთმოძღვრებიდან, ისტორიიდან, ეთნოგრაფიიდან, ხალხური სიტყვიერებიდან, დიალექტოლოგიიდან და ა. შ.

5. მარის დღიურები მკითხველს უორკვეებს პატრიოტულ გრძობებს და უძლიერებს საოცნებო ნატვრას— დაუბრუნდეს დედამამამოვლას მძლავრობით მიტაცებული მისი გამაპაპეული მიწა-წყალი, ჩვენი წინაპრების ოფლითა და სისხლით მორწყული ჩვენი ტაო-კლარჯეთი.

სპეციალური ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა მარმა ქართული ფილოსოფიური აზროვნების გამოჩენილ წარმომადგენელს — იოვანე პეტრიწს (1909 წ.). მას გარკვეული აქვს, თუ რა სიმაღლემდის ავიდა ფილოსოფიური აზროვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში, როდესაც „ქართველებს ფილოსოფიის დარგში აინტერესებდათ იგივე საკითხები, რაც ოზიდავდა მოწინავე ადამიანთა გონებას მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, იმ განსხვავებით, მაგალითად, ევროპელებისაგან, რომ ქართველები სხვებზე ადრე ეხმარებოდნენ ფილოსოფიური აზრის უახლეს მიმდინარეობებს, აღჭურვილი იყვნენ თავისი დროისათვის სანიშნურო ტექსტულური კრიტიკის უნარით და უშუალოდ ბერძნულ დედნებზე მუშაობდნენ“. მარი ასაბუთებს, რომ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას თავისი წვლილი შეჰქონდა „ბიზანტიური ფილოსოფიის აღორძინებაში“.

6. მარის ერთი უადრინდელესი, თავის დროისათვის დიდად საყურადღებო ნარკვევია „ორიოდე სიტყვა შანაშავეს ქართული თარგმანის შესახებ“, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა (1891, № 132, 133, 135). საფუძვლიანია მარის წერილები რუსულენოვან (1895), ვისრამიანზე (1896, 1925), ამირანდარეჯანიანზე (1895, 1918, 1932).

5. მარი მთელი თავისი სამეცნიერო-შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე საგანგებო გულისყურით იკვლევდა ბალავარიანს (სიბრძნე ბალავარისი). მარი ჯერ კიდევ სტუდენტ იყო, როცა დაიბეჭდა მისი მასწავლებლის, პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეთა მეტაურის ექტორ როზენის რეცენზია პ. ზოტენბერგის გახმარებულ ნაშრომზე „ვარლამ და იოსაფის შესახებ“ (ვარლამ და იოსაფი სიბრძნე ბალავარისის ევროპული სახელწოდება). ზოტენბერგმა ქედმაღლურად, უმეტესად და ნიპილიტურად ხელაღებით უარყო ბერძნული წყაროების ცნობა ბალავარიანის ქართულიდან ბერძნულად თარგმნის თაობაზე ექვთიმე ათონელის მიერ. ზოტენბერგი იმას ემყარებოდა, ვითომც ქართული მწე-

რობა X საუკუნის ნახევრიდან იწყებდა არსებობას. როგორ შეიძლება, კითხულობდა უცხოელი მკვლევარი, ამ ჯერ კიდევ განუვითარებელი ენიდან ეთარგმნათ „ვარლამისა და იოსაფის“ მსგავსი, ფორმითა და შინაარსით სრულყოფილი ნაწარმოები. როზენმა დაარღვია ზოტენბერგის ყველა ძირითადი არგუმენტი. მან მიუთითა, რომ X საუკუნისათვის ქართული მწერლობა დიდად იყო განვითარებული, დაიმოწმა გიორგი ათონელის ცნობაც ბალავარიანის ქართულიდან ბერძნულად თარგმნის შესახებ.

ვ. როზენის მოსაზრებები ბალავარიანზე მაინც ზოგად მონაცემებს ემყარებოდა. გამოჩენილი სწავლული მოუწოდებდა სპეციალისტებს, უფრო კონკრეტულად და უფრო საფუძვლიანად შეესწავლათ და განეხილათ საკაცობრიო ლიტერატურის ისტორიის ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი.

ვ. როზენის მოწოდებას პირველი გამოხმაურა ნ. მარი. იგი აპირებდა, სამაგისტრო დისერტაციად დაემუშავებინა ბალავარიანის პრობლემა. მაგრამ, სამწუხაროდ, მისგან დამოუკიდებელმა მიზნებმა იგი აიძულა, ხელი აეღო ამ კეთილშობილურ განზრახვაზე, თუმცა დიდი მონდობით შეუდგა იმ მოსაზრებათა გაღრმავებულად დასაბუთებას, რაც როზენმა წარმოადგინა. ბალავარიანის სხვადასხვა ენაზე არსებული რედაქციების შესწავლამ მარი დაარწმუნა, რომ სწორედ ამ ძეგლის ქართული რედაქცია გამოირჩევა განსაკუთრებული ენობრივ-მხატვრული ღირსებებით. მარი დამარწმუნებლად ამტკიცებდა, რომ ბერძნული (და აქედან ყველა ევროპული) რედაქციის წყარო უეჭველად უნდა ყოფილიყო თხზულების ქართული ტექსტი. ნ. მარი წერდა მოგვიანებით ქართულად გამოქვეყნებულ ნარკვევში: ქართველებმა მსოფლიო ისტორიული როლი შეასრულეს, „თავისი საკუთარი ხელით უთარგმნეს აღმოსავლეთის ზოგი უჩინებულესი საამბო მოთხრობები ბერძნებს, რომლებსგანაც გადაეცა ევროპას და მის ყველა ერებს“ (ქართული ენათმეცნიერებაში, 1911). ნ. მარის ავტორიტეტული დასკვნით, ქართველობა X საუკუნეში მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით სრული მოწიფულობის ასაკში იმყოფებოდა.

ნიკო მარის უსაყვარლესი თხზულება იყო ვეფხისტყაოსანი. იგი აღტაცებით შეხვდა ვეფხისტყაოსნის უორდრობისეული თარგმანის გამოქვეყნებას, მაგრამ გულსტიკვილით შენიშნა: „მე არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული, დაფასებს კი სათანადოდ ევროპელი ძველი ქართული საერო მწერლობის მთელ მომხიბვლელობას, თუნდაც შოთა რუსთაველისას“.

მაინც მარს ყველაზე მეტი საყვედური ქართველი მოაზროვნე საზოგადოებისაგან სწორედ ვეფხისტყაოსნის გამო შეხვდა. და ეს იმიტომ, რომ იგი არ იყო თანამიმდევრული მკვლევარი გენიალური პოემისა და შეცდომები მოსდიოდა მისი რაობის

გარკვევაში. ნ. მარმა რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას, ხოლო ამ პრობლემატიკის ცალკეულ მხარეებს ხშირად ეხებოდა თავის სხვადასხვა ხასიათის მრავალრიცხოვან ნაშრომში. ნ. მარი დამწევი მკვლევარი იყო, როცა ნაჩქარევად გამოაქვეყნა თავისი პირველი წერილი ვეფხისტყაოსანზე (გაზ. „თეატრი“, 1890, № 12, 18 მარტი). მაშინ იგი აცხადებდა, თითქოს რუსთველის პოემა სპარსულიდან ნათარგმნი რომელიცაა პროზაული ამბის გალექსილი რედაქციაა მხოლოდ და, რომ მას ეგულება კიდევაც ბრიტანეთის მუზეუმში ვეფხისტყაოსნის სპარსული დედანი. ნიკო მარის ვარაუდი არ გამართლდა, მაგრამ იგი თავამოდებით განაგრძობდა ვეფხისტყაოსნის წყაროს ძებნას. ეს ძებნა ამოი გამოდგა. მარისავე აღიარებით, სპარსულ მწერლობაში არ აღმოჩნდა ქართული პოემის არათუ დედანი, არამედ მისი რაიმე შორეული ნაკვალევაც კი.

ასეთმა ვითარებამ აიძულა ილია ჭავჭავაძე, თავისი გოლიათური ხმა აღემდლებინა მარისეული უნიდაგო თეორიის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძეს გვერდში უდგნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა...

ქართველი მამულიშვილების, უწინარეს ყოვლისა, დიდი ილიას მკაცრმა, მაგრამ სამართლიანმა კრიტიკამ და დროთა ახალმა ქროლამ თავისი გაიტანა. ნ. მარმა საფუძვლიანად გადასინჯა თავისი რუსთველოლოგიური შეხედულებანი. ჯერ იყო და აღიარა რუსთველის მხატვრული ენის, კერძოდ, რუსთველური ლექსის „მომავადობელი“ ხასიათი და ამით ხაზი გაუსვა პოემის ეროვნულ მნიშვნელობას. ამავე დროს, მარმა ერთგვარად გაიზიარა ვეფხისტყაოსნის შინაარსის ეროვნულ-ისტორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისი. იგი წერდა: „ადვილად შესაძლებელია, რომ ვეფხისტყაოსნის გულდასმით შესწავლა წარმოაჩინს ამ ლექსად გადაღებულ... რომანში ქართველი ავტორისათვის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენების პოეტური მინიშნებით შეგნებულ დასურათებას (იმიხსნ), რაც განსაკუთრებით ნათელი იქნებოდა თანამედროვეთათვის. ეს მინიშნების თუ მითაკების პოეზია (ПОЭЗИЯ НАМОВА) რამდენადმე ახლაც იგრძნობაო“ (ძველ-ქართველი მეზობენი, 1902 წ.).

გაცილებით უფრო შორს წავიდა ნ. მარი ვეფხისტყაოსნის ეროვნული მნიშვნელობის შეფასებაში 1910 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით— „ვეფხისტყაოსნის შესავალი და დამატებული სტროფები“. ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის გულდასმითი ანალიზის კვალობაზე ნ. მარი ასკვნდა, რომ პოემის ავტორს ასულდგმულესო ორი ძირითადი იდეა — ქალის კულტი (ქალის თაყვანისცემა) და ძმადნაფიცობა. ორივეს, ქალის კულტისა და ძმადნაფიცობის ძირებს იგი პოულობდა ქართულ ეროვნულ-სოციალურ სინამდვილეში. ვეფხისტყაოსნის ძმადნაფ-

ცობა ქართული ეროვნული მოვლენა და არა უცხოეთიდან შემოტანილი რამ, „ადვილობრივი ცხოვრების პრობლემატიკა (ქართული) რეპრეზენტატიული და არა გარკვეულ შემოტანილი კულტურულ-სოციალური ტიპებაო“. „ყმის ან მოყმობის ინსტიტუტს ფესვები აღმოაჩნდა ქართველი ხალხისა და საერთოდ იაფეტური ხალხების ძმადნაფიცობაში“, იმეორებდა მარი შემდეგაც.

ქართულ ეროვნულ ფესვებს უკავშირებდა მარი ვეფხისტყაოსნის უმთავრეს იდეურ-თემატიკურ მოტივს — ქალის თაყვანისცემასა და სიყვარულს. მით უფრო, წერდა ნ. მარი სხვა დროს, რომ „ქალის კულტს... ჩვენ ვერ ვპოულობთ აღმოსავლურ მუსლიმანურ ვერც ერთ ცნობილ ლიტერატურაში“ (1917 წ.). ნ. მარი შენიშნავდა, რომ საქართველოში ძველთაგანვე იქმნებოდა ხალხური თქმულებები არა მარტო გმირობაზე, არამედ სიყვარულზეცო. ნ. მარი გადაჭრით ასკვნის, რომ „ქალის კულტი“ და „იდეალიზებული სიყვარული“ „ღვიძლი შვილია“ „изысканно образованного грузинского общества эпохи Тамары“. ნ. მარი თვლიდა, რომ ქართული ხალხური წარმოშობისაა ვეფხისტყაოსნის სალექსო საზომი — შაირი.

ამრიგად, ნიკო მარი ბეჭითად ასაბუთებდა, რომ ვეფხისტყაოსნის მასულდგმულელები იდეები, ვეფხისტყაოსნის უძირითადესი იდეურ-თემატიკური მოტივები (ძმადნაფიცობა და სიყვარული), ვეფხისტყაოსნის სალექსო საზომი ემყარება ქართველობის ეროვნულ-სოციალური სინამდვილის საძირკველს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი ასე დიდად აფასებდა ნ. მარის დამოწმებულ ნაშრომს. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნ. მარს კალამს ეკუთვნისო“...

საინტერესო ისაა, რომ მარის 1910 წელს გამოცემულ წიგნში გვხვდება გარკვეული გამოძახილი ვეფხისტყაოსნის ილიასეული განსაზღვრისა. მარი მორიდებულად ამბობს, რომ თანამედროვე საქართველოში ვეფხისტყაოსნის საკითხს „ბუნებრივად ეროვნული თვალსაზრისით უდგებინან, რუსთველის პოემაში ქართველები „სამართლიანად ხედავენ თავიანთი გენიოს უმაღლეს გამოხატულებას“, „იმას (ვეფხისტყაოსანს) უყუარებენ როგორც ეროვნულ სიამაყეს“, მტრად, როგორც „შობილიური ისტორიული ცხოვრების წმინდათაწმიდარელიკეას, სახალხო სალოცავს“.

მართალია, ნ. მარის მეორე მონოგრაფია (1917 წლისა) შეიცავს ცალკეულ საყურადღებო დაკვირვებებს, სათავეშივე მცდარია იქ გატარებული კონცეფცია. მარი მაშინ ფიქრობდა, თითქოს ვეფხისტყაოსანს გამსჭვალულია მუსლიმანური სარწმუნოებრივი სულისკვეთებით, მისი ავტორი ქართველი მუსლიმანია და პოემა შეთხზულია XIV საუკუნეში. როდესაც შესხვებო ფეს იკიდებოდა მუსლიმანობა. საყურადღებო ისიცაა,

რომ ავტორმა შემდეგ თვითონვე უარყო ეს კონცეფცია და ვეფხისტყაოსანი XII საუკუნეს დაუბრუნა. პარიზში წაიკითხული ლექციებით (1928 წ.) მარი თავგამოდებით იცავდა ვეფხისტყაოსნის ხალხურობას მის იდეათა ორიგინალობას და სახეობრივი სისტემის ბრწყინვალეობას.

6. მარი ყოველთვის აღტაცებული იყო ქართული ენის სიმშვენიერითა და სილამაზით. იგი ამბობდა: „ქართულებს კულტურულ საუნჯეში მოიპოვება ერთი ძვირფასი სპეკალი, რომელიც მარტო, თავის თავად, მეცნიერებაში ანიჭებს მათ უპირველეს ადგილთაგანს“. ეს ძვირფასი სპეკალიაო ქართული ენა. ამ ენაზე შეიქმნა დიდი ქართული მწერლობა, ამ ენაზე დაიწერა შოთა რუსთველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი. 6. მარი ზედადეა ქართული ენისა და ქართული კულტურის დანაშაულებრივ შეუფასებლობას დასაველეთში. მარს დიდი სიამოვნება მიანიჭა ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის გამოქვეყნებამ და „ოქსფორდში ქართული კათედრის მოწოდებამ“. მარი წერდა ოლივერ უორდროსს (8. III. 1911): „მე ვფიქრობ, იმისათვის, რომ თქვენი თანამემამულენი (აგრეთვე ზოგიერთი სხვა ევროპელი) დაეინტერესოთ ქართული ენით, საჭიროა გულდასმით გაირკვეს ის უზარმაზარი სარგებლობა, რის მოტანაც შეუძლია ქართველთმცოდნეობას“. 6. მარი დიდ პროპაგანდას ეწეოდა ქართულის სასარგებლოდ ევროპაში. იმავე 1911 წლის 29 მარტის თარიღით იგი ატყობინებდა ოლივერ უორდროსს „მსურდა, პირადად შენახეთ, რათა გვემსჯელა ქართველთმცოდნეობის ბელზე. ეს ევროპაში ჩემი ოთხკვირიანი მოგზაურობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს“. ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეს ემსახურებოდა 6. მარის ლექციების ციკლი — ქართული ენა — პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების ეროვნულ სკოლაში 1927-1928 წლებში (დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად პარიზში ფრანგულ ენაზე 1928 წელს).

6. მარი ისე, როგორც „ქართული ენის ქებას“ ავტორი, კარგად ხედავდა ქართულის არასახარბილო მდგომარეობას დიდ საქვეყნო ენებთან შედარებით, მაგრამ ორივეს, იოანე-ზოსიმესა და 6. მარს, ურყევად სწამდათ ამ მშვენიერი ენის დიდებული მერმისი. „ქართულს და მის მონათესავე ენებს, ჩემთვის ყოველ ეპეს გარეშეა, — აცხადებდა მარი, — ფრიალი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოვლის მეცნიერებაში“.

უკვე ახლა ქართველთა თაობების ოცნება, ქართული ენა იქცა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფოებრივ ენად. ამ ენაზე იქმნება ჩვენი ეროვნული მწერლობა, ამ ენაზე ვითარდება ჩვენი ეროვნული მეცნიერება, ამ ენაზე ღებულობს განათლებას ჩვენი ახალგაზრდობა. თანდათანობით ამ ენით იკავებს ჩვენი ეროვნული კულტურა თავის ღირსეულ ადგილს საერთო-საკაცობრიო კულტურის პანთეონში.

ვახუშტი ჯავახიშვილი



„ვენეციელი ვაჭარი“ შექმნილია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმნილებად. დიდი ტრაგიკოსი ჰუმანისტური ბოზიციიდან უდგება პიესაში წამოჭრილ რასობრივ-რელიგიურსა და სოციალურ პრობლემებს. ეს მკაფიოდ ვლინდება შაილოკისა და ანტონიოს ურთიერთობაში.

სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი „ვენეციელი ვაჭარი“ აგებულია ორი მთავარი გმირის კონფლიქტზე. პიესის პაეროვნებისა და სიმსუბუქის შესანარჩუნებლად, რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ ამბები გაშალა კარნავალის ფონზე. ამ ჩანაფიქრით ტრაგიკული დაძაბულობაც შენედა და იდეური დატვირთვაც მიეცა წინა პლანზე წამოწეულ სოციალურ, რასობრივ-რელიგიურ მოტივირებაზე დაფუძნებულ წინააღმდეგობებს. ფონად წარმოგვიდგა რენესანსული ეპოქის ჯანსაღი, სისხლსავსე ცხოვრების სურათები, რაც კიდევ უფრო გამოკვეთავს შაილოკის უარყოფით მხარეებს (სიძუნწე, შურისმაძიებლობა, მოგების დაუოკებელი წყურვილი).

ამ სპექტაკლში მაცურებლის წინაშე წარსდგა გიორგი ჭავჭავაძის რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე შაილოკი. რომელიც ერთსა და იმავე დროს გასაკიცხიც არის და შესაბრალოსიც.

სპექტაკლში ორი მსოფლმხედველობა ებრძვის ერთმანეთს. რელიგიური სიძულვილი კი უფრო მეტად ამძაფრებს ამ წინააღმდეგობებს.

ქავთარაძის მიერ განსახიერებული შაილოკი ჰკვიანიცა და ეშმაკიც, ანგარებიანიც და გონებაშეზოცილიც, მჭერმეტყველიცა და ძუნწიც, პირდაპირიც და გამბედავიც.

ქავთარაძის შაილოკი გარეგნული იერით არ არის შესაბრალოსი. პირიქით, იგი ღირსებით არის სავსე, თავის სიმართლეში დარწმუნებული. თავი უჭირავს დინჯად, მეფური სიამაყით დააბიჯებს. თავის ძალას სიმდიდრეში ხედავს. ამავე დროს ჰკუის იმედიც აქვს. ქრიტიკიანთაგან ჩავვრასა ქედს არ უხრის. ძლიერია.

მთელ თავის ბოლომას ქავთარაძე-შაილოკი გადმოღვრის იმ სცენაში, სადაც საშუალება მიეცემა, შური იძიოს მტერზე. საამისოდ მსახიობი თავიდანვე ამზადებს ნიადაგს. როდესაც შაილოკი ანტონიოს ფულს ასე-სხეებს, იგი მზაკვრულ გეგმას

შეთხავს: შურისძიებაა მისი ზეამოცანა. შურისძიება საუკუნეობრივი დამცირების გამო.

შაილოკის სიძულვილის ასეთი მოტივირება უცხო არ არის ქართული თეატრისათვის. 1878 წელს ქართული მულმივი დასის მიერ დადგმულ „ვენეციელი ვაჭრის“ (მოამზადა დიმიტრი ყიფიანმა) მთავარი გმირის როლის შემსრულებელ კოტე ყიფიანზე ვახუშტი „კლდეში“ (1914, № 4) ვკითხულობთ:

„იმის მძლავრი ბარიტონი... შურისძიების ცეცხლს ჰყრიდა დაჩაგრულის ებრაელის შაილოკის პირით იმათდამი, ვინც ვითომ ქრისტეს რწმენის სახელით სდევნიდა და შეურაცხყოფდა უნიჭიერესი ხალხის შვილებს... ხალხის აღტაცებას სახლავარი არა ჰქონდა“.

სწორედ ის, რომ შაილოკის ტრაგიზმით წარმოდგენილია მისი ერის ტკივილები, საუკუნეობრივი შეურაცხყოფა და დამცირება, რეჟისორისა და მსახიობის დიდი გამარჯვებაა.

რეჟისორის კონცეფციით, შაილოკი მოკლებული არ არის ადამიანურობას. ამის ნათელი დადასტურებაა გლოვის სცენა. ქავთარაძე აქაც ართულებს თავისი გმირის განცდას. შვილთან ერთად მისი შაილოკი დაკარგულ დუკატებსაც მისტირია. განსაკუთრებით დიდი ოსტატობით გადმოგვიცემს შაილოკის შინაგან ბრძოლას ტუბალოთან დიალოგის სცენაში, სადაც კარგად ჩანს მისი მრავალმხრივი ბუნება. ჩვენ წინ ისევ შურისმაძიებელი შაილოკია. უბედურება მას კი არ დაავიწყებს შურისძიების საშინელ გეგმას, არამედ პირიქით, კიდევ უფრო აამხედრებს. საინტერესოა მეორე მოქმედების ბოლო სცენის მხატვრული გადაწყვეტა. დიდი მსახიობური ოსტატობით შესრულებული ცეკვა გონჯთავიან. ფიგურებს შორის კარგი პლასტიკური ნახაზია შაილოკის მღელვარებისა და სულიერი სიცარიელის აღსანიშნავად.

გიორგი ჭავთარაძე სხვადასხვა თეატრალური ხერხით გამოხატავს შაილოკის თვისებებს. სცენური გამოსახვის ერთ-ერთ საშუალებად მას გამოყენებული აქვს დიმილი. მაგალითად, დიმილი გამოესახება სახეზე მაშინ, როცა იგებს, რომ ანტონიოს სურს, მისგან ფული იხსნოს. ეს მრავალმნიშვნელოვანი დიმილი ბევრისმთქმელია. მასში ირონიაც არის, სიხარულიც...

განსაკუთრებით მეტყველია მისი სიარული. პირველი გამოჩენა სცენაზე უხმოდ გავლავა. მაგრამ მეტად შთამბეჭდავია და სახიერი. ეს ჩაშავებული ფიგურა, მდიდრულ შავ სამოსსა და პატარა შავ ქუდში — (მხატვარი დემურ დიდიშვილი) გაივლის ოდნავი რხევით, მედიდურად. თან ოქროს კრიალოსანს ათამაშებს. თავის ფიქრებშია ჩაფლული.

გვიოცებს მსახიობის გარდასახვის უნარი. იგი თავისი გმირის ცხოვრებით ცხოვრობს. თქვენს წინაა მევახვე ვაჭრის კოლორიტული ფიგურა. შაილოკის გამოჩენის ეფექტურობა მუსიკალური აკომპანემენტითაც მძაფრდება (კომპოზიტორი სულხან ცინცაძე).

გიორგი ჭავთარაძის შაილოკის კულმინაციური წერტილია სასამართლოს სცენა, როცა შაილოკი სასამართლოს უეცარი შემობრუნებით ჩიხში მოექცევა: გაშტერებული შეჩერდება, დღესანს ვერ იღებს ხმას (მსახიობს პაუზები და მონოლოგები მეტად ოსტატურად აქვს გამოყენებული). ბოლოს საკუთარ თავს ერევა და შეუდრეკელი ტონით აგრძელებს ლაპარაკს. ხედავს დამარცხდა, ფულიც წააგო, ქონებაც დაკარგა (ერთადერთი საყრდენი უცხოელი ვაჭრისა ვენეციაში), მაგრამ მთელი მღელვარება შინაგან სამყაროში გადააქვს და გარეგნულად მაინც შეუდრეკელი რჩება.

შაილოკის მარცხით არ თავდება ორი გმირის ანტაგონიზმი. მართალია, შაილოკი გაიქცა ვენეციის სასამართლომაც, საზოგადოებამაც, მაგრამ განა ისინი კი დასწვლულნი არიან ამ მანკიერებათაგან? ასეთია დასკვნა, რაც შაილოკის კრიალოსნის გაწყვეტის სცენიდან გამოაქვს მაცურებელს.

სპექტაკლს დიდი მოწონება ხვდა წილად. პრესამ ერთხმად აღიარა გიორგი ჭავთარაძის მიერ შექმნილი შაილოკის სახის დიდი მასშტაბურობა.

საყურადღებოა ფინალური სცენის რეჟისორული გადაწყვეტა. გულმოწყალების, სულგრძელობის მოწოდებით თავდება სპექტაკლი, რითაც ხაზი აქვს გასმული სპექტაკლის მთავარ იდეას — აღიღოს ღმობიერება, სულგრძელობა, ნათელი მომავალი. ეს მარადიული თემები ახლოებს სპექტაკლს თანამედროვე მაცურებელთან.

ლია გუგუნიანი,
თეატრმცოდნე.

სიზოცხლე და სიძლესა



ეროვნული
ნიჭიერების
სიზოცხლე

ანზორ ერქომაიშვილი

არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით არა მარტო შემოგვიანეს ქართული სასიმღერო კულტურა, არამედ განუმეორებელი ხმითა და უბადლო საშემსრულებლო მანერით წარუშლელი კვალი დაამჩნიეს ამა თუ იმ სიმღერას.

ყველა თაობას ჰყავდა თავისი გამოჩენილი მომღერლები, რომლებიც ხვეწდნენ და ალამაზებდნენ ხალხურ ჰანგებს. ქმნიდნენ სიმღერათა ახალ ვარიანტებს და ასე გადასცემდნენ მომავალ თაობას. სიმღერის მოვლა-პატრონობა ოდითგანვე მამაპაპური საქმე იყო. ასეთი მოღვაწეები სათუთად და გულისყურით ეპყრობოდნენ სიმღერის იშვიათ ნიმუშებს, ისინი ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და სახალხო გმირების სიმაღლეზე აღიოდნენ. მათი წყალობით ხალხურმა სიმღერამ საუკუნეების ქარცეცხლს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია. ხალხის ხსოვნაში ცოცხლობს მათი საუკეთესო შემსრულებლების სახელები.

საბედნიეროდ, შემოგვრჩა ჩვენი საუკუნის დასაწყისის უნიკალური ჩანაწერები, რაც საშუალებას გვაძლევს, ჯეროვნად შევაფასოთ ამა თუ იმ მომღერლის შემოქმედება. ვისაც ეს ჩანაწერები მოუხმენია, დამერწმუნება, რომ ხშირად ესა თუ ის სიმღერა ვერც კი წარმოგვიდგენია სხვა მომღერლის შესრულებით. მომღერალს იგი შეუსისხლობრცვბია, თავისი სული ჩაუდგამს, თავის საკუთრებად გაუხდია. სიმღერაში, როგორც ადამიანებში, წინაპართა გენები ბუდობენ. ეს გენები ახალ სიცოცხლეს პოვებენ, როცა ასპარეზზე გამოდის გამოჩენილი მომღერალი. მანამდე კი სიმღერა თითქოს დუმს და ელოდება თავის ღირსეულ შემსრულებელს. ასეთი შემსრულებელი ხშირად რამდენიმე თაობის შემდეგ გამოჩნდება. ამის ნათელი მაგალითებია: სანდრო კავსაძის „ურმული“, დედას ლევანას „კახური მრავალყამიერი“ (თუმცა ამ სიმღერებს შემდეგშიც ჰყავდა ღირსეული შემსრულებლები). ნოკო ხურციას შემდეგაც ვერავინ „ბედავს“ მეგრული „ჰარიას“ შესრულებას, უდიდესი ოსტატი უნდა იყო ეს სიმღერა ნოკო ხურციას დონემდე მიიყვანო და ხალხის ყურადღება მიიქციო. წავიდა ნოკო ხურცია და თან წაიღო „ჰარიას“ განუმეორებელი

შესრულება, დაგვიტოვა მხოლოდ ამ სიმღერის იშვიათი ჩანაწერი და თანამედროვეთა მღელვარე მოგონება.

მის ხმას ვაჩნდა საოცარი თვისებები: იშვიათი სითბო და ფერადოვნება, ფართო დიაპაზონი, მოქნილობა, ვირტუოზული ტექნიკა და განუმეორებელი სასიმღერო მანერა.

უსმენ ნოკო ხურციას ჩანაწერებს და მასთან ერთად განიცდი იმ დიდ სიხარულსა და სიამოვნებას, რასაც მას ხალხური ჰანგის სიმღერა ანიჭებდა. დახუჭავ თვალებს და ასე გგონია, იგი მხოლოდ შენთვის მღერის, ხედავ მის შთამავლებელ სახეს და ცხოვრობ მისი განწყობილებით. იგი გაიძულეხ, მასთან ერთად იმღერო უჩუმრად, მღერისხარ კიდევ, მიენდობი მის ხმას და მიჰყვები ბოლომდე — მას შეუძლია, სულში ჩაგიძვრეს, ერთიანად შეგძრას, დაგავიწყოს ყოველგვარი უბედურება, დაგატყოს სიმღერის მაღლითა და გადმოსცეს შენი ხალხის სული და ხასიათი, რომელიც ასე უხვადაა ჩაქსოვილი ჩვენს სიმღერებში.

აი ნამდვილი მომღერალი რასა ჰქვია. ამიტომაც ძნელი აუღლეველად მოუხმინო მისეულ „სიქოულ ბატას“, „ვახტანგურს“, „უტუს ლაშქარულს“, „ჭიჭე ტურას“, „ართი ვარს“, „ჩელას“, „კუჩხი ბედნიერს“ და სხვა სიმღერებს. როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა: „ღმერთებს ნოკო ხელში აყვანილი მიჰყავდათ და ჩვენს სასიხარულოდ საქართველოში ჩამოუვარდათ“.

ნოკო ხურცია დაიბადა 1905 წლის 15 თებერვალს სენაკის მაზრის სოფელ მენჯში (ახლანდელი ცხაკაის რაიონი), ძველი მომღერლების ტრადიციულ ოჯახში. სიმღერა პატარაობიდანვე შეისწავლა. 16 წლის ნოკოს სოფელმა ხუჭუჭი ჭალების მაფშალია (ბულბული) შეარქვა. ამის შემდეგ ყველამ დაიფიქვა მისი ნამდვილი სახელი.

16 წლის ნოკო ხურცია ცნობილმა ლოტბარმა რემა შელეგიამ მიიწვია თავის გუნდში, აქედან დაიწყო მისი საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწა.

შემდეგ მღეროდა ძუკულოლუას ეთნოგრაფიულ გუნდში. ძუკულოლუას გარდაცვალების შემდეგ გუნდს სა-

თავეში ჩაუდგა კირილე პაკოკორია, რომლის აზრით: „ნოკო მოვლენა იყო ქართულ სიმღერაში, მისი მსგავსი ტალანტები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. მისი ბადალი მომღერალი საქართველოს სახელმწიფო ანსამბლს არ ყოლია და ალბათ წლები დასჭირდება მსგავსის გამოვლენას“.

წლების განმავლობაში ნოკო ხურცია ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. აყალიბებდა გუნდებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც იგი სწავლობდა. სიმღერებს ასწავლიდა აბაშაში, ფოთში, ხობში. ცხაკაისა და გეგეჭკორში, ამეცადინებდა სვანეთის, საგარეჯოსა და სხვა რაიონის გუნდებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოკო ხურციას ღვაწლი მეგრული სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში. ამას იგი აკეთებდა ღრმა ცოდნით, დიდი გემოვნებითა და ტაქტით. მან აღადგინა „უტუს ლაშქარული“, „აბა დარუჯან“, „ოდოას“ უცნობი ვარიანტი, „ჰარიას“ და სხვა.

ნოკო აფორმებდა სპექტაკლებსა და კინოფილმებს. მისი ხმა აღბეჭდილია კინოფილმში „ფიცი“, „დავით გურამიშვილი“, „ჯურღაის ფარი“, „ნარინჯის ველი“, „ტარიელ გოლუა“ და სხვა. იგი თხზავდა ლექსებსა და ამუშავებდა სიმღერებს, სამაძულო ომის დროს პოპულარობა მოიხვეჭა მისმა სიმღერებმა: „მფრინავ წურწუმიანზე“, „სტალინგრადზე“, „სამშობლოზე“ და სხვა.

1936 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ნოკო ხურცია იყო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წამყვანი სოლისტი და ხელმძღვანელის მოადგილე. თავისი განუმეორებელი ხელოვნებით მან დიდი წვლილი შეიტანა ამ ანსამბლის უდიდეს წარმატებებში. მან აღიარება მოიპოვა მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და კინოტეატრის დეკადზე 1936 წელს, სადაც იგი საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვეს. ამის შემდეგ ნოკო ხურციამ სახელმწიფო ანსამბლთან ერთად დიდი წარმატებით მოიარა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. მის მაღალ ხელოვნებას ფეხზე დამდგარი უმართავდა ოვაციებს: მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის,

კიევის, მინსკის, სვერდლოვსკის, ტალინის, ტაშკენტის, ნოვოსიბირსკის, ხაბაროვსკისა და სხვა ქალაქების დიდი საკონცერტო დარბაზები. საკავშირო რადიომ სიმღერები ნოკო ხურციას შესრულებით სპეციალურად ჩაიწერა და საფრანგეთში გადასცა 1940 წელს. პრესა უდიდეს შეფასებას აძლევდა მის მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებას.

ნოკო ხურციას რეპერტუარი მოიცავდა საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს, რომლებსაც დამახასიათებელი კოლორიტით ასრულებდა. ჯანო ბაგრატიონის გადმოცემით: „ნოკო იყო ენაწყლიანი მოსაუბრე, თავმდაბალი და სამართლიანი, სამაგალითო მეგობრობა იცოდა. მის ლამაზ ხმას ფიზიკური გარეგნობაც ამშვენებდა — მხარბეჭთან ვაჟაკს უხდებოდა ფართი ჩოხა. მის დიდრონ თვლებში ცეცხლოვანი ტემპერამენტი და შინაგანი ნათელი ბრწყინავდა. დაუმრეტელი ვერგოთ ალსავსეს, ყველგან სიცოცხლე და სიხალისე შეჰქონდა“.

ნოკო ხურცია 1949 წელს გარდაიცვალა. რა დიდი ხელოვანი უნდა იყო, როგორ უნდა უყვარდეს შენს ერს, რომ ასეთი სიტყვები ათქმევინო: „ნოკო ხურციას ჯადოსნური ყელი ჰქონდა, მისი წამოწყებული სიმღერა მთელ საქართველოს ესმოდა (გაზეთი „სამშობლო“).

ვინ იცის, კიდევ რამდენი დრო გავა, სანამ ნოკოსებურად ახმინდება მეგრული „ჰარიას“, რომელიც ახლა დუმს და ახალ მაფშალიას ელოდება.

მანამდე კი ფირმა „მელოდია“ გამოუშვებს საიუბილეო ფირფიტას, რომელშიც ნოკო ხურციას ნამღერი მრავალი სიმღერა შევა. ეს ფირფიტა რელიქვიად გადაიქცევა, მასზე თაობები აღიზრდებიან, ნოკო ხურციას სიმღერა საუკუნეებს გადასწვდება, მისი სახელი იცოცხლებს ხალხურ სიმღერებთან ერთად.

სიყვარული და საქონიერება და საქონიერება სიყვარული

ლომენი კილაკი

საპარტიზო კოლხიანიკური
ინსტიტუტის ფილოსოფიის კათე-
დრის პროფესორი.

ლადო გუდიაშვილი დიდი მხატვარია. მისი შემოქმედების საყოველთაო აღიარება და მოწონება უფლებას იძლევა, რომ იგი არა მარტო შეადარონ ფერწერული სამყაროს სხვა ტიტანებს, არამედ სხვა განუმეორებელი სიდიდეებიც მის გვერდით მოიხსენიონ. ლადო გუდიაშვილი თავისთავში ადამიანურის დიდსულოვანი სათნოებით ამეტყველებს თვალსაზრისითაც ნამდვილად უპრეცედენტო ფიგურას.

რამდენ ახალ სიამოვნებას გვაგრძნობინებს და რამდენ უცნობ კმაყოფილებას გვანიჭებს მისი მტრედისფერი გუმბათი, რომლის ქვეშ ციურ სხეულებს კი არა, მიწიერი სიცოცხლის სილამაზეს, ადამიანთა ურთიერთობის კონფლიქტებს, კოლოზიებსა და აღმავალ-დაღმავალი ტენდენციების კონტრასტულ წინააღმდეგობებს ვეცნობით.

ასეთია, მაგალითად მხატვრის გალერეაში, ერთ-ერთი ტილო — „ცბიერი ქალი“. იგი თავის საზრდოს სულხან-საბა ორბელიანის ივავ-არაკის „ჩიზი გურგენის“ შინაარსიდან იღებს. ამ სურათში მნახველის ხედვას იპყრობს ერთ-ერთი იძულებით დაქორწინებული ასული. როცა იგი თავის გულისსწორს ენვებდა და თან ეუბნებოდა, ნეტამც შენს თავს არავინ გამყრიდესო, ამ დროს ვერაგულად ჩასაფრებულმა ქმარმა დრო იხელთა, მეტოქეს თავი მოჰკვეთა და მეუღლეს ჯაჭვით წელზე მიაბა — ნატვრა არ გაუქარვე, ღმერთმა ნუ ვაპყაროს, მის სიცოცხლეში ზედ ებას და იყოსო, ამბობს ქმარი ნიშნის მოგებით.

სურათში თვითმყოფ ესთეტიკურ ღირებულებას იძენს თავისუფალი სიყვარულისა და იძულებითი ქორწინების წინააღმდეგობანი. დამაფიქრებელია ასეთი სახელწოდება — „ცბიერი ქალი“. შეიძლება აქ

ლადო გუდიაშვილის „ცბიერი ქალის“ მიხედვით

ეს ტერმინი — „ცბიერი“ უმაღლვე გვაგრძნობინებს, რომ ცივილიზაციის ფარისევლობაში ყველაფერი თავისი ჭეშმარიტი დანიშნულების საწინააღმდეგო სახეს იღებს და მასში ქალის სულიერი სამყაროს ზნეობრივი ღირებულებაც შექცევითი სახელწოდებით იმიტომ აღინიშნა, რომ გრძნობათა დაძაბულობას სილამაზის უფრო მეტი ელფერი მიეცეს. სურათის იდეურ-მხატვრული კრებლა აგებულია და გადაწყვეტილია ცოლის დამონებისა და ქმრის აბსოლუტური ბატონობის საწინააღმდეგო თვალსაზრისით, ე. ი. მასში მიგნებულია და განხილვას ექვემდებარება ანტი-გონისტური საზოგადოების ის წინააღმდეგობანი, რომლებსაც მინიატიურული მასშტაბით იმეორებს მონოგამიური (ერთ-ცოლიანობის) ოჯახური ფორმა. საანალიზო სურათში ნაჩვენებია, რომ ცოლის ღალატი, რომელიც მონოგამიურმა ოჯახმა წარმოშვა და თან სასტიკად აკრძალა, აღმოუფხვრელი და გადაუწყვეტელი წინააღმდეგობაა. ამ წინააღმდეგობის ნიშანზე ორი ახალი ფიგურა აღმოცენდა — მოტყუებული ქმარი და ცოლის მუდმივი საყვარელი.

ეს ორი ფიგურა გუდიაშვილმა სარეცენზიო სურათში კულტურისა და განათლების გაფაქიზებული ფერებით წარმოსახა. მან აქ თვალსაჩინოდ განასხვავა ერთმანეთისაგან ერთგულების დარღვევა და ღალატი. უბრალო ვნება, როგორც ზნეობრივი კატეგორია და ცოლზე იძულებითი ბატონობის ჟინი. ქმარი მოტყუებულია არა მარტო მაშინ, როცა ცოლი იძულებითი ქორწინებისადმი ერთგულებას არ იცავს, არამედ მაშინაც, როცა



იგი სრულფასოვნებას მოკლებულ არსებად მიაჩნია და მისთვის სიყვარულს სუბიექტურ მიდრეკილებად კი არა, ობიექტურ მოვალეობად თვლის.

მხატვარს დიდებულად ესმის, რომ გაბატონებული კლასების პრაქტიკაში ქალიშვილი გვირგვინსა და სკიპტრას ცვლიდა ბორკილებზე, დედოფლისაგან უმაღლვე ყმად იქცეოდა და ქმარში დესპოტურ შერბინებულს, მრისხანე მსაჯულს აწყდებოდა.

სარეცენზიო სურათის პირველ ფიგურაში, ვხედავთ იმ განწირულ ქალს, რომელსაც ზელსაყრელი ვარიანების ნიშანზე აგებულია ანგარებიანმა და მშობლების მიერ ბედნიერ შემთხვევად მიჩნეულმა ქორწინებამ მის გვერდით მდგომ ამ ჯულჯა კაცთან იძულებით შეუღლების წყეული ბედი არგუნა. ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა ამ ქალს, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამ მსახვრელი ქმრის წინაშე ყმური მორჩილებით ყოფნა საყრდენ სათნოებად მიიჩნიოს? არა, არ შეუძლია... მხატვარმა იგი მუშტის სამართალს დაუპირისპირა და ადამიანური უფლების მაღალი ესთეტიკური იდეალების პოზიციიდან წარმოსახა. მართლაც, გუდიაშვილი ხომ ისტორიის წმინდა მსაჯულივით მიუყვარებელია. თუ ბუნებრივია, რომ დაქორწინებულთა სიყვარულს წინ უნდა უძლოდეს სიყვარულით დაქორწინება, მაშინ ისიც სავსებით კანონზომიერია, რომ სიძულვილით შეუღლებას შეუღლებულთა გამთიშველი სიძულვილი მოსდევს.

ქალიშვილი, რომელიც მოყვასის თვალთ სულში ჩახედ-

ვის ოცნებით ცოცხლობს, რატომ უნდა დაქორწინდეს ისეთ კაცზე, რომლისთვისაც სიყვარული ქონებით იზომება და სიკვდილით სავსე ხანჯლის წვერზე ტრიალებს?

მხატვარს სჯერა, რომ სიყვარული მაღალი გრძნობაა, თავგანწირვაა, ეგოიზმის დაძლევაა, ადამიანი საჭიროებს მისადმი დაპირისპირებულ იმ მეორე „მე“-ს, რომელიც კი არ უარყოფს, არამედ ხელს უწყობს მისი ცხოვრების ბედნიერ დავერგვინებას.

ამ მოთხოვნის მიხედვით განსახიერებულ საანალიზო სურათში წარმოდგენილი ქალი არ არის ცბიერი ქალი. მან უმანკო ტრფობის უქორწინო სარეცელი იძულებითი შეუღლების გულის მომკვლელ სიძულვილს დაუპირისპირა. ეს ქალი საინტერესოა ბუნებასთან დაკავშირებული ვნებანიობით. გრძნობათა სილამაზით, განცდათა სიფაქიზით. ასე რომ, სიყვარული მისთვის ქარაფშუტული განცხრომა კი არ არის, არამედ ის მთავარი პათოსია, რომელსაც ჭეშმარიტი თავისუფლების იდეა აღანთებს ადამიანის სულში. იგი იმ უსასტიკეს სასჯელს, რომელიც მას ბედმა დაანათლა, სიყვარულის ცეცხლში გამოწრთობილი ვნებით უტევს. მის სახეში ერთი შეხედვით იგრძნობა ელფეური სიმშვიდე. მისი სულიერი სამყაროს სიღრმეში, ნამდვილად მთელი მისი მოღვმის მრავალსაუკუნოვანი წამება ბოლოქრობს. ეს ქალი თვით საკუთარ თავში პოულობს მძაფრი ტკივილების შემარბილებელ, კაემანის განმქარვებელ და დამამკირებელ შეურაცხყოფაზე ამაღლების

ძალას. აგერ აზროვნების უნარით ახელილი თვალების გამჭვირვალე ქუთუთოებში, გრძელი წამწამების სიმძიმეს რომ დაუჭიმავს, ერთხელ აღიარებული სიყვარულის სიკეთე იღრქვევა. მკრთალად გახანული წარბები, შუბლი, რომ გაუკაწრავს, იმ ობლად შთაგონებული აზრის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელმაც ესენა თავისუფლების ფრთები უსდა შეისხას. ნაზი ბაგეები მონატრებულ სატრფოსთან გულწრფელი საუბრის წადილს გაუბია და ის საიდუმლოდ განდობილი სიტყვებიც აუღერებულან, სატრფოს მასთან დარჩენის შესახებ რომ უთხრა. ყოველივე ამასთან აქ ვამჩნევთ, რომ სატრფოს მოკვეთილი თავისათვის ქალს შეუპოვარი ხედვა მიუპყრია და მასში თითქოს ჩონჩხს კი არა, სათაყვანებელი გულის სწორის ჯერ არქმნილ ძველს ეალერსება. ამ ქალის სახის ანალიზთან დაკავშირებით შეიძლება გერცანის სიტყვები გავიხსენოთ — ნეტარების წამი ძლივს გამოკრთის, მაგრამ მთელ მარადისობას მოიცავსო. ამ სურათში მხატვარმა შეყვარებულის ხსოვნისადმი თაყვანისცემის სიცოცხლესთან გათანაბრების ზნეობრივი ღირსება წამოსწია, წმინდა „ცბიერი ქალის“ სისხლ-ხორცის ოდნავი სიჭარბე სილამაზის ეჭვს მოაზრდა.

ახლა საანალიზო სურათის ზნეობრივი და ფსიქოლოგიური საიდუმლოების მაძიებელი ხედვა ქმრის სახეზე გადავიტანოთ. მართალია, ამ უკანასკნელს მაშინაც გავეცანით, როცა ქალის პორტრეტზე ვმსჯელობდით, მაგრამ ქალის ფსიქოლოგიური განწყობის სილამაზეს მხატვარი ქმრის დასურათებითაც გვიჩვენებს. ქალს ქმრისათვის ზურგი შეუქცევია, ე. ი. ოჯახის ფაქტობრივი მესაჭე თვითონ გამხდარა და ქმრისათვის ამ ციტადელის კარი გადაურაზავს. ეს კი იმაშიც გვარწმუნებს, რომ ამ ტრაგიკულ სამკუთხედში, გაზარებული და ზედმეტია ქალის ოფიციალური ქმარი. და არა გულის სწორი — მიჯნური. ქმარს, რომელმაც ამ უკანასკნელის მოკვეთილი თავი ცოლს ჯაჭვით მიაბა, უნდოდა, რომ დაეთრგუნა ცოლი, მთლიანად გაბატონებულიყო მის „მე“-ზე და საბოლოოდ მოექცია იგი თავისაკენ. მაგრამ ეს მიზანი თვით მასვე დაატყდა თავს ზარდამცემი საშინელებით. ამ წამებით ქალში ის შიში, რომელიც მან შეყვარებულთან ნეტარების ეპოს ჩვენთვის უკვე ცნობილი სიტყვებით წარმოთქვა, დაუღვრომელ შეუპოვრობად აღზე-

ვდა და ცოლ-ქმარს შორის წინააღმდეგობის ისედაც დიდი ბზარი უფსკრულად იქცა.

ქმარი საკუთარი თვალებით უცქერის, რომ ცოლს მიჯნურის მოკვეთილი თავისადმი უტეხი ნების ხედვა ისე მიუპყრია, რომ ვერავითარი სისასტიკე მასში ტრფობის ცეცხლს ვერ ჩააქრობს. ამ თავის ქალაში თითქოს წრფელი სიყვარულის ცოცხლად ამეტყველების მაგიური ძალა შემორჩენილა და სისხლიანი ხანჯლით ბატონობის წინააღმდეგ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი სიძულვილი ამოქმედებულა.

ყოველივე ეს, ამ ყოველთვალეზიანი ქმრის დაკრუნჩხულ სახეში სასოწარკვეთილებად აღბეჭდილია, მისი ქედმაღლობა დაცემულა და საუკუნეებში ფესვგადგმული თვითნებობაც გაუქმებულა. ქმარი ახლა თვითონ გამხდარა იმის საბუთი, რომ ქალს, რომელიც სხვაში ნერგავს და ზრდის სიყვარულს, ქონებით ვერ მოხიბლავ, გულის წადილს ვერ ჩაუქრობ, მახვილის ბოროტი ჩმარებით მისი პატივისცემის საგანი ვერ გახდება. ქმარს მარტო აზარტულმა განზრახვამ კი არა, ძალადობის ისტორიულად განმტკიცებულმა და ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებულმა უფლებამაც უმუხთლა.

როგორც ენგელსი ამბობს, მორალის თეორიაში მტკიცედაა დადგენილი, რომ ყოველი ქორწინება, რომელშიც შეუღლება ნამდვილ ნებაყოფლობაზე და სუფთა სიყვარულზე არაა აგებული, უზნეობააო. ასეთ შემთხვევაში გაყრა ბედნიერებაა, როგორც ორთავე მხარის, ისე საზოგადოებისათვის. საჭიროა მხოლოდ, ადამიანები დაეხსნათო გაყრის პროცესის უმაქნის სიბინძურეში თრევის წინააღმდეგობისაგან.

ეს ქმარი მომხრეა, დარჩეს ამ თრევის ატმოსფეროში. ამრიგად, იგი წინააღმდეგობის თვალსაზრისით, დადებით პოზიციაზე დგას, მაგრამ ოჯახურ ქორწინებრივი ურთიერთობის განვითარების ტენდენციის მიხედვით მისი პრინციპი მიუღებელია.

მხატვარმა ახალი პოზიციიდან გადაწყვიტა ეს წინააღმდეგობა. იგი ემხრობა თავისუფალ ზნეობასა და სპეტაკ სიყვარულს. მხოლოდ ასეთი სიყვარულა მიაჩნია მას იმ ბედნიერი ოჯახის მტკიცე საფუძვლად, რომელშიც იბადებიან, იზრდებიან და მრავლდებიან მამულის საამაყო შვილები.

პირველი საბრძოლო

1904 წლის იანვრის ერთ შუიან დღეს ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი რაღაც უჩვეულო ამბის მოლოდინში გარინდულიყო: მოსწავლეები კანტიუნტად თუ გამოჩნდებოდნენ დერეფანში. სკოლის მორიგე მასწავლებელი, ცარიზმის მორჩილი მსახური, ყურდაცქვიბილი მიდი. მოდიოდა საკლასო ოთახების წინ. ეჭვის საფუძველი კი ჰქონდა. აქ ბევრი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა სწავლობდა.

ახალგაზრდობა პასუხს ეძებდა კითხვას: როგორ ვიხსნათ შრომელი ადამიანი სოციალურ-პოლიტიკური მონობისაგან, როგორ მივანიჭოთ მას თავისუფლება?

ყოველივე ეს მხოლოდ ბრძოლით არის შესაძლებელი, — ერთადერთ სწორ პასუხს იძლეოდნენ ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები. ქუთაისელი მოსწავლეები თვალუფრად აღევნებდნენ რუსეთ-იპონიის ომს, თბილისისა და ბაქოს მუშების გაფიცვებს და თვითონაც ფიქრობდნენ მხარში ამოსდგომოდნენ რევოლუციონერებს. და აი, იმ დღეს ისინი პირველად აპირებდნენ პოლიტიკურ გაფიცვას, პირველად უნდა ეთქვათ ხმა მაღლა, საქაროდ:

— ძირს მეფის თვითმპყრობელობა!

— გაუმარჯოს სოციალიზმს!

მორიგე მასწავლებელმა თვალის მოპკრა მოსწავლე ისმაილ იოვიძეს და უცებ გაუჩინარდა. კარებს ამოფარებულმა კარგად გაიგონა ისმაილ იოვიძესთან მისული მოსწავლეების საუბარი.

— ვიწყებთ თუ არა? — ასეთი იყო კითხვა.

— ცოტაც უნდა მოვიცადოთ. — თქვა ისმაილმა.

მორიგე მასწავლებელი დერეფანში აღარ გამოჩენილა, სამაგიეროდ რამდენიმე წუთში სასწავლებლის ეზოში შემოცვივდნენ „სტრახნიკები“, რომლებიც თურმე იქვე ქალაქის სახანძრო დაცვის შენობაში იყვნენ ჩასაფრებული. მოსწავლეთა გაფიცვაც დაიწყო. პირველ რიგში მათ კედლიდან მეფის სურათი ჩამოგლიჯეს, მინები ჩამატყრეს და მეორე სართულიდან მერხები ძირს გადმოყარეს. ამასობაში „სტრახნიკები“ საკლასო ოთახებში შეცვივდნენ, თოფებს ჰაერში ისროდნენ, ხოლო კონდახებს გაფიცულებს კისერში ურტყამდნენ. შენობას რევოლუციური ბრძოლის ხანძარი მოედო. მალე გაფიცვის მოთავე მოსწავლეები და მათ შორის ისმაილ იოვიძეც დააკავეს, დაჭკითხეს და გვიან ღამემდე შინ არ გაუშვიათ.

ქალაქის ხელისუფალნი შეაფოთა მოსწავლეთა გაფიცვამ, მაგრამ, რადგანაც ყველას დაპატიმრება შეუძლებელი იყო, სასწავლებელი ერთი კვირით დახურეს.

— ეს იყო ჩემი პირველი საბრძოლო ნათლობა, ამ მომენტიდან ვიქვეტი პროფესიონალ რევოლუციონერად, —

წერდა ისმაილ იოვიძე შემდეგში თავის ავტობიოგრაფიაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივშია დაცული.

საბანგებო დავალება

მოსწავლეთა გაფიცვის დარბევის შემდეგ ისმაილ იოვიძე უკვე არასაიმედო პირად ითვლებოდა და მას უთვალთვალდებდნენ. იმავე წელს იგი რსდმპ რიგებში მიიღეს. მალე მან ხელმოკლეობის გამო სასწავლებელს თავი დაანება. რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა ისმაილ გაგზავნა ქუთაისის მხარის სოფელ ჭიმასტაროში, სადაც იგი დაიბადა და ბავშვობა გაატარა. ახალგაზრდა რევოლუციონერი ჭიმასტაროს, გუმათის, ოფორჩხეთისა და სხვა სოფლების მოსახლეობაში აწყობს სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, ეწევა საავტოციო-პროპაგანდისტულ მუშაობას.

1905 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში მუშათა და გლეხთა გამოხატულება მასობრივი ხასიათი მიიღო. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მეფის მთავრობა რევოლუციების დაპირებით აბუჩად იგდებდა შრომელებს, ხოლო ყოველ მათ პოლიტიკურ გამოსვლას ტყვეობით გაუმასპინძლებოდა. ისმაილ იოვიძე ამ დროს უკავშირდება რიონის პირას, სოფელ ურნეთში სტევანოვის ბარბის ქარხნის მუშებს, რაზმავს მათ რევოლუციური ბრძოლისათვის. მან აქ სხვებთან ერთად შეიმუშავა მუშათა მოძრაობების და მოაწყო მძლავრი გაფიცვა, რომელიც თვენახევარს გრძელდებოდა. მეპატრონემ ქარხანა დახურა და მუშები ულუკმაპურად დატოვა.

1905 წელს ქუთაისის გუბერნიის ბოლშევიკური ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კონფერენციის გადაწყვეტილებით, რომელსაც უშუალოდ მიხა ცხაკაია ხელმძღვანელობდა, ისმაილ იოვიძე შეუდგა ჭიმასტაროსა და მის მახლობელ სოფლებში წითელი რაზმების შექმნას. შემდეგ იგი ამ რაზმების საერთო მეთაური ხდება.

დეკემბრის ბოლო დღეებში რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტისაგან წითელი რაზმების მეთაურმა საგანგებო დავალება მიიღო: იგი სასწრაფოდ უნდა დასწვოდა ქუთაისის სამაზრო მილიციის მიერ სვანეთში გაგზავნილ ურმებს, რომლებსაც გლეხობის მიერ შევიწროებული და კოშკებში ჩაკეტილი თავადებისათვის იარაღი მიჰქონდათ. ურმებს შეიარაღებული სალდათები მიაცვლიდნენ.

ისმაილმა სასწრაფოდ შეკრიბა რაზმელები, სოფელ ნამოხვანში მეფის მოხელეებს საფოსტო ეტლი წაარცვა და ურმებს დაედევნა. ორი დღის შემდეგ, შუალამისას, ისმაილ იოვიძის რაზმელები ლეჩხუმში დაეწივნენ მათ, განაიარაღეს სალდათები და საგანგებო დავალება პირნათლად შეასრულეს.

რევოლუციის ქარისქატი

ეროვნული
მემორიალი



ისმაილ იოვიძე.

გადამწყვეტი იეროზისათვის

მასობრივი რეპრესიების დაწყების შემდეგ ისმაილ იოვიძე თბილისში გადმოვიდა და სარაჯიშვილის ქარხანაში მუშად მოეწყო. იგი დაუკავშირდა თბილისის ბოლშევიკებს და აქტიურად ჩაება მუშათა რევოლუციურ გამოსვლებში. სტოლინის რეაქციის პერიოდში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობას ძალიან ართულებდა მენშევიკების გამოთვლილი საქმიანობა. ისინი გადაჭრით მოითხოვდნენ არალეგალური პარტიის ლიკვიდაციას, უპარტიო მუშათა ურთიერთობის მოწვევას. მენშევიკთა ფრაქციული მოქმედების ზეგავლენით თბილისის ზოგიერთ რაიონში პარტიული ორგანიზაციები თითქმის დაიშალა. მენშევიკთა გამცემლობის მიუხედავად, პარტიის ყველაზე მტკიცე ნაწილს არ უღალატა მუშათა კლასისათვის, რევოლუციის საქმისათვის. დაძაბული მუშაობის შედეგად თბილისის ბოლშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ პარტიულ ორგანიზაციებში მათ უკვე მეტი მომხრეები ჰყავდათ. მათ სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს 1908 წელს თბილისის კომიტეტის არჩევნებშიც. კომიტეტის წევრთა საერთო რაოდენობიდან — ცხრა კაციდან — ხუთი ბოლშევიკი იყო. ამ მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ფილიპე მახარაძე, ზაქარია და მიხეილ ჩოდრიშვილები, სტეფანე ინწკირველი, მედიტონ ფილია, ვიქტორ ნანიშვილი, პეტრე არველაძე, ნიკოლოზ ტეტეულაძე, ელენე სტასოვა, აკოფ აკოფიანი, ანდრო დოლიძე, არაქელა ოქუაშვილი და სხვები.

მათთან ერთად საარჩევნო ბრძოლის სიმძიმე გადაიტანა ახალგაზრდა მუშა-ბოლშევიკმა ისმაილ იოვიძემ, რომელიც ერთთავად ნაძალადევის მუშათა რაიონებში ტრიალებდა, მართალი, მგზნებარე სიტყვით ნიღაბს ხდიდა მენშევიკებს, მათ ანტი-რევოლუციურ პოლიტიკას.

1908-1909 წლებში ისმაილ იოვი-

ძე მუშაობდა სოცდემოკრატების ქარხანაში, ხოლო მისი დახურვის შემდეგ სხვა ამხანაგებთან ერთად მოაწყო უმუშევართა ბიურო, რომლის თავმჯდომარედაც იგი აირჩიეს. შემდეგ ისმაილი მტვირთავ მუშად იყო თბილისის საქონლის სადგურში. ამ წლებში იგი აუალიბებს ახალგაზრდა მუშათა წრეებს, აქტიურად მონაწილეობს მენშევიკთა წინააღმდეგ მოწყობილ დისკუსიებში. როგორც კი ბოლშევიკებმა უმრავლესობა მოიპოვეს, გადაუდებელ საქმედ მიიჩნიეს პერიოდული ორგანოს გამოცემა. თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის კონფერენციამ, რომელიც 1909 წლის ნოემბერში გაიმართა, სტამბის მოწყობა დაავალა მუშარევოლუციონერებს გერმანე ნაფტვარძიძეს და პარმენ საბაშვილს. მათთან ერთად კონსპირაციულ ბინაზე სტამბის მოწყობისათვის დიდი მუშაობა გასწია ისმაილ იოვიძემაც. 1910 წლის იანვარში უკვე გამოვიდა გაზეთი „თბილისის პროლეტარის“ პირველი ნომრები ქართულ და რუსულ ენებზე.

„რუსეთის დიდი რევოლუცია არ მომკვდარა, იგი ცოცხლობს! — მან მხოლოდ უკან დაიხია და ძალებს აგროვებს მომავალი მძლავრი გამოსვლებისათვის“ — ნათქვამი იყო „თბილისის პროლეტარის“ № 1-ის მოწინავე სტატიაში. გაზეთი ხელს უწყობდა საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის დარაზმება ბოლშევიკების გარეშე, იცავდა რევოლუციური პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ლენინურ იდეას.

მეფის ოხრანკამ „თბილისის პროლეტარის“ სტამბას მიაგნო, მოახდინა მისი კონფისკაცია და 18 კაცი დააპატიმრა. გაზეთმა სულ 8 თვეს იარსება, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლშევიკების პროპაგანდაში.

1914-1917 წლებში ისმაილ იოვიძე დამკვირვებლად მუშაობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში და ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ და პროფკავშირულ საქმიანობაში.

1917 წლის ივნისში იგი აირჩიეს რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტის წევრად.

1917 წლის ოქტომბერში თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ ისმაილ იოვიძე პეტროგრადში მიაგვინა. მას დავალებული ჰქონდა, შეხვედროდა ვ. ი. ლენინს, თუმცა ეს არ მოხერხდა. იგი შეხვდა ი. ბ. სტალინს, ნ. კ. კრუპსკიას და სხვა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს. მოგვიანებით იგი სინანულით წერდა: „ამხანაგ ლენინის ნახვა არ მოხერხდა,

არ მოხერხდა, მისთვის გადამეცა, რაც მიხა ცხაკაიამ დამავალა, რადგან ამ დროს იგი იმალეობდა“.

მენშევიკური მთავრობის ბატონობის წლებში ისმაილ იოვიძე მუშაობდა თბილისის მეოთხე რაიონში და სხვა ბოლშევიკებთან ერთად ამხანაგებმა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა იგი თბილისის სტუდენტ ახალგაზრდობაში.

ახალი ცხოვრების მხარდამხარ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისმაილ იოვიძე გულმოდგინედ ჩაება ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. პარტია მას აჯავანდა საპასუხისმგებლო პოსტებზე. წლების მანძილზე იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანაშემწე, რესპუბლიკური მილიციის პოლიტიკური კომისარი, ცენტრალური პარტიული სკოლის გამგე, რკინიგზის მუშაკის დირექტორი, საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მმართველი, შრომითი შემნახველი საღაროების სამმართველოს უფროსი.

ისმაილ იოვიძე ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მუშაობისას დიდ უურადლებას უთმობდა ბოლშევიკების ისტორიის შესწავლას, რევოლუციური ბრძოლის მიმე წლებში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ამსახველი დოკუმენტების გამოვლენასა და გამომწვეურებას. ამ მხრივ მეტად საუურადებო წერილი ინახება ისმაილ იოვიძის ოჯახში. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოთალო ფურცელზე ვკითხულობთ:

„ისმაილ!
კაცო, გამოვიდა თუ არა ის წიგნი, რომელსაც თქვენ ამჟამად დიდი ტფილისის ორგანიზაციის შესახებ 1909-1910 წლებში. თუ გამოვიდა გამოიგზავნე, თუ არა, დაახებელი ისინი, ვინც მაშინ მუშაობდა ტფილისში.“

ფილიპე“.
ეს წიგნი, რომლის გამოცემითაც ფილიპე მახარაძე იყო დაინტერესებული, საქართველოს ცენტრარქივისა და საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებამ მოამზადა და მკითხველმა 1982 წელს მიიღო. მასში წარმოდგენილია მრავალი წერილი და მეფის ოხრანკის საიდუმლო მიმოწერა, რომლებიც ნათლად მოგვითხრობენ იმ უდიდეს მუშაობაზე, რასაც

თბილისის ბოლშევიკები ეწეოდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის უსასტიკეს წლებში.

წიგნის ავტორები არიან ძველი ბოლშევიკები: ვალერიან ვაშაკიძე, ისმაილ იოვიძე, ეპიფანე კვანტალიანი, გერმანე ნაფტვარძიძე, პარმენ საბაშვილი.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ისმაილი მუშაობდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ფილიალის სრულიად საქავშირო სავაჭრო პალატის მმართველად.

ლენინური გვარდიის ჭარისკაცო სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული კომუნისტი ისმაილ იოვიძე ყველა უბანზე ძალ-ღონის დაუზოგავად შრომობდა, ცდილობდა, თავისი წვლილი შეეტანა ახალი, სოციალისტური საქართველოს წინსვლასა და აყვავებაში.

სიმბოლურია, რომ ისმაილ იოვიძის ოჯახს კავშირი არ გაუწყვეტია მშობლიურ კუთხესთან. ისმაილის მეუღლე ბელა კონსტანტინეს ასული რეიტმანი-იოვიძე ათეული წლების მანძილზე წყალტუბოს ბანლეოდაწესებულებაში სისტემაში ექიმად მუშაობდა. იგი პენსიაზე გასვლის შემდეგაც აქ არის და კვლავ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საპატიო საქმეს ემსახურება.

ისმაილ იოვიძის ვაჟი ლეონიდი პროფესიით ინჟინერია. როგორც საუკეთესო სპეციალისტი, მონაწილეობდა ყარაგანდის ცემენტის, რუსთავის მეტალურგიული, აზერბაიჯანის მილსაგონავი, ნოვოლიპეციის მეტალურგიული, დასავლეთ-ციმბირის მეტალურგიული და მთელი რიგი სხვა ქარხნების მშენებლობაში, ცალკეული სააქროების საქესპლოატაციოდ მომზადებაში. ამჟამად ლეონიდი თბილისში ცხოვრობს და სრულიად საქავშირო სპაროქტო ტექნოლოგიური ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში მუშაობს.

ისმაილ იოვიძის შვილიშვილები ელენე და კონსტანტინე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური წევრები არიან. ისინი ერთგულად ემსახურებიან საქმეს, რომელსაც მათმა პაპამ, რევოლუციის ღირსეულმა ჭარისკაცმა, მთელი თავისი ცხოვრება შესწირა.

**სპონსორი
არჩივაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი.

ჩემი ბუნებისკენ...

წყნეთის მხრიდან მომავალმა სატვირთო ავტომობილმარის ვაი-ვაგლახით დასძლია აღმართი, სწორზე გამოვიდა და კიკეთის მიმართულებით განავრძო გზა. ცოტა ხანში მუხრუჭები ახტრალდნენ. მანქანა დადგა და ძარიდან მხიარულად მოყაყანე მგზავრებმა დაიწყეს გადმოსვლა. ბიჭი, ვისაც ჭრელი კოვბოურა და ლურჯი ჯინსი ეცვა, ერთ-ერთი პირველი გადმოსტა გახურებულ ასფალტზე. ხელი გაუწოდა არცთუ ლამაზ გოგოს, რომელმაც ეს თავაზი ხალისიანად მიიღო. მფრთხალად, თითქოს ცივ წყალში შედისო, ძარის გადახსნილი გვერდის წიბოზე შედგა და ერთი წამით გაშეშდა — არ იცოდა, მერე რა მოემოქმედა. ბიჭმა მისი ხელი თავისკენ მოსწია, მოსხლეტილი ტანი პაერში დაიჭირა და გოგო მზრუნველად დაუშვა ძირს. შემდეგ ზურგჩანთა მოიკიდა და სხვებთან ერთად ტყისკენ გასწია.

ეს თვითმოქმედებითი სტუდენტური ექსკურსია გახლდათ, რაშიც იქნებ იმიტომ იღებენ მონაწილეობას, რომ ბალახზე გაიარონ აუტანელი, როგორც ზოგიერთი თვლის, ასფალტის ნაცვლად; ანდა იქნებ იმისთვის, რომ მონდენილი, ფერადოვანი სალაშქრო კოსტუმი გამოაჩინონ; მაგრამ ყველაზე უფრო საფიქრალია — დროს გასატარებლად, სხვებს რომ არ ჩამორჩნენ ამ ძალიან სერიოზულ საქმეში. რომელიმე ქალიშვილი იტყოდა — ჩვენი ჯგუფით „დამბალი“ ჯგუფი მერევე მთელ უნივერსიტეტში არაა ალბათ. სხვა უმაღლესეზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არც კინოში დავდივართ ერთად, არც კონცერტებზე, არც დაბადების დღეებზე. ექსკურსია რა არის, საერთოდ არ ვიცით. სტუდენტური წლები ისე გაივლიან, ვერაფერს ვნახავთ... ამას მოყვებოდა სჯაბაასი, კამათის მაგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შედეგად... რის შედეგად სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ცოტა ბიჭები და ბევრი გოგონები ახლა ბილიკს მიუყვებიან ტყეში, რომელიც მკერდამდე ჩამდგარა უძრავ, გამახალისებელ სივრცეში, შარშანდელი ფოთლების ზღნავ

ნესტიანი სუნი რომ უდის. ახლომახლო გაისმის რომელიღაც ჩიტის თავმომწონე ჟღერტული.

სტუდენტები მიდიან ხან ზევით და უფრო ხშირად ქვევით, იქითკენ, სადაც მდინარე ვერეს, ანუ ვერას, ხეობაში მდებარეობს ბეთანიის ტაძარი. ძნელი დასაჯერებელია, რომ თბილისის უნივერსიტეტის შენობებიც იგივე ხეობაშია განლაგებული... უნივერსიტეტსაც ხომ ტაძარს ეძახიან. ცოდნის ტაძარს.

„წამეც ბეთანიისაკენ! იქ, საღაცა, ახლომახლო იყო ორბელიანების და ირაკლის სამოსახლო. გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი, არსად ქვეყნად არ მინახავს ადგილები უკეთესი... მოდი, სადმე უღაბური ვპოვოთ კუთხე ქედმომალლო, გადმოვხედოთ მაღლით თბილისს — მე აქ უნდა დავესახლო!“ (გალაკტიონ ტაბიძე).

„ბეთანიის ტაძარი, სადაც შემონახულია თამარ მეფის და მისი ვაჟის ლაშა-გიორგის ფრესკული პორტრეტები, უნდა ვივარაუდოთ, აგებულია თამარის მეფობის უკანასკნელ ხანს. მე-11 საუკუნის ბევრი ტაძრისთვის დამახასიათებელი ხორო მას არ გააჩნია. თავისი აბსოლუტური ზომებით იგი საგრძნობლად ჩამორჩება არა მარტო სვეტიცხოველს და ალავერდს, არამედ სამთავისსაც“ („საქართველოს არქიტექტურა“).

1877 წელს ინფანტერიის გენერალი, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს — ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, ერეკლე მეფის შვილთაშვილი თავადი გრიგოლ ორბელიანი სოფელ ტაბახმელაში ისვენებდა. თავადმა, ვინც სამოცდაათ წელს გადაბიჯა და ოთხმოცს საოკრად სწრაფად უახლოვდებოდა, თავბრუდამხვევი კარიერა გააყეთა, თუმცა სამსახურებრივი გზის დასაწყისში ბედის ბორბალი შესაძლოა, უკუღმა შეტრიალებოდა. თავადი მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულთა შორის ერთია. მაგრამ მაინცდამაინც მკაცრად არ და

უაჯიათ. იგი მალე შეეღია სუსტ ყმაწვილკაცურ ოცნებას და იერარქიულ კიბეს მტკიცე ნაბიჯით აყვა. თხუთმეტი წლის განმავლობაში მონაწილეობდა გაურჩეული კავკასიის დასაძლევად გამიზნულ სამხედრო ექსპედიციებში. იყო კასპიის მხარეთა გამგებელი და დალი-სტნის ჯარების სარდალი, თბილისის გუბერნატორი. ორი წლის განმავლობაში ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას კავკასიაში...

მაგრამ იმ დილას ტაბახმელაში გენერალი აშკარად დაღრუბლებული ჩანდა. როგორც მაშინ იტყოდნენ, მაცოცხლებელი, სასწაულომოქმედი ჰაერი, მზის ალერსიანი სხივები ვერა და ვერ აღნობდნენ მჭმუნვარების მოშავბნელო ყინულს. გენერალი სიკვდილზე არ ფიქრობდა. ესე იგი, ყოველი კაცის მსგავსად ფიქრობდა მასზე, როგორც, თუმცაღა გარდაუვალი, მაგრამ შორეულ და, მამასადამე, არცთუ ისე საშინელ ამბავზე. სიჭაბუკეში სიკვდილი ბევრად უფრო საზარლად ეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, რაღაცა გაუცნობიერებელი ტანჯავდა გენერალს და ამოი ცდები დაედგინა — სახელოდ რა, აძლიერებდნენ მღელვარებას. მან გადაწყვიტა, საამო მოგონებები მოეხმო, რათა დაუპატიჟებელი კეშანი გაეფანტა. გაიხსენა თავისი სამხედრო ტრიუმფები, ხელმწიფესთან და დიდ მთავრებთან შეხვედრები; წარმოდგენაში ისევ გაცოცხლდა ნადირობის სცენები ზაქათალის ტყეებში, სადაც ჰაჯი-მურატთან ერთად მრავალი ტანი დახოცა.

ვაი დედასა მტრისასა! მაინც ხომ დაიმორჩილეს კავკასია, და იგი, ქართველი თავადი ორბელიანი, ამ სისხლიანი ეპოპეის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი გახდა. ხოლო შემდგომ, როცა სროლა და ჩეხვა შეწყდა, 1859 წელს პეტერბურგში გრიგოლმა შამილი გაიცნო და მისმა სიდარბაისლემ გააკვირვა. ღირსებით სავსე ქცევა, ამაყი მზერა, დაუფარავი ზიზლი მაღალი საზოგადოების კონტაპრუზა წარმომადგენლებისადმი, ვინც ცოტას გაწყდა ხელით გასინჯავს უპირებდნენ, ვინძლო გავიგოთ რისგანაა შეკერილი ეს მორაბული ლეგენდა. შამილი უზომოდ გულმოსოლი იყო თავის ნაიბებზე, მოლაღატეზად თვლიდა და სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, თუ რად უნდა შეენახათ ნაიბებს მისდამი ერთგულება, როცა წლების მანძილზე, თუკი მისი პირადი ინტერესები მოითხოვდნენ, ყველა გარშემო მყოფს დესპოტურად, ესე იგი, სასტიკად და უღმობლად ექცეოდა. შა-

მილს აცვიფრებდა ის კომპორტი და სიმდიდრე, რაშიც

ყელამდე იყო ჩაფლული ტერბურგელი დიდკაცობა. ვინმეს რომ არ შეეძინა მისი შეცბუნება და უსაზღვრო სიძულვილი, წამდაუწუმ ამოქნარებდა. „გადაყლაპავს ხომ არ მიპირებთ?“ — ირონიულად გაეკელუტა ვილაც გამოპრანჭული ქალი, ვისი მახვილი-ტყვობას გასავალი ჰქონდა სალონებში. შამილმა კვლავინდებურად დაამოქნარა და თარჯიმანის საშუალებით ამცრო მანდილოსანს, რომ როგორც მართლმორწმუნე მუსლიმანი ღირის ხორცს არ შეეჭყავა...

ყველაფერი ეს გაიხსენა გრიგოლმა, მაგრამ წარსულის სურათებმა მონდომების მიუხედავად ცნობიერების გარსში ჩაიჭროლეს და არავითარი ემოციები არ გამოუწვევიათ. ხოლო შფოთვა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. რაღაცა კბილის ტკივილივით მძლავრად აწუხებდა და ამის მივიწყება შეუძლებელი იყო, როგორც ყოველი ფიზიკური ტკივილის.

თანამდებობები, პარადები, ორდენები, დარბაზობები — ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ჰქონდა, უნახავს და უზომო სიხარულსაც ანიჭებდა, დამბანგველ თაფლს აჭმევდა გაუმძლარ პატივმოყვარეობას. მაგრამ გრიგოლს ხომ სხვა ცხოვრებაც გააჩნდა და ოქრომკედით მოქარგული მუნდირის ქვეშ არა მარტო და არა იმდენად გენერლის ანგარიშისანი გული სცემდა... გრიგოლმა დედამისი გაიხსენა, ვისი გასვენება ავლაბრის ყაზარმის საპატიმროს სარკმლიდან დაინახა. გაიხსენა თავისი დარდიმანი და ხმაურიანი ძმები, რომლებიც ლაშქრობებში დაიღუპნენ: პოლკოვნიკი ზაქარია ქოლერამ იმსხვერპლა დალისტანში, გენერალ-მაიორი ილია ოსმალებთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა. არცერთისთვის განგებას ორმოციოდ წელზე მეტი არ გაუტეებია. გაახსენდა თავისი საცოლო სოფიო, ვისზედაც დაინიშნა, როცა თოთხმეტი წლისა იყო, ხოლო სასძლომ ჯერ ხეირიანად ლაპარაკიც არ იცოდა. მოგვიანებით სოფიოს გრიგოლისთვის ქორწინებაზე უარი არ უთქვამს, საქართველოში ეპატრეებოდა გადასახლებაში მყოფ საქმროს. გრიგოლი იმხანად ვერ ჩამოვიდა და, აბა, სოფიო გაუთხოვარი ხომ არ დარჩებოდა. იცადა, იცადა და მერე კეთილად მოათავა ცხოვრების ყველაზე მთავარი საქმე. გვირგვინი იფსკვნა, ცოლად გაჰყვა კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრს — ბეზაკს ნიკოლოზ პავლეს ძეს.



სოფლის რასობა სოციალურ ამბროზ ზოსუ

გრიგოლს ქალი არ შეურთავს. უშვილოდ უნდა გადავადებულყო. იოლი იყო მომწამვლელი მარტობა სოფლისთვის დაებრალებინა. მაგრამ გრიგოლს თავის მოტყუება არ უყვარდა. სოფიო არაფერ შუაში არ ვახლდათ... და ახაზდა ცნობიერების წყვილიდან დადმოსკდნენ სხვა, ქვეშეცნეული სიფრთხილის მიერ აქამდე შეკავებული მოგონებები. გრიგოლი მიხვდა, დილიდან რა ტანჯავდა, და გვემას სინარული გადაეხლართა.

დაუყოვნებლივ ცხენი შეაკაზმინა და მთაში გააჭენა. ცოტა ხანში კოჭორი უკან მოიტოვა. გზას აგრძელებდა და მოგონებებში სულ უფრო ღრმად იჭრებოდა.

„თუმცა დავბერდი, მაგრამ მაინც თბილისის ჭორებს და სიცხეებს გამოვექეცე. ეს ხუთი კვირაა, რაც აქ, ბეთანიას, გახლავარ ჩემის სიძის ბარონის სოფელში, სადაც მოსვენებულ და მომყუდროებულ ცხოვრებას ვატარებ. საუცხოვო მდებარეობა ჰქონია, გრილი ჰავა. მე დიდათ მომიხდა ეს სოფელი. ციებამ სრულიად თავი მანება. სახლი და ბაღიც მოსაწონია. ერთის სიტყვით მთლად, თავის პატარა ხაზაიკით, რომელიც რაც შეუძლიან ცდილობს სტარუხის დის მოსვენებას და სიამოვნებას...“

რასაკვირველია, გაზეთით შეიტყობდით ჩვენის საყვარლის გრაფინა ოპერმანის დაქორციელებას. აბა, საყვარელი ძმაო, ეხლა უნდა ქვივის და ობლის ნუგეში, ეხლა იამება თქვენგან წიგნის მიწერა და მოგონება, მაგრამ მგონია, სტარუხასთან მიწერაში ის, ვლახნავენია და გრძნობა აღარ წარმოდგენს, როდესაც უწინ ყოველი იმისი კაბინეთის კუთხე და ალბომები აღვსილი იყო თქვენის სხვა და სხვა ლექსით და პასლანით. ოხ, სიბერეც, რა ძნელი რამ ყოფილხარ!“

ნინო ჭავჭავაძე. — გრ. ორბელიანს. ნაწყვეტები 1855 წლის 22 ივლისს დაწერილი ბარათიდან.

ხოლო ოცი წლით ადრე — 1835 წლის 5 ივლისს ჭავჭავაძიანთ ქალების წერილი გრიგოლ ორბელიანმა ქალაქ რიგის მახლობლად მდებარე სოფელში მიიღო. აი ფრაგმენტი მისი პასუხიდან:

„მოვიდა ჩვენი აღუტანტი და მომიტანა ორი პაკეტი. ერთი ჩემი ძმისა და ერთი კი ვერ ვიცან... ვაი ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს ხელი ადრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას. მაშინვე სიხარულით დავაძახებინე პეცენიკებს (ანუ მომღერალთ სალდათებს) და საღამომდის ვაღრიალე. ამათი

ხმა რიგაში ისმოდა...

...ამას წინათ ჩვენმა პოლკოვნიკმა ბალი გააკეთა ბალში... სადაც იყვნენ მიწვეულნი პირველნი ჩინებულნი რიგის მცხოვრებთაგანნი, რომელთა შორის იყო აქაური პირველი კრასავიცა რილის კამენდანტის ლენერალ დრიზენის ქალი, რომლისა მშვენიერება არის განთქმული... დიდი ბაასი მქონდა იმ ქალზე, რომ არ ვაქე სხუთ მსგავსად, ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის, თუ რა არის კრასავიცა. — ზოგნი ერთნი არიან აქ ლამაზნი, მაგრამ ვერ შეედრებიან ჩვენს ქალებს სილამაზით“.

გრიგოლმა ბეთანიის ტაძართან მიაგელვა ცხენი. ჩამოხდა. ცხენი ნებაზე მიუშვა. თვითონ შიგნით შევიდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს უცქერდა თამარ მეფის გამოსახულებას. ფიქრობდა საქართველოზე. ფიქრობდა თავის ნინოსადმი სიყვარულზე, რასაც ამოდ ცდილობდა სხვებისგან დაემალა. ფიქრობდა საკუთარ აწეწილდაწეწილ ბედზე.

გრიგოლი, უპირველეს ყოვლისა, პოეტად იყო დაბადებული. იცოდა ეს და სულ უნდოდა ლექსებს საფუძვლიანად ჩაჯდომოდა. მაგრამ სამხედრო და სამოქალაქო სამსახური, ყოველდღიური ყოფითი საზრუნავი, სალონებში გატარებული ფუჭი საღამოები დაუნდობლად ნთქავდნენ ბუნების მიერ ისედაც მომჭირნედ ნაწყალობეგ სასიცოცხლო ჟამს... და ახლა გრიგოლმა უცებ მთელი სიცხადით შეიგრძნო თავისი კარიერისტული ჟინის ამაოება, და მას დაენახა, გულშემოზარავად შეებრალა გაფლანგული დრო, რომელიც შემოქმედებას მოსტაცა.

იმ ღამეს პოეტ გრიგოლ ორბელიანს არ ეძინა. მან დაწერა ტრაგიკული, უიმედობით გამსჭვალული ლექსი, რომელიც ქართული ლირიკის შედევრი გახდა. მას ეწოდება „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

...უსასოო ლექსის ბოლოს დასმული ძახილის ნიშანი ალბათ მაინც იმედის სანთლად ბუჭტავდა.

მოსაღამოებულყო. სტუდენტები ექსკურსიდან ბრუნდებოდნენ. აღარ ისმოდა ხალისიანი — მე აქ უნდა დავესახლო, ვინაიდან უკლებლივ ყველა ექსკურსანტი გულში ასფალტს და მყუდრო ბინაში ტელევიზორის წინ მდგარ სავარძელს ნატრობდა. ბიჭს, რომელსაც ჭრელი კოვბოურა და ლურჯი ჯინსი ეცვა, კვლავ ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული. ახლა ზურგჩანთა ცარიელი იყო.

● თვალსაჩინო ამერიკელი მწერალი ამბროზ ბირსი გამორჩეული ფიგურაა ამერიკული პროზის დიდოსტატთა პლეადაში, რომელსაც ამშვენიერებენ ედგარ პოს, ჰოთორნის, მელვილის, მარკ ტვენის, სტივენ კრეინის, ჰემინგუის, ფოლკნერისა და სხვათა დიდებული სახელები. ბირსის შემოქმედება დღეს გულმოდგინედ შესწავლის ობიექტად იქცა. არსებობს კიდევ ბირსის ინსტიტუტი, რომელიც ამ ძალზე თავისებური და რთული მწერლის მიერ შექმნილი თუ დანახული, უფრო სწორად, აღმოჩენილი იდემალებით მოცული სამყაროს ამოხსნასა და კვლევა-ძიებას ეწევა. დღეს ბირსის პოპულარობა მთელი მსოფლიოს ლიტერატურულ სფეროებში ძალზე დიდია. მის სიცოცხლეში გამოქვეყნებული თორმეტტომიანი კრებული მისი მხატვრული და ჟურნალისტურ-პუბლიცისტური ნაწარმოებებისა, ერთ-ერთ უპირველეს ბიბლიოგრაფიულ იმედად ითვლება. დღეს არც ერთი ავტორიტეტული ლიტერატურული ლექსიკონი არ უვლის გვერდს მის სახელსა და შემოქმედებას.

ა. ბირსის სახელთან დაკავშირებულ პრობლემათა განმკვლევარებს ყველაზე მეტ თავსატეხს უჩენს მისი სიცოცხლის დასასრულის საკითხი. რაც აგრეთვე ბნელით არის მოცული. ამის თაობაზე უამრავი ლიტერატურაა შექმნილი და ყველაფერი მხოლოდ ვარაუდების მორევშია დანთქმული.

ბირსი სამოცდაცამეტი წლისა იყო, როდესაც 1913 წლის დამლევს მექსიკის საზღვარი გადაჭრა და სამუდამოდ გაქრა. მისი შემოქმედებისა და ბიოგრაფიის ერთ-ერთი მკვლევარი ედგარდ ვაგენკნეხტი მოსწრებულად შენიშნავს, რაკი ბირსს შთამომავლობისათვის არავითარი ამბავი არ დაუტოვებია თავისი სიკვდილის შესახებ, იქნებ მართლა არ მომკვდარა და უკვდავებას ეზიარათ.

მექსიკას იმხანად პანჩო ვილას აჯანყება ახანზარებდა და, რა თქმა უნდა, სიმშვიდე ამ ქვეყანაში არ სუფევდა. ამან ბევრს საბაბი მისცა, თავისებურად განემარტა ბირსის თავგანწირული ნაბიჯი. მით უმეტეს, რომ მწერალი ერთ თავის ბართში ამბობდა: „არ მინდა, მოკვდე ლოგინში მწოლარე, ზეწარში გამოხვეული, და იმედი მაქვს, ღმერთი სამაგისოდ არ გამიმეტებსო“. მაგრამ, აი, რას წერდა ერთი მისი ბიოგრაფი (მ. ე. გრენანდერი): „მეტისმეტე გაუბრალოება იქნებოდა საკითხისა იმის მტკიცება, თითქოს ბირსს მექსიკაში წასვლით თვითმკვლელობის ჩადენა სურდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, მას აშკარად სწამდა, რომ ალბათ ვეღარ დაბრუნდებოდა უკან“. ბევრს მიაჩნდა, რომ ბირსი მექსიკელებმა არ დაინდეს როგორც ამერიკელი — „გრიგო“.

ადოლფ დანციგერ დე კასტრო ასე განმარტავდა ბირსის უკვალოდ გაქრობას: „ისიც სადაგელი სიცრუეა, თითქოს ბირსს სურდა „უკვალოდ გამოქრალიყო“. ბირსს არ ჰქონია უკვალოდ გაქრობის სურვილი. მას გული გაუტეხა და მეგობრებს, ლიტერატურულ გარემოს, თავის საყვარელ და სასურველ ადამიანებს ჩამოაშორა იმ პირთა უმადურობამ და უსულგულობამ, ვისაც მრავალი წლის მანძილზე მისი ნაჯაფით გაჰქონდა თავი“.

კიდევ კარგი, რომ ცხოვრება საბოლოოდ ნიღაბს გლევს სხვის უნარიანობაზე ფეხგამოლილ მუქთახორებს, წარმოაჩენს მათს ამაზრზენ სახეს და ისტორიის სანაგვე ყუთში ყრის მათ...“

ადოლფ დანციგერ დე კასტრო ძალზე დაახლოებული იყო ბირსთან. მათ ერთად დაწერეს რომანი „ბერი და ჯალათის ასული“, რომელიც შთაგონებულია გერმანელი მწერლის რიხარდ ფოსის ნაწარმოებით „ბერი ბერტესგადენიდან“. დანციგერმა იგი წაიკითხა ერთ

გერმანულ ჟურნალში, ინგლისურად თარგმნა, ბირსს მიუტანა და შესთავაზა, ერთად დაემუშავენ ბირსსთან რომანად. ასე შეიქმნა ბირსსთან ერთად ერთი რომანი, დაწერილი დასცივებთან ერთად.

დასცივებთან ერთად ბირსსს დალუპვის ვითარების გაურკვევლობას და ამიტომ გადაწყვიტა, წასულიყო მექსიკაში და გლახთა მოძრაობის სახელმძღვანელო ბელადის პანჩო ვილას დახმარებით ვაგო, რა ბედი ეწია ბირსსს. მან ბარათი გაუგზავნა პანჩო ვილას, ზოგად ფორმებში ამცნო თავისი განზრახვა და დახმარება სთხოვა. ვილამ პირველად თანხმობა განაცხადა, მაგრამ შემდეგ თავისი თანამებრძოლისა და ძმის, იპოლიტოსაგან შეიტყუო, დე კასტრო რომ ჟურნალისტი და თანაც ამერიკელი — გრინგო იყო, და უარი შემოუთვალა. დე კასტრო გაცოფდა: „ეს ყაჩაღი და კაცისმკვლელი, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ უღირდა“, ხელიდან აცლიდა მას უკანასკნელ საშუალებას, შეეტყუო, თუ როგორ გამოეთხოვა წუთისოფელს მისი სათაყვანებელი მეგობარი. იგი გაეშინა, მექსიკის გზას გაუდგა და ვილას ტელეგრამით ამცნო, მოვიდვიარო.

თან: „თავში სისხლი მივარდებოდა, როდესაც წარმოვიდგენდი, რომ ვილასთან, მის ლეიტენანტ რეისთან და იმ გზიდან გავარდნილი თაღლითთან, პანჩოს იმა იპოლიტოსთან ერთად უნდა მივჭლომორდი მაგიდას. რაც მე მაშინ ამ ყოფილი ყაჩაღისა და დაუზოგველი კაცისმკვლელის ქება-დიდება ვიკადრე, აქ ველარ გავიმეორებ, რადგან არავინ დამიჯერებს.“

ამრიგად, დე კასტრო 1923 წლის 15 მარტს კანუტილოში ჩავიდა, სადაც იმხანად პანჩო ვილა იმყოფებოდა. მაგრამ ჯობს, თვით დე კასტროს მოვუსმინოთ. აქ ჩვენს თავს უფლებას ვაძლევთ, მთლიანად მოვიყვანოთ ეს უნიკალური ეპიზოდი დე კასტროს წიგნიდან „ამბროზ ბირსის პორტრეტი“, რადგან იგი ერთგვარად ნათელსა ჰფენს მწერლის უკანასკნელ დღეებს. **იღონდ, უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც ავტორი მექსიკის გლახთა აჯანყების სახელოვან ბელადზე, ფრანსისკო (პანჩო) ვილაზე ლაპარაკობს, იმას, რაც ნათქვამია ვილაზე, ამბობს იმდროინდელი ამერიკელი, სიძულვილით აღვსილი მექსიკელი პატრიოტისადმი.**

„ბოლო, როგორც იქნა, მატარებელი სადგურს მიადგა და უცბად დაეინახე ის, რასაც ველოდი. ერთბაშად ვიცანი ვი-

ლა. აქვე იყო მისი ძმა იპოლიტო და რვა თუ ცხრა ჩემთვის უცნობი ადამიანი, ყველანი ცხენებზე ამხედრებულნი და თავით ფეხამდე იარაღსხმულნი გამოძეცხადნენ.

იპოლიტომ წამავე მიცნო და გავიგონე კიდევ მისი სიტყვები:

„მე ვიცნობ მაგას: კაი ბიჭი (ბუენ მუჩაჩო)“.

ვილას მივადექი და მივესალმე.

„ბატონო გენერალო“, — ვუთხარი მე.

„ვინ მელაპარაკება?“ — უწინოდ დაიხროტინა მან.

„დე კასტრო, თქვენი მონა-მორჩილი, ბატონო გენერალო“.

„გაბედული კაცი ყოფილხართ, სერ“.

„ალბათ ეკლესიაში მიმავალ ადამიანს გაბედულება ემატება, რადგან ღმერთის წინაშე უნდა წარდგეს. გმირობა ღვთის კურთხეული მოვლენაა, ბატონო გენერალო, და მეც გაბედულებას ვიჩენ. უკან ხომ არ გავბრუნდე, გენერალო?“

„დე ნინგუნა მანერა — არაფრის გულისათვის. ძალზე სასურველი სტუმარი ხართ, სერ“, — თქვა მან, ხელი ჩამომართვა, მანიშნა, ცხენზე შევმჯდარიყავ, და მეც ნებას დავყვი.

ასიენდა არცთუ ისე შორს აღმოჩნდა და სულ რამდენიმე წუთში მივადექით ჭენებით.

უზარმაზარ ეზოში ერთი ფუსფუსი და ალიაქოთი იდგა. წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ სამხედრო ბანაკში ვიმყოფებოდი. სახლი საკმაოდ უპრეტენზიო ჩანდა, მაგრამ შიგნით შესანიშნავი სივრთლე იდგა და ყველაფერი გაწყობილი იყო. ქალებისათვის თვალი არ მომიკრავს და სადილი ჩვენი მისვლის შემდეგ რამდენიმე წუთში მოგვიმზადეს ინდიელებმა. სუფრასე საქმელი ბლომად დახროვდა და სასმელი კიდევ უფრო მეტი იყო. როდესაც მოგვართვეს ყავა, ძალზე მაგარი ურუჟამული ყავა, და სიგარეტებიც მოაყოლეს, რაზედაც მე უარი ვთქვი, რადგან წვეისთვის თავი მქონდა დანებებული, წამოვიწყე საუბარი.

თავდაპირველად იმდენი ქათინაური გადავაფრქვიე თავზე ვილას, რომ ვინმე ანგლოსაქსი, ალბათ, ტყვიას მომაკრავდა შუბლში. მერე კი მისი სამხედრო ოპერაციების ქება-დიდებას მოვეყვი და ვილა სახტად დარჩა, საიდან ვიცოდი ასე კარგად მისი გმირობის ამბები. დიან, მე განა მარტო გაზეთებს ვკითხულობდი, არამედ შენმა ძმამ, კეთილმა იპოლიტომ მიამბო-მეთქი ბევრი რამ. ვიდრე ვლაპარაკობდი, რეისსა და ვილას თვალს არ მოუშორებოთ ჩემთვის, იპოლიტო კი ერთბა-

ვად იკრიჭებოდა. მან სხვებზე უკეთ იცოდა, რომ ჩემი სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ ელირებოდა, სულ უმცირესი საეჭვო რამეც რომ დამცდენოდა.

მე ნელა, აუჩქარებლად, აწორედ იაე, როგორც დასტაქარი ეიება თვალთ უხილავ წყლულს, ფრთხილად მივიწვედი ჩემი მიზნისაკენ. მიწოდდა, სულ მცირე რამ მაინც შემეტყო, არ ვსაჭიროებდი ვრცელ ამბავს. უბრალოდ გადაკრულ მინიშნებასაც ვიკმარებდი. მე ვიცნობ მექსიკელებს და ისიც კარგად ვუწყობდი, რა ხალხთანაც მქონდა საქმე ახლა.

ბევრი უცხოელი თუ ახლად-მეთქი ბატონ გენერალს ლამაზობებში? შევაპარე მე.

„დიან, მაგრამ ჩემს ბიჭებს მაინც ვერავინ შეედრებოდა“.

„ამ ქვეყნად მექსიკელს ვერავინ შეედრება ვაჟკაცობით“. ვთქვი მე, და ეს ერთგვარად ჭეშმარიტბაც განლდათ, რადგან მართლაც, კაცმა რომ თქვას, მექსიკელები დიდებული მებრძოლები არიან. ჩემმა ქათინაურმა თვით ვილასაც წამოაცდენინა ხოტბა.

„თქვენ მექსიკელად უნდა დაბადებულიყავით, სერ“.

„მაგაზე დიდად არაფერი გამაზარებდა: მაგრამ, მე ალბათ მექსიკის დიდ ვერაფერს სამსახურს გავუწყედი — საქმე ის გახლავთ, რომ ჩემთვის ამერიკელთა ნდობა უფრო უპრიანია“.

აქ მცირე ხნით მრავლისმეტყველი ლუმილი ჩამოვარდა, რადგან ჩემს მსმენელებს ალღომ უკარნახა, საიდან უბერავდა ქარი.

„მე ფრიად საწყენად დამიჩინა ის, რომ ვერ შეველოდი. მხარში ამოგდგომოდით მაშინ, როდესაც კარანასს გაეთიშეთ. გარდა ამისა, სიამოვნებით ჩავატყდებდი გულში ტყვიას ერთ ამერიკელს, რომელსაც თქვენს ლაშქარში უმსახურია, ბატონო გენერალო“.

„კეთილი საქმის გაკეთება არასოდეს არ არის გვიან“, მომახალა ვილამ და სამივემ გულიანად გადაიხარხარა.

„ახლა, ალბათ, გვიან არის, რადგან მაგ არამზადამ უკანონო ქორწინებებში გაატარა თავისი დღე და მოსწრება და კაცი მას ქალს ვერ ანდობდა“, წამოვიძახე და ხელები, რაც შემეძლო, დრამატულად გავშალე.

„ქალსაო?“ ჩაილიღინა ვილა.

„დიან, ქალს“, წავისისინე მე.

„რა ერქვა იმ ვაჟბატონს?“

„არ ვიცი, თავის თავს რას უწოდებდა აქ, მაგრამ კალიფორნიაში იგი ცნობილი იყო როგორც ბირსი — ამბროზიო ბირსი“.

ვილას უცბად მკლავი გაუ-

შეშდა. დანარჩენებმა უმაღლეს შემომხედეს, მერე ვილასზე გადაიტანეს მზერა.

„ვიცნობდი მას, როგორც ვილასს, მაგრამ არ ვიცნობდი მას, როგორც ბირსს“.

მაშინ კი მოვეხსენი გულდას პირი და, რაც შემეძლო, ბირსის ლანძღვა მოვეყვი. მარტო თავგასული მექლოთანე კი არ იყო-მეთქი, ერთი ძალზე ამპარტავანი და თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ვილაც ბრძანდებოდა და არავინ მიაჩნდა-მეთქი თავის სწორად.

„სრულ სიმართლესა ბრძანებთ, სერ“.

„მას გაუკრიტიკებელი არ დაუტოვებია არც ერთი გენერალი ამერიკის არმიაში — ისე კი არა, რომ მაინცდამაინც დახვრეტის ღირსად მიეჩნოს, მაგრამ თავისას კი აჭენებდა“, ვთქვი მე და ვილას ჯიქურ შევხედე ბოროტ თვალბში.

„დალახვროს ეშმაკმა! მართლსა ბრძანებთ, სერ. აკი აქაც სცადა თავისი. მე არაფრად ვავდებდი მის ბაქიობას. ამერიკელი, რომელიც უზომოდ ეტანება ტეკილას (ავაის ხისგან გამოხდილი არაყი — გ. ჯ.), მალე თავსაც წაადებს ზედ“.

„მერედა, ამ ამბროზიომაც წაადო თავი?“

„ალგო ასი — ასე ვთქვათ“.

„გადეზერტირდა?“

„ალგო ასი“.

„ნეტავ აქ ვყოფილიყავ“, წამოვიწყე მე და მკითხველი მიხვდება, რომ ეს საკმაოდ ეჭვის აღმძვრელი ფრაზა იყო. კაცისმკვლელის ყურს ეს არ გამოჰპარვია.

„ჩვენ აქ მოლალატეებს არ ვპატიობთ“.

„სწორედ რომ სჩვევია კიდევ თავისივე მეგობრებისათვის ზურგის შექცევა“, გავიქაჩე მე.

„დიან, კარანასს მხარეზე გადასვლა დააპირა“.

„რას ბრძანებთ!“ შევიცხადე მე.


„მაშ! და ავუკარით კიდევ გულანაბადი (ლო ემოს ეკო დე ფურა)“.

„მოდით, ნულარ გავიხსენებთ მას, ბატონო გენერალო. თქვენ ალბათ ნახეთ ჩემს გაზეთში, რომ ახლა ბევრი ამერიკელი ჩამოდის მექსიკაში“.

„დიან, და ბევრი რამეც ხდება სადავიდარაბო. უმჯობესი კი იქნება, უფრინგოვბოდ რომ ვცხოვრობდეთ“.

„მექსიკა მოახერხებს კიდევ უფროდ ცხოვრებას, როდესაც თქვენ პრეზიდენტი ვახდებით. იმედი მაქვს, რომ კვლავ დაუბრუნდებით პოლიტიკას, ბატონო გენერალო“, ვთქვი მე და საათს დავხედე. ზუსტად თხუთმეტი წუთილა რჩებოდა მატარებლის გასვლამდე.

წამოვდექით. ვილა წამით



დათო მალრაქი

სამოგზაო დავალებები

ვუძღვნი ქალბატონ ლუბა აგღუ-
შვილიძეს, რომელიც ახალგაზ-
რდა განზოგად საპროფესიო და
სამოცი ფლის მირი დაუბრუნდა
მას.

ცრემლში იფურცლება წარსულის ალბომი,
მკათათვე ტყეშია თვლებმინახული.
ბავშვობა ედება ბებერ გულს საღებუნად:
— მაღამ, გენატრებათ მამული?

ვარდმა ნაწვიმარმა ყელი მოიდგრა,
მწვანეში ცურავენ მთები და კორდები,
სანთლებზე ცრემლივით დაიქცა სიმღერა —
ვაიმე, ზესტაფონო, გზორდები!

ზედავთ, ქალბატონო, ისევ ის ცა არის,
ისევ ის მზე არი, ისევ ის მიწაა.
გამოვცდით მირზანს...
შშობელი მთა-ბარი
რაც კი და ვინცაა —
წარსულის ზღაპარი,
სუყველა აქ არის,
სუყველა აქ არის...

ფეხქვეშ ითვლება ჭეჭილის ნოხები,
წლებს თან წაუღიათ შავშავი ჩოხები,
პაუ, გადამქრალან საღ ჩისტკოპები,

თქვენ ეს უველაფერი
გახსოვთ და გინახავთ
და, რაღა თქმა უნდა,
სუფრასთან მოჭყვებით.
ბალახში დაეძებთ პატარა ნაფხურს,
რა შეინახავდა ამდენი წლის მერე,
ნუთუ მიაგენით?

— ვიპოვე!
— აფერუმ!!
ცრემლები ჩამოსდით საფლავში ქიმერებს.

ოთხმოცდაათი წლის დაღლილი მადმახელ,
ძველი ნახადრალის მბუჭტავო სანთელი,
მთვარე გეთხოვებათ რიურაჟის საღამზე,
და თქვენგან ნანატრი გიმშერთ საქართველო.

ზამთრის განწყობილება...

აუზაინის კითხვისას

ბარდნის და ბარდნის... ფანტელებს ფრთამაღთ
გაუხარიათ ზეცაში ყოვლით,
ვისხენებ ახლა რუსეთის ტრამალს,
გადათვრებულს ქათქათა თოვლით.

ვით ქორი უზის ცერზე ბაზიერს,
დაგემილი ვარ ზამთრის ნათებით,
მთები არა ჩანს და მთის მაგიერ
წამომართულან თითქოს დათვები.

ფრუტუნებს ცხენი, ვფიქრობ: — გავთავდი,
ამ თოვლში, ალბათ, გავითოშვები,
ბოლო გროშს ხარჯავს ყოჩი თავადი
და უმღერიათ თავადს ბოშები.

ათასგზის განცდილს... ათასგზის ნანახს...
ვუახლოვდები ბოშათა ბანახს.
დე ჩემს საფლავთან ეს ქორო იყოს,
აღიღუა და სულთათანა.

ხვალ მე დუელში გავალ ამაყად,
არ მეშინია, იცოდეს ღმერთმა.
ოღონდ ამ თოვლში, ოღონდ ამაღამ,
ბოშებთან ერთად...
ბოშებთან ერთად...

ნაამბობი

ძველისძველ ქოხში ცხოვრობდა თინა,
ჩამოძენილი ჰქონდა ხალათი,
სიცოცხლე, გლოვად ქვეული წინათ,
დასდევებოდა, როგორც ჭალათი.

გამოიდარა ბოლო ხანს ოდნავ,
მეზობლის ბიჭი... ლალი... მოცილილი...
მერე იმედის გაჩენას მოჰყვა
სხვა საპატარძლო,
სეფა,
ქორწილი...

* *
ახლა, სად მტკვარი გვერდს უქცევს
სასხორს,
თინას მორევი ძეგველებს ახსოვთ.

თუშურ გარემოზე
დასამღერებლად

მწყემსნი თბებიან კოცონთან,
მთვარემ დაყვინთა წყალშიო,
ქალავ, ო, რარიგ მომწონხარ,
სტრიქონს გიხლართავ თმაშიო.
ჯვარი გეწეროს ოთხკუთხევი...
აღე, გამოდი კარშიო.

სოფელი

სველმა თავშალემა წვიმას მიაწყევლეს
— ვაითუ გაურია კოხი!
ნისლში გაფანტული სვედა შეშპარვია
ტყეში მიტოვებულ ქოხის.

გარეთ გავიდა. იპოლიტო და
რეისი კი დარჩნენ და პანჩოს
ძმა მაშინვე ლანძღვა-გინებას
მოჰყვა და ბირსს მოსდგა.

„ის ბებერი თხა... მთელი
დღეობით იჯდა და ტეკილას
ცეცხლავდა, მერე კი გამტყ-
ვრალი ჩემს ძმას კიცხავდა...
წარმოგიდგენიათ?“ ყვიროდა
იგი.

სული კბილით მეჭირა. გო-
ნების თვალთ ვხედავდი
ბირსს, ახოვანს, სუფთად სახე-
გაპარსულ ჭარმაგს, კაცს, რომ-
ლისთვისაც აბაზანის მიღება
ლამის წმინდა რიტუალს უდ-
რიდა, ვისაც მთელი არსებით
სძულდა სიბინძურე, რომელიც
სვამდა, მაგრამ არასოდეს გა-
ლემილა; ბრწყინვალე ინტელე-
ქტის პატრონი, ოცდახუთ წელ-
ზე მეტი ხნის განმავლობაში

რომ ჩემი გზის მანათობელი
ვარსკვლავი იყო, რომელსაც
ზოგჯერ ავხირობდებოდი კიდეც;
მაგრამ ვეთყველებოდი რო-
გორც ღმერთს, თვალწინ დამი-
დგა, ულახათო მექსიკური ტა-
ბერნას კუთხეში მიმჯდარი
როგორ ეძალეზოდა თავის ტე-
კილას, ჭიქაში მოქცეულ ლაი-
ნისფერ დემონს, ადამიანის გო-
ნებას რომ შლის და არღვევს.
ვხედავდი, როგორ მოითხოვდა
იგი ამ სასმელს და შემდეგ კი,
იქნებ ხვეწნადაც გადაექცა მო-
თხოვნა, ვიდრე იგი, ჩემი დი-
დებულო, ჩემი გულზედადი მე-
გობარი ასე არ დაეცა, იქნებ
აბუჩად ავღებულოც ამ ნაყარ-
ნუყარი ნაძირალა ბრბოსაგან,
აქ რომ იყრიდა თავს და, ალ-
ბათ, უშნო ღრეჭით დასცინო-
და „ამ ბებერ ლოთს“, და ახლა

ვერ გამიგია, რამ შემანარჩე-
ნებინა სახეზე მშვიდი გამომე-
ტყველება და ენა ჩამიგდო, ან
როგორ ან ვიდრე მაშინვე რე-
ვოლვერი და ცხელი ტყვია არ
ჩავაჭედე შუბლში იმ ღმეჭია
ჭინკას, ასეთი უხამსი ებითე-
ტებით რომ იხსენიებდა ადა-
მიანს, რომელსაც მე ვეთყვე-
ნებოდი...“

* * *

ეს იყო ულამაზესი ვაჟკაცი,
სიმაღლით მეტრი და ოთხმოცი
სანტიმეტრი, მკვიდრად ნაგები,
შესანიშნავად ნავარჯიშევი, კუ-
ნთებად ქვეული მოქნილი ტა-
ნი ოცდაათი წლის ათლეტისას
მიუგავდა, ფიზიკურად სრულ-
ქმნილი მამაკაცი, რომელსაც
არასოდეს დაუკარგავს ჭაბუ-
კური სილაღე. საოცარი მშვე-

ნიერების ეფექტს ქმნიდა მისი
მომხიბვლელი სახე, გონების
წამგვრელი ღიმილი, ოქროს-
ფერი, აქოჩილი თმა და ლაყ-
ვარლოვანი შუქით გასხვიოს-
ნებული ცისფერი თვლების
მომნუსხველი გამოხედვა. ამას
ადასტურებს მისი ფოტოსურა-
თი, გადაღებული 54 წლის ასა-
კში...

რიჩარდ ო“ კონორი წიგნში
„ამბროზ ბირსი. ბიოგრაფია“.

ისხენებს:
„სიკვდილი არ არის დასას-
რული“, თქვა ერთხელ ამბროზ
ბირსმა, „ჯერ კიდეც საკამა-
თაა, თუ რა მდგომარეობაა
ეს“.

ვინ იცის...
ინფლიუნზიის თარგმან და
აუზალიკაია მოამზადა
ვიორჯი ჯაბაშვილმა.

ახალი რეკორდსმენი

შვეიცარიის ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო რაიონში თავგები მომრავლდნენ. იმჯელეს და ყოველ მოკლულ თავგზე თითო ფრანკი პრემია დააწესეს. მღრღნელთა მოსაპოვებო ყველას აჯობა ვინმე დანიელ კლოდმა. რამდენიმე თვეში მან 2.500 ფრანკი პრემია ჩაიჯობა. ესეც არ იყო: დანიელ კლოდმა თავგების მოსაპოვებო მსოფლიო რეკორდი დაამყარა. რეკორდს ალბათ ახალი რეკორდი მოჰყვებოდა. სხვა ჩარა არ იყო: პრემიების გაცემა გააუქმეს.

მომღერალი, მსმენელი და ლურსმანი

ეს ამბავი ესპანეთის ქალაქ სანტო-დომინგოში მოხდა. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ესტრადაზე პოპულარული ესპანელი მსახიობი პამილო სესტო მღეროდა. მისმა სიმღერამ მსმენელებში ჩვეული აჟიოტაჟი გამოიწვია. ვაგონებული დარბაზი მჭუხარე ტაშით აჯილდოვებდა საყვარელ მომღერალს. თავყვანისმცემელთა წინაშე თავდახრილმა პამილო სესტომ ავანსცენაზე შემთხვევით დავარდნილი მოზრდილი ლურსმანი შენიშნა. იგი მაშინვე დაიხარა, დასწვდა ლურსმანს, ეამბორა და დარბაზში გადაისროლა. თავდავიწყებამდე მისული ერთ-ერთი ქალიშვილი ყიჟინით ეცა იატაკზე დაცემულ ლურსმანს. აიღო, გულში ჩაიკრა, აკოცა და... გადაყლაპა. მომღერლის თავყვანისმცემელი ქალწული საავადმყოფოში გააქანეს.

დედიუბოგილა

ვისკონსინის შტატის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ჯოულ შექელფორდი ლექციებზე ფეხშიშველი დადის. — როგორც დევიბადე, ისე უნდა ვიარო! —

კატეგორიულად განუცხადა სტუდენტმა კათედრის პროფესორს.

— მივესალმები თქვენს გადაწყვეტილებას, — მიაგება პროფესორმა, — ბოლომდე დაიცავით ეს პრინციპი და ლექციებზე დღეშობილად იარეთ.

ზოგს რა გემო აქვს!

საქვეყნოდ ცნობილ ეიფელის კოშკს თავისი არსებობის 96 წლის მანძილზე ბევრი რამ ახსოვს. კოშკიდან გადმოხტარმა 365 კაცმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. იყო კურიოზული შემთხვევებიც. 1963 წელს ეიფელის კოშკიდან, რომლის სიმაღლე 300 მეტრია, გადმოხტა ახალგაზრდა ქალი ეანა დიურუა. განწირული ქალი კოშკის ლითონის კონსტრუქციაში გაიჩხირა და უვნებლად გადაარჩა. მეორე ხანშიშესულ ქალსაც შემთხვევამ უშველა: იგი დაეცა მანქანაზე, რომლითაც სპორტული ლიებიები გადაჰქონდათ.

ორჯარ მებტი

საფრანგეთის ქალაქ ტულონში ნაგვის გატანის ერთ-ერთმა კომპანიამ მომხმარებელთა მიზიდვისათვის ორიგინალურ ხერხს მიმართა. მანქანებზე, რომლებითაც ნაგავი გააქვთ, გაკრულია ასეთი წარწერა: «თუ თქვენ უკმაყოფილო დარჩებით ჩვენი მომსახურებით, ვალდებულვართ ვიღებთ, დაგიბრუნოთ თქვენგან წაღებულ ნაგავზე ორჯარ მეტი ნაგავი».

ცამ ჩაყლაპა

ვინმე ფატიმა ალ-ხალიფა, რომელიც თავს არაბეთიდან გახიზნულ „პრინცესად“ ასაღებდა, ესპანეთს ეწვია. ფატიმა ალ-ხალიფამ გრანადას პროვინციაში ძვირფასი ვილა იქირავა და მსახურად 40 ქალი აიყვანა. ერთი თვის შემდეგ, როცა მსახურთათვის, ვი-

ლისა და რესტორნის მენეჯერებისათვის საზღაურით უნდა გადაეხადა, ფატიმა ალ-ხალიფა გაქრა. პოლიცია ამოდ დაეძებდა არაბეთიდან და გრანადას პროვინციიდან გახიზნული „პრინცესას“ ასავალ-დასავალს.

შვიდი კბილი

ეს არის უნიკალური კოლექცია. კანადის ერთ-ერთი პროფესიული ჰოკეის კლუბის წევრი ბილ პაუნდა აგროვებს... საკუთარ კბილებს. ეს კბილები მან დაკარგა ჰოკეის მატჩებში მიღებული ტრამეებისა და ხელჩართული შეხლა-შემოხლის დროს. კოლექციაში ჯერჯერობით შვიდი კბილია თავმოყრილი.

„მოზრძანდით, გელით!“

ინგლისში, ზღვის სანაპიროზე, ერთ-ერთი ფენეხელური ჰოტელის მფლობელმა კლიენტების მოსაზიდად ასეთი განცხადება გამოაქვეყნა: „ჩვენთან ჩამოსულ წყვილს არც გვარს ვეითხებით, არც სახელს. მათი ვინაობა გასაიდუმლოებულია. გვაქვს შესანიღბი ნივთები: მამაკაცთათვის ხელოვნური ულვაშები, ქალთათვის მუქი სათვალევები და ა. შ. მოზრძანდით, გელით!“

სავალალო ფინალი

საქველმოქმედო თანხების შესაგროვებლად, ლონდონში გაიმართა ე. წ. „კეთილშემგობრობის“ მიტინგი, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო. კეთილი საქმისთვის დაწყებული შეკრება სავალალო ფინალით დამთავრდა. მოედანზე შეკრებილი ხალხი ერთმანეთს დაერია. ატყდა ყიჟინა, გონება, გაწევა-გამოწევა. შეკრების მონაწილეებმა, გაურკვეველი მიზეზით, ერთმანეთს დასცხეს ქოლგები, ჯონები, ქეები, ბოთლები... მძიმედ დაშავებული მოჩხუბრები საავადმყოფოში გააქანეს.

„დროშა“ № 11 გამომცემისთვის პროსპორდის პასუხები:

- თარაუშულად: 1. ქანდარა; 8. ბალდადი; 9. „ეგმონტი“; 10. სიმი; 11. ანტრესოლი; 12. ეტნა; 16. მასარი; 19. ვერსია; 20. ბუნკერი; 21. მაჩაბელი; 22. ანტიოქია; 27. სტელაუი; 29. სენეკა; 30. ანჩარი; 33. აირი; 34. ყარაშვილი; 35. ანცი; 38. „ბიშლეთი“; 39. გრადუსი; 40. ალბიონი.
შვეულად: 1. ქედანი; 2. დუნაევსკი; 3. ანგოლა; 4. ლაქმუსი; 5. ელუ; 6. როი; 7. სტატუსი; 10. სამბო; 13. ავაზა; 14. „ბრიტანიკა“; 15. ბეთჰოვენი; 17. ბუკლეთი; 18. დრენაუი; 23. კასტა; 24. ფლაგშტოკი; 25. კრივი; 26. ენერგია; 28. პარნასი; 31. მანტია; 32. კლერკი; 36. ალი; 37. ოდე

კორექტორი ცინანა სიჰინავა
მონტაჟი ნანული დანელიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: „ბაბუჩინანი“. მხატვარი — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მიხეილ ხვიტია. გარეკანის მეოთხე გვერდზე: „ბასპირნება“. ფოტო სერგო ელიშვირაშვილისა.
გარეკანის მეორე გვერდზე: მოსკოვი, წითელი მოედანი. გარეკანის მესამე გვერდზე: მზის ჩასვლის წინ. ფოტო სანდრო მამასახლისისა.

გადაეცა წარმოებას 29. 11. 85. ხელმოწერილია დასახელებად 10. 12. 85. უფ 15859. ქაღალდი: ს. 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფინანსური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 ხაღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 5,09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 2840. ფასი 35 კაპ.

ჩაბ096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроина» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-49, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ქართული
ბიბლიოთეკა



ნაღებანი 76056

საქართველო